

სანდრო ჰაჰა



ქანთარია

(გამგებდა – 1689)

თბილისი
2015

რედაქტორი

იულიონ ტოლიაშვილი

წიგნი აეწყო და დაკაბადონდა



©სანდრო პაპა. პეტრე I. 2015 წ.



რუსეთის იმპერიის შემქმნელი პეტრე დიდის ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის დიდი ინტერესისა და აზრთა სხვაობის საგანი იყო.

ქართული საზოგადოებაც არ წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს.. არც ავტორი.

მოარული ხმების გარდა, იყო ისეთი მინიშნებებიც, როგორც ს. დიანინის მიერ შექმნილ წიგნშია კომპოზიტორ ბოროდინის შესახებ. იყო მუდმივი ძიება მოსკოვისა და ლენინგრადის (სანკპეტერბურგის) არქივებში და სპეციალურ საცავებში. და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი, სულმნათი აკაკი განწერელისა მოგონებაა. მან შეიძლება კიდევაც დატოვა ჩაანწერი. აქ კი იმ სახით გადმოიცემა, როგორც მოგვიყვა მასთან სტუმრობისას, კეკელიძის ქ. ორ ნომერში:

1937 წ. მოსკოვში, ქართული კულტურის დეკადის მონაწილე რამდენიმე პირი, ვესტრუმრეთ დიდ რუს მწერალ ალექსი ტოლსტოის, გაოცება გამოიწვია პეტრე დიდის პორტრეტთა სიუხვემ. კითხვებზე, ალბათ ძალიან გიყვართ პეტრე, რომ ყველგან მისი პორტრეტებია, გვიპასუხა: მძულს, ჩვენი გაოცების პასუხად, გვანახა პეტრეს დედის ნატალია ნარიშკინას წერილი ნიკოლაი დავიდოვიჩისადმი (ასე ეძახდნენ რუსეთში ერეკლე I), სადაც ეწერა, როგორი ცელქი იზრდება მათი პეტრუშა. იქვე დაამატა, რომ პირადად სტალინმა უბრძანა არ გაეხმაურებინა პეტრეს მამის ვინაობა.

მუდმივი აკრძალვა არ არსებობს. ამის მოკრძალებული შედეგია წინამდებარე ნაშრომში.



ნაშრომში, რუსული სინამდვილის აღქმის სიადვილისათვის, გამოყენებულია მიმართვის ფორმა: თქვენ (და არა შენ); - იჩ (და არა ძე); „ბოიარი“ (და არა თავადი) და ა.შ.

/1688 წ. დეკემბერი. მოსკოვი. კრემლი. დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის „პრიკაზების“ ხელმძღვანელის, ორივე მეფის უფროსი დისა და სახელმწიფოს ფაქტიური მმართველის სოფიას საყვარელის „ბოიარინ“ ვასილ ვასილევიჩ ვოლიცინის კანცელარია. თათბირობენ ვასილ ვასილევიჩი და მისი ბიძაშვილი, უმცროსი მეფის, პეტრეს მხარზე გადასული ბორის ალექსევიჩ გოლიცინი./¹

ბორის ალექსევიჩი – კუნძულ ლემნოსზე, მოსხოს მთის წვერზე, ჰეფესტოს² ენთო უკვდავი ცეცხლი ზევსის ბრძანებით იჭედებოდა ფარი და ხმალი, ოქრო და ვერცხლი საბერველს ქარი ზღვიდან ბერავდა, გრდემლს უფერებდა ღმერთი მჭედელი და ვერა გრძნობდა პრომეთე როგორ უთვალთვალებდა, ყველას მხედელი ერთხელაც იყო, ოლიმპოს მთაზე,³ ჰეფესტო მამამ გამოიძახა

1. რუსეთის მეფე თავს დიდი – საკუთრივ რუსეთის, მცირე – უკრაინის და თეთრი – ბელოსურიის მპყრობელად მიიჩნევდა. სახელმწიფო საქმეებს განაგებდნენ მეფის მიერ დანიშნული „პრიკაზის“ უფროსები – მინისტრები. „ბოიარინები“ ქვეყნის უმაღლეს სოციალურ კასტას – თავადებს წარმოადგენდნენ. „პრიკაზების“ უფროსი კი – პრემიერ-მინისტრს.

1682 წლიდან, როცა მეფე ფიოდორ ალექსევიჩი (თევდორე ალექსის-ძე) გარდაიცვალა, ახალ მეფედ ჯერ არჩეული იქნა პეტრე ალექსევიჩი, შემდეგ მსროლელების (სტრელეცების) პოლკების ამბოხის გზით, მასთან ერთად ავადმყოფი ივან ალექსევიჩი და მეურვედ (რეგენტად) მათი უფროსი და სოფია. სამეფოს მართვის სათავეში ვასილ გოლიცინი (სოფიას საყვარელი) ჩაუდგა.

2. კუნძული ლემნოსი – ეგეოსის ზღვაშია. პელაზგიური მითოლოგიის თანახმად, იმ კუნძულზე, მოსხოს მთის წვერზე, ღმერთების მეფე ზევსის ვაჟს, ჰეფესტოს ჰქონდა სამჭედლო, იქ ენთო მუდმივი ცეცხლი, რომელიც ტიტანმა (ღმერთმა) პრომეთემ მოიტაცა, ადამიანებს გადასცა და მოხმარება ასწავლა. ამ და სხვა „დანაშაულისათვის“ ზევსმა პრომეთე კავკასიის მთებს მიაჯაჭვა.

3. ღმერთების მუდმივი საბრძანებელი იყო ოლიმპოს (ულუმბოს) მთის წვერზე.



პრომეთემ ცეცხლი ქურას მოწყვიტა,
 მოხერხებული დრო როცა ნახა
 უკვდავი ცეცხლი, მძლავრმა ტიტანმა,¹
 დაბლა მოკვდავებს გაუნაწილა
 დასანანია, რომ სიკეთისთვის,
 კლდეზე მიჯაჭვა ვერ აიცილა.
 ვასილ ვასილიჩ, ამას რად ვამბობ,
 რად გაგახსენე ეს შეგონება
 უფროსი ძმა ხარ, ხარ სიბრძნით სავსე,
 და ეს ნათქვამიც გაგეგონება;
 რკინა გასჭედე სანამ ცხელია,
 მაგრამ ამ საქმეს თუ დააყოვნებ
 გაგიცუდდება გვიან მცდელობა. თქვენ ასე მოგდით,
 არ ვცდები, ვგონებ
 ექვსი წლის წინათ, მთელი მოსკოვი, თქვენ ხელში იყო,
 უნდა გეცადათ
 იმ ჯანყის ცეცხლი განელებულა,
 გიჯობდათ ექვს წელს არ დაგეცადათ
 დღეს გვიანია თითზე კბენანი, მგლის ლეკვი ხედავთ,
 კბილებს ილესავს
 სულ არ მიაგავს მიხაილოვიჩს² და არც უფროს ძმას,
 ლოგინში მკვნესავს

1. ტიტანები – ზევსის თაობამდე არსებული ღმერთები (პრომეთე, ჰელიოსი...)

2. მიხაილოვიჩი – ალექსი მიხეილის ძე, რუსეთის წარმატებული მეფე, ჭკვიანი, მაგრამ ავადმყოფური და ავადმყოფი ვაჟების (პეტრეს გამოკლებით) მამა. გარდაიცვალა 1676 წ. 29 იანვარს, უფროსი ვაჟი, მეფე ფიოდორ (თევდორე) ალექსევიჩი იმდენად ავადმყოფი იყო, რომ მამის დაკრძალვის პროცესიას ტახტრევეანში ჩასვენებული მისდევდა. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მომდევნო ვაჟი ივანე, პეტრეს უფროსი ძმა, გონებასუსტი, მხედველობადაქვეითებული, ავადმყოფი.

მგლის ლეკვი – პეტრე ალექსევიჩი (დაბადებული 1672 წ. 30 მაისს, იმ დროს მხოლოდ 16 წლის, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო). მგელს ეძახდნენ შვილზე (პეტრეზე) გადაფარებულ ნატალია კირილოვნა ნარიშკინას, ალექსი მიხაილოვიჩის მეორე მეუღლეს, რუსეთის დედოფალს.



ვასილ ვასილევჩი – თქვენ რომ არ მითხრათ ბორის ძვირფასო,
ქვეყანას ვიცნობ, თავადაც ვხვდები
მაგრამ სოფიას ვერ ვუღალატებ,
ვეცდები რითაც გამოვადგები

და ამას გარდა, ჩემი ვალია,
ყირიმელ თათრებს¹ ძალა ვაჩვენო
გეტმან მაზუბას,² ახლად არჩეულს, მხარი ავუბა,
არ შევაჩვენო
ამიტომა მაქვს დიდი მზადება, ადრე გაზაფხულს,
ვინც მსვლელობას
ყირიმს თუ მოვრჩი, ლიტვას მივდგები,
არ შევეშვები მე ამ მცდელობას

ბორის ალექსეიჩი – თათრების ხანი დასასჯელია,
მოვა დრო ყირიმს დავეუფლებით
მაგრამ ჯერ მოსკოვს უნდა მიხედვა, დე იყოს ძალით,
თუ არა ნებით

1. ჯერ კიდევ 1654-5 წწ. ალექსი მიხაილოვიჩმა პოლონეთის მეფე იან კაზიმირსკის, წაართვა სმოლენსკი, ბელორუსიის ნაწილი, დნეპრის მარცხენა მხარის უკრაინა კიევიტურთ. ამ ომში მეფე ალექსის თან ახლდა კახეთის მეფის თეიმურაზ I ბადიში ერეკლე. (მომავალში ერეკლე I, რუსეთში ნიკოლაი დავიდოვიჩად, ხოლო სპარსეთში ნაზარალი ხანად წოდებული).

1684 წ. შეიკრა ანტითურქული კოალიცია ვენეციის, ავსტრიის, პოლონეთის, რუსეთის მონაწილეობით. კოალიციის შექმნის დროს ვასილ ვასილის ძე გოლიცინმა მოახერხა და რუსეთისათვის ხელსაყრელი ზავი დადო პოლონეთთან. სანაცვლოდ რუსეთმა იკისრა თურქეთ-ყირიმის სახანოს წინააღმდეგ ომში ჩაბმა (1686წ.) შეთანხმების მიხედვით, 1687 წ. მოეწყო რუსეთის პირველი ლაშქრობა ყირიმის სახანოს წინააღმდეგ, ვასილ გოლიცინის სარდლობით. ლაშქრობა წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა, როგორც ბევრ პოლიტიკოსს სჩვევია, იგი წარმატებულად გამოაცხადეს. ამ ლაშქრობისას ვასილ გოლიცინს ახლდა ბიძაშვილი ბორისი. უკანასკნელი დარწმუნდა ბიძაშვილის უნიათო სარდლობაში, მმართველ სოფია-ვასილ გოლიცინის დაჯგუფებას ჩამოცილდა და უმცროსი მეფე პეტრეს ბანაკში გადაბარგდა.

2. ყირიმის ხანის წინააღმდეგ პირველი ლაშქრობის დროს, ვასილის ხელშეწყობით (ირწმუნებიან, დიდი ძალი ოქროს ფასად), ივან მაზუპა გახდა უკრაინის გეტმანი.



ვატყობ მეფობას რომ ეპირება ალექსეევნა,¹
 ქვეყნის მპყრობელი

ძმებს, სრულწლოვანებს, ტახტს არ დაუთმობს, იქცევა,
 როგორც ავი მშობელი
 ივანს არ ვჩივი, თუმც უფროსია, ტანით,
 გონებით არი ვნებული

პეტრეს რას უზამთ, ასაკი უწევს,
 სამეფოდ არი გამზადებული
 სოფია მხოლოდ მმართველი არი,
 სანამდე პეტრე დავაჟკაცდება

მომავალი წლის მაისში უკვე,
 ნებით მოგიწევთ მისი ხელდება

ვასილ ვასილიჩი – ბორის, მე მხოლოდ ვარ გამგებელი, ცხ-
 ვირის ჩაყოფის არა მაქვს ჩვევა
 ჩემი ვალია ის აღვასრულო, რისიც სოფიას მივეცი რჩევა
 შენ მე მაფრთხილებ, პეტრე იზარდა,

მგლის ლეკვი უკვე მგელს ემსგავსება
 არ ჰგავს არც მამას და არც ჭიან ძმებს,

სხვაგვარი არი მისი არსება
 ამას მეც ვხედავ, მაგრამ იცოდე, ივანე მაინც არი უფროსი
 რუსული წესით და ღვთის კურთხევით,

ის ხელმწიფეა ჩვენ სამეფოსი
 ეს იმას ნიშნავს თუ კი ივანეს, ვაჟი ეყოლა მეფეა ვიდრე
 მამის მაგიერ ის გამეფდება, კანონიერი მისი მემკვიდრე
 პეტრე კი რაკი არი უმცროსი,

მომავალ მეფის ბიძად დარჩება
 და ამის მერე აქ რა მოხდება, ეშმაკმა იცის ვინ გადარჩება

ბორის ალექსეიჩი – ეგ ჩანაფიქრი ჭკვიანურია,

1. სოფია ალექსეევნამ – მოახერხა და მსროლელების უფროსის თევდორე ხოვანსკის დახმარებით, მოსკოვში მდგარი პოლკები აამხედრა პეტრეს წინააღმდეგ, მეფობა ვერ წაართვა ნახევარძმას, მგლის ნაშიერს (პეტრე და-ძმებისაგან განსხვავებით მოშავო თვალებით, შავი ტალღისებური თმით, მაღალი ტანით, ფიცხი ხასიათით გამოირჩეოდა), მაგრამ ფიქრობდა თავი-დან მოშორებას სხვა გზით. სოფიას პეტრე მტრად მიაჩნდა და არა ძმად.



მხოლოდ ერთია საფიქრებელი
 უნდა ილოცოთ დაუსვენებლივ,
 რათა უფალმა მოიღოს ხელი
 თორემ რა ხდება, თავადაც ხვდებით,
 ივანე წლობით ცოლიანია
 მაგრამ მემკვიდრე ჯერაც არსაც ჩანს,
 სამეფო ელის დიდი ხანია
 მეფე ივანე, ჯანით ჭიანი, შეძლებს ოდესმე
 მემკვიდრის ყოლას?
 შვილის კეთება არ შეუძლია, ცოლის და ქმარის
 ცალკ-ცალკე წოლას
ვასილ ვასილიჩი – ბორის, თქვენ იცით, რომ პრასკოვია¹
 სოფიამ ძალით მოაყვანინა
 სხვა გზა არ ჰქონდა ავადმყოფ მეფეს,
 დას და მბრძანებელს ვერ აწყენინა
 ეს მე ვურჩიე სოფიას ასე, მით ავაცილე პეტრეს ხიფათი
 სხვაფრივ, საეჭვო მისი სიკვდილით,
 ეკარგებოდა მმართველს ლაზათი

1. პრასკოვია – ვასილ გოლიცინის რჩევით ცოლად მოუყვანეს ავადმყოფ ივანეს. სოფიას პეტრეს მოკვლა სურდა. ვ. გოლიცინი ფრთხილობდა და ურჩია: მკვლელობის ნაცვლად ივანე დაექორწინებინათ. შეარჩიეს 20 წლის, ულამაზო, მაგრამ ტანმაღალი, მკერდიანი, მსუქანი პრასკოვია სალტიკოვა. 09. 01. 1684 წ. ქორწილი გადაუხადეს. ივანეს ქალი არ აინტერესებდა. ამის მიუხედავად მეორე დღეს გამოაცხადეს რომ საქმე მოხდა. 1688 წლამდე შვილი არ ეყოლათ, ამიტომ სოფიას ბრძანებით, პრასკოვიას, ივანეს დამხმარე მიუჩინეს. მალე ხმა დაირხა პრასკოვიას ფეხმძიმობის შესახებ. ამ ცნობამ კი პეტრეს მომხრე ბანაკი ააფორიაქა. სალტიკოვების წინაპარი პრუსიული მიხაილო პრუშანინი XIII ს. ჩასახლებულა ნოვგოროდში. სალტიკოვები 1612 წ. ცრუ დიმიტრის უჭერდნენ მხარს და მარცხის შემდეგ პრასკოვიას წინაპარი პოლონეთში გაიქცა. 1655 წ. როცა ალექსი მიხაილოვიჩმა სმოლენსკი შეიერთა, პრასკოვიას პაპამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. სოფიამ სალტიკოვებს ბოიარობა უწყალობა და დააწინაურა.

თავად პრასკოვია გაუნათლებელი, მაგრამ პრაქტიკული ჭკუის იყო და ამიტომ კრემლის ინტრიგებში არ ერეოდა, ამის გამო მას პატივს სცემდნენ როგორც სოფიას, ასევე პეტრეს მომხრეები.

პეტრეს მეფობის დროს პრასკოვია იზმაილოვოს სასახლეში ცხოვრობდა, პეტრეს მიერ დანიშნული ხელფასით სარგებლობდა.



მე კარგად ვხვდები ასეთი ქცევით,
 სოფია თითქმის გადავიმტერე
 ყმანვილ პეტრესაც ვერ გავეხსენი,
 ჩემ სიკეთეში ვერ დავაჯერე
 მხოლოდ ის მრჩება ყირიმს ვილაშქრო,
 უკან დავბრუნდე გამარჯვებული
 ამასობაში ორივე მხრიდან, იქნებ შევიქმნე დაფასებული
 თავი გადავლო, ვინ დამიფასებს,
 ჩემი შემცვლელი სოფიამ ნახა¹
 პეტრემ კი მარტში რომ ვაწყენინე,

სიბრაზე გულში შემოინახა²
ბორის ალექსეიჩი – ყირიმის ხანთან ბრძოლა ძნელია.
 უსაზღვრო სივრცე გასავლელია
 იმ ლაშქრობაში³ მეც ხომ თან გახლდი,
 ვცანი საეჭვო არ დამელია
 ხანს რომ ვებრძოდით, მალეოროსები⁴, გვეხმარებოდნენ,
 თან ჩუმად გვმტრობდნენ
 მათი მიზეზით ყირიმს ვერ მივწვდით,
 უშედეგობას მარცხად არ ცნობდნენ
 ახლა ირკვევა, თურმე მაზეპა, წინ სოფლებს სწვავდა,
 ქებას ნამლიდა
 მობრუნდებოდა, გვერდით მოგვდევა, მისგან გადამწვარს,
 ჩვენთან გავლიდა

1. ვასილ ვასილიჩ გოლიცინი ყირიმის ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და დაკავებული იყო. ქალის ბუნებას ვაკუუმი არ სჩვევია. გოლიცინის ადგილი სოფიასთან ფიოდორ (თევდორე) შაკლოვიტიმ შეავსო. გადმოცემა ამბობს, რომ „სტრელეცების“ ახალი უფროსი კარგი შესახედი, წარმოსადეგი მამაკაცი იყო.
 2. პეტრე მივიდა საელჩოს „პრიკაზის“ (საგარეო საქმეთა სამინისტროში) უფროს ვასილ გოლიცინთან, დაათვალიერა, შემდეგ მოითხოვა მისი ორი ე.წ. სათამაშო პოლკისათვის საზღვარგარეთ ახალი იარაღის შექმნა. ამ შეხვედრით ორივე მხარე უკმაყოფილო დარჩა. იმ დროს ვ. გოლიცინი მტკიცედ იდგა სოფიას მხარეს.
 3. მხედველობაშია 1687 წ. ლაშქრობა ყირიმის ხანის წინააღმდეგ.
 4. მალეოროსები – უკრაინელები.



ლაშქრობას იწყებთ, სიფრთხილე გმართებთ,
 ხანი მიგელით გამზადებული
 მალღორღები რას აირჩევენ,
 მათგან არ გახდეთ მეტად ვნებული
 კაზაკი, ვინაც გეტმანობისთვის, ათასი ხრიკი გამოიყენა
 არც თქვენ დაგინდობთ და გილალატებთ
 თუკი ოდნავი შეგატყვით წყენა
ვასილ ვასილიჩი – ბორის ძვირფასო, შენ რასაც ყვები,
 მე უფრო მეტი მომისმენია
 ზოგჯერ ჩემ თავშიც დავეჭვებულვარ, გამცინებია,
 არა მწყენია
 შენ რომ არ მითხრა, ისედაც ვიცი,
 ვითომ მაზეპამ ოქრო მადლია
 გეტმანობისთვის ქრთამი ავიღე, კიდეც ვიხარბე,
 ცთუნებამ მძლია
 გოლიცინების მთელი ქონება,
 მეფისას თითქმის გაუტოლდება
 მაზეპასაგან ქრთამს რად ავიღებ,
 ჩემთან იმისი რა გამოჩნდება¹
 მე უფრო სხვა მაქვს სადარდებელი,
 მინდა ეს ფიქრი გაგიზიაროთ
 გულლიად გეტყვით, თქვენც არ მეცრუოთ,
 გულითადობა არ იუაროთ
 ექვსი წლის წინათ მილოსლავსკებმა,
 ნარიშკინების მზე ჩაასვევენეს²

1. არა და არის ცნობა, რომ მაზეპამ ვასილ გოლიცინს გეტმანობისათვის ოთხი კასრი ოქრო გადაუხადა.

2. 27.04.1682 წ. მეფე ფიოდორ ალექსევიჩი მიიცვალა. მის დროს სამეფოს ფაქტიურად მართავდნენ მისი დედის ნათესავები, მილოსლავსკები, ივან მიხაილოვიჩის წინამძღოლობით. მეფის სიკვდილის შემდეგ მათი იმედი და რჩეული სოფია იყო. საერთო ძალით მათ მოახერხეს მსროლელთა (სამხედროების) და წარჩინებულთა ამბოხის მოწყობა, ნარიშკინების კლანის (პეტრეს მომხრეთა) განადგურების მიზნით, რადგან ბოიართა სათათბირომ და პოლიტიკაში, პატრიარქ იოაკიმეს დასტურით მეფედ პეტრე აირჩია. ეს კი მილოსლავსკების (გარუსებული პოლონელების) კლანის სრული მარცხის



ბევრი ჩახოცეს იმათი მიმხრე, არც შეეცოდათ,
 არ დაასვენეს

ახლა, როდესაც პეტრე იზარდა,
 ტახტის გულისთვის ატყდება ომი
 იმათ ჭიდილში რად გავიწყლიტო,

ვის შევატოვო ჩემი ნაშრომი?

ბორის ალექსეიჩი – ვასილ ვასილიჩ, თქვენ სიბრძნე მოგდევთ,
 ბევრი რაიმე არც მე მეშლება
 ვიცი რაც იყო. ის, რაც იქნება.

არა მჭირდება სხვისი თანხლება
 ვიცი სოფიას არ უღალატებთ,

ვერც მეფის დავას გაერიდებით
 ყირიმთან ომი მიტომ გწყურიათ, გინდათ შორს ყოფნა,

განა ვერ ვხვდები
 ექვსი წლის წინათ სხვაგვარად იყო. ოცი წლის მეფე,

როცა დნებოდა
 გარშემო მყოფებს ანდერძად უთხრა,

რადგან იცოდა რაც მოხდებოდა
 „მამაჩემს სურდა – ბრძანა ხელმწიფემ –

სამეფო ტახტზე პეტრე ეხილა
 ჩემი სურვილიც არი იგივე,

მსურდა ეს თქვენთვის რომ გამემხილა“¹

ნიშანი იყო.

სოფიას მხარეს აქტიურობდნენ: მილოსლავსკები, შაკლოვიტი, ციკლერი, ტოლსტიები, ოზეროვი, სანბულოვი და მსროლელთა პოლკის ზოგიერთი პოლკოვნიკი. მათ შეძლეს საერთო ამბოხის გამოწვევა იმ მოტივით, რომ ნარიშკინებმა პეტრეს უფორსი ძმა ივანე უკვე მოკლეს და ა.შ. არ უშველა იმან, რომ დედოფალმა ნატალიამ (მეფე ალექსი მიხაილოვიჩის ქვრივმა, პეტრეს დედამ), ამბოხებულებს პეტრე და ივანე უვნებლები აჩვენა.

შეგულიანებულმა და ფულადი ჯილდოთი გათამამებულმა მემამბოხეებმა უწყალოდ 10 წლის პეტრეს თვალწინ (ამის გამო ტრავმირებული, იგი ზოგჯერ რისხვას ვერ იოკებდა) დახოცეს პეტრეს დედის ძმები: ივანე და ათანასე ნარიშკინები, იური და მიხაილო დოლგორუკები, გრიგორი და ანდრეი რომოდანოვსკები, არტამინ მატვეევი, პეტრე და თევდორე სალტიკოვები და სხვა.

1. ამის შესახებ ცნობას იძლევა ა. ს. პუშკინი (А.С. Пушкин, Историческая проза, М., 1991, с.628) ამ ცნობის თანახმად, თევდორე (ფიოდორ ალექსეიჩი 1662-1682წწ.) თავად ავადმყოფი და უშვილო, მემკვიდრედ უმცროს ძმას



მეფე რომ მოკვდა, ბოიარები, მსხვილი ვაჭრები
 და მსროლელები
 სასახლის კართან შემოიკრიბნენ,
 ივიშივეს და შეაწყეს ხმები.
 მაშინ წამოდგა წინ პატრიარქი
 და შეკრებილებს სიტყვით მიმართა:
 იცით რა გვჭირდა მეფეთა ხელში
 და უმეფობით რაც დაგვემართა
 ჩვენ ახლა ახალს უნდა ვუფეროთ,
 მაგრამ რომელი გინდათ არ ვიცი
 ერთი საპყარი, მეორე დევი, რომელს მივინდოთ
 და მივცეთ ფიცი.
 შეკრებულებმა ირჩიეს პეტრე,
 სნეულს არჩიეს ჯანით მაგარი
 ძმებშიც და დებშიც გამორჩეული,
 აზრით და ქცევით მაინც სხვაგვარი
 სოფიამ, მისმა მხარდამჭერებმა,
 უწლოვან მეფეს მყისვე უგანეს
 ბრბო აამხედრეს, სისხლი დაღვარეს, არვინ დაინდეს,
 ჰგვანდნენ უგვანებს
 გახელებულნი სხვებს რომ მისდევდნენ,
 ზოგი წააკლეს თავისიანი
 როცა მეფობის წესი შეცვალეს, დადგნენ, ინანეს,
 იყო გვიანი.
 ათი წლის პეტრეს ვინ რას კითხავდა, მეფე კი ერქვა,
 იყო პატარა
 თავალწინ დაუკლეს ის ახლობლები,
 ვისთანაც ერთად უნდა ეხარა
 წლები გავიდა, ახლა სხვა არი, ტანით, გონებით,
 ამეტებს ყველას

და ნათლულს (პეტრე ძმამ 29.06.1672წ. მონათლა, უყვარდა, პატრონობდა
 მასაც და მის დედასაც) პეტრეს მიიჩნევდა. მილოსლავსკებმა (დედის ნათე-
 სავებმა) საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მძიმედ ავადმყოფი დაი-
 თანხმეს და მეორე ცოლი მარფა მატვეევნა აპრაკსინა შერთეს. 1682წ. 16
 თებერვალს ცოლი მოუყვანეს, 27 აპრილს მიიცვალა.



ყველაფერს ელტვის, ყველაფერს სწავლობს,
 რუსთა იმედად იწვის და ელავს.
ვასილ ვასილიჩი – სრულ წლოვანება მაისში უწევს,
 შემდეგ მეურვე არ დასჭირდება
 ძალაუფლებას აიღებს ხელში, სოფიას ვიცი გაუჭირდება
 იქნება სისხლი კიდევ დაღვაროს,
 რადგან დას თავად უნდა მეფობა
 პირველობისთვის ბრძოლამ არ იცის, მამა თუ შვილი,
 დობა და ძმობა
 მე მიტომ მინდა რომ გავერიდო,
 ძმათა ბრძოლაში არ მქონდეს წილი
 ყირიმის ახლოს დავიბანაკებ,
 იქვე მექნება დროშა გაშლილი.
 აქ როცა შუღლი ჩამოთავდება,
 წავალ მამულში დავისადგურებ
 და-ძმის ჭიდილში არ ჩავერევი,
 არაფერს ვურჩევ და ვიხმაურებ
 ბიძაშვილი ხარ, ხარ ახლობელი,
 ამიტომ შენზე შემტკივა გული
 გირჩევ იფრთხილო, ჩხუბში არ მოხვდე,
 არავინაა შენი ერთგული
ბორის ალექსეიჩი – ვასილ ვასილიჩ ასე ყოფილა,
 თავს უფრთხილდები, შვილისთვის ცდილობ
 იქ ერიდები, იქითკენ უტევ, იქ არას დარდობ,
 იქითკენ ფრთხილობ
 მთელი მცდელობა წყალში იყრება,
 თუ ბედი იქით გადაიხრება
 ამიტომ დროსაც უნდა შერჩევა,
 საქმის გაჭედვა და დაფიქრება
 როცა ფიოდორ ალექსეიჩმა, მეფე იყო და ჰქონდა უფლება
 წესი ადგილის მონაცვლეობის,
 გააუქმა და ყმებს მისცა ნება
 თუ კი შეძლებდნენ, თანამდებობა
 დიდებულების ჩაეგდოთ ხელში



რად არ შეცვალეთ, ვიდრე შეგეძლოთ,
 რად გადატყუებთ სამეფო წელში¹
 ახლა გვიანი არი მცდელობა,
 პეტრემ ისწავლა ყმების ხელობა²
 მათსავით ომობს, მათსავით შრომობს,
 მათთან ურჩევნის ერთობა, ძმობა
 მდაბიონი ჰყავს შემოხვეული,
 ყოველ ხელობას იმათგან სწავლობს
 როგორც შეგირდი მონდომებული, სიახლეს ელტვის,
 ეძებს და წვალობს.

ვასილ ვასილიჩი – ალექსეევიჩ თქვენ თქვით სიმართლე,
 ვაგვიანებდი მე ჩემი დღენი
 განათლებაც მაქვს, სიმდიდრეც მომდევს,
 მაგრამ ცხოვრება ვერ გარდავემენი
 მაშინვე მივხვდი,
 როგორც კი მეფემ „მონაცვლეობის“ შეცვალა წესი
 ჩვენ ბოიარებს ძირს შეგვირყევდა,
 სწორედ ამიტომ იყო ნათესი
 როცა სოფიამ ივანეს, პეტრეს, მეურვეობა აიღო ხელში
 წესს თუ შევცვლიდი, ყველა მდაბიოს,
 გაამაყებულს მოვხრიდი წელში

1. რუსეთში წესად იყო მიღებული დიდებულების მიერ თანამდებობების მემკვიდრეობით დაკავება. ე.წ. „მესტნიჩესტვო“ (местничество). 1681 წ. მეფემ ეს წესი გააუქმა და მდაბიოებს უფლება მიეცათ, თუ დაიმსახურებდნენ, თანამდებობა დაეკავებინათ. ამ ახალმა წესმა დიდებულების უკმაყოფილება გამოიწვია. ვასილ გოლიცინს სურდა ძველი ვითარების აღდგენა მაგრამ ვერ მოახერხა.

2. 1682 წ. დედოფალმა ნატალია ნარიშკინამ პეტრესთან ერთად დატოვა კრემლი და სოფ. პრეობრაჟენსკოეს სასახლეში გადასახლდა. აქ პეტრეს მიეცა თავისუფლება. მან შემოიკრიბა მსახურეულთა შვილები (შემდეგ იქ არისტოკრატთა შვილებიც მიიღეს, თვით ალექსანდრე ქართველთა უფლისწულის ე.წ. „იმერეტინკი ცარევიჩის“ ჩათვლით) და ამ ბაზაზე შექმნა ჯერ გასართობი, შემდეგ კარგად ორგანიზებული „პრეობრაჟენსკისა და სემიონოვსკის“ სამხედრო პოლკები (სახელწოდება დისლოკაციის ადგილის მიხედვით ეწოდათ). უწლოვანი მეფე პეტრე, პოლკში ჯერ მედოლის თანამდებობაზე „მსახურობდა“ შემდეგ „სერჟანტობა“ მიიღო და ასე დაიწყო რუსეთის იმპერიის შემქმნელის სამხედრო კარიერა.



თან შეცვლა პეტრეს დაბრალდებოდა,
 და ყველა ერთგულს მივაცილებდი
 ვაჭიანურე ხოვანსკის გამო, ჩემ თავს, ჩემ თავთან,
 მე ვამართლებდი
 ახლა ვუყურებ არი გვიანი,
 პეტრეს ჯარი ჰყავს გამზადებული
 ყველა მდაბიო მასთან მსახურობს,

მისთვისვე არი თავდადებული
ბორის ალექსეიჩი – თქვენ რომ გეგონათ პეტრე სულელი,
 ბავშვურ თამაშში დღეთა მფლანგველი
 ხედავთ? მართლები არა ყოფილხართ.

მგელმა გაზარდა ხროვა დამცველის
 თქვენ იცინოდით,
 ასე ფიქრობდით პეტრე თამაშებს გადაეგება
 ხელჩართულ „ბრძოლებს“ არ ერიდება,
 თამაშ-თამაშით მოკლან ეგება
 როცა სოფიამ რომოდანოვსკი,¹

რათა გაეგო პეტრეს ამბავი,
 პრებრაჟენსკოში გამოაგზავნა, ხომ მოგიტანათ პასუხი ავი:
 „იქ ბევრი არი ლალი ხუმრობა,

და უფრო მეტი ჯარის მზადება“
 ერთად ისწავლეს ყმებმა

და მეფემ დიდი საქმისთვის თავისდადება
 გვიან ანებეთ დაცინვას თავი,

რას რა მოჰყვება გვიან გაიგეთ

1. პეტრეს გატაცება „სათამაშო პოლკებით“, შემდეგ კი „პერეიასლავსკის“ ტბაზე „გემთმშენებლობით“, დასაწყისში სამეფოს ნამდვილ მმართველ სოფიას, გარშემო შემოკრებილ მილოსლავსკების საგვარეულოს კიდევ აწყობდა და ამას „გიჟი“ მეფის ახირებად მიიჩნევდა. როდესაც პეტრე წამოიზარდა, დავაჟკაცდნენ მასზე უფროსი „პოლკელები“ ა. გოლოვინი, გ. გოლოვკინი, მ. გოლიცინი, ვ. ბუტურლინი, ა. ბაგრატიონი და სხვა. როცა დიდგვაროვანთა შვილებმა დაიწყეს პეტრეს „ჯარში“ სამსახური, სოფიამ ამბის გასაგებად პრეობრაჟენსკოეში მიავლინა ბოიარი თევდორე იურის ძე რომოდანოვსკი. პასუხი იყო: პრეობრაჟენსკოეში ხუმრობა ბევრია, სერიოზულიც ასევე. სოფია დაიბოღმა და პეტრეს თავიდან მოშორება განიზრახა.



და მაინც შეცდით, მეფე გარიყეთ,
 შურის და ბოლმის კოშკი აიგეთ
 „ბოიართაგან“ ვინ ჰყავდა პეტრეს,

გოლოვკინები, გოლოვინები
 ერთი თუ ორი მისი თანხლები, მისგან მიიღეს ვინაც ჩინები¹
 ძალად არ თვლიდით წლებით პატარას,

თუმცა სიმაღლით ყველას ფარავდა
 ახლა, როდესაც ასაკი უწევს,

მასთან დიდიც კი დაპატარავდა.
ვასილ ვასილიჩი – არ უნდა ქება. მე ადრე მივხვდი ტანით,

გონებით, ის სხვა ხილია
 მტრებს არ დაინდობს, მეგობრებისთვის გულ გახსნილი
 და ხელ გაშლილია

სხვის ეშმაკობას უმალ მიხვდება,
 თავისას ფარავს მოთმინებითა

მეფე იქნება სწორუპოვარი და მე ასეთი ვაგინო ვითა
 ერთს კი მოვყვები, თქვენ შეაფასეთ,

რა სწორედ უჭრის მეფეს გონება
 „ბოიარები“ ძველ წესს მისდევენ,

არც გადუხვევენ, გაგეგონება
 უკმაყოფილო „ბოიარებმა“, პეტრე იწვიეს სანადიროთა
 თან გაუმხილეს: „მეფე ყმებს შორის,

არ უნდა იყოს მფლანგველი დროთა“
 მხოლოდ დიდებულთ უნდა წყალობდეს, მათთან ვიდოდეს,
 მათთან პურობდეს

უგვართ არც კი ენახვებოდეს,
 ადამიანად არავის ცნობდეს“.

პეტრემ ისმინა, კიდევ ითმინა, არ შეიმჩნია თუ რამ იწყინა
 „ბოიარების“ წრეში ჩამდგარმა,

რალაც ჩაითქვა და ჩაიცინა
 გავიდნენ მინდვრად, ჩაჰბერეს საყვირს,

მოდგნენ ძაღლები და მარეკები

1. პეტრეს გადაწყვეტილებით პოლკებში შემოღებული იყო სამხედრო წოდებები ევროპულის მსგავსად.



უნდა დაენყოთ ნადირთა დევნა,
 დაიყვეს სივრცე და ბილიკები
 მეფემ უყურა იმათ სამზადისს, რომ დაასრულეს,
 ხმამაღლა ბრძანა:
 მეფე მხოლოდ თქვენ უნდა გხედავდეთ,
 თქვენგან ვისწავლე ეს ანა-ბანა
 ამიტომ ვითხოვ „ბოიარებმა“
 სახლში გაუშვათ მსახურნი, ყმები
 ძალღებს თქვენ თვითონ მისდიოთ კვალში,
 გახდეთ მწვერები და მარეკები.
 „ბოიარებმა“ იუკადრისეს, მაგრამ ვერ უთხრეს მეფეს უარი
 ჩამოქვეითდნენ, ბევრი იწვალეს, დღე დაიყენეს ბნელი
 და მწარი
 და ნადირობაც იყო უაზრო, რაც არ იცოდნენ,
 ის ვერ აკეთეს
 თავი გატანჯეს, რაც უფრო მეტად,
 მეფის განწყობა გამოაკეთეს
 ბოლოს შეკრიბა გადაღლილები
 და მოკლედ უთხრა ეს შეგონება:
 ყმასა და მსახურს თუ კაცად არ თვლით,
 ბნელი დარჩება თქვენი გონება¹

1. პეტრე დიდის ისტორია გვამცნობს, რომ 1684 წ, როცა მან თავისი „სათამაშო“ პოლკების შექმნა დაიწყო, სადაც „უგვარო“ მეთაური იყო, თავად კი დაქვემდებარებული. „ბოიარების“ უკმაყოფილება აზვირთდა. მათი აზრით, ასეთ უგვანო საქმეში მეფეს დედამისი ნატალია კირილოვნა და პატრიარქი იოაკიმე უწყობდნენ ხელს. გადაწყვიტეს მეფისთვის კეთილშობილთა აღზრდის თავისებური გაკვეთილი ჩაეტარებინათ. ამ მიზნით სანადიროდ დაპატიჟეს. ნადირობის დაწყების წინ პეტრემ განაცხადა: თუ ჩემთვის სამხედრო საქმეში უგვარობთან ურთიერთობა არ შეიძლება, მაშინ არც ნადირობის დროს არ მიწადა მათი მონაწილეობა, არ მეკადრება. „ბოიარებმა“ ძაღლები ჩაიბარეს, მსახურები და მარეკები გაუშვეს, მაგრამ არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ, ძაღლები ცხენებს აფრთხოვდნენ. „ბოიარებს“ უსხლტებოდნენ, მხედრები ცხენებიდან ცვიოდნენ. ნადირობა ჩაიშალა. მეორე დღეს პეტრემ შესთავაზე შევარდნებით ნადირობა მოენყოთ. „ბოიარებმა“ უარი განაცხადა. მაშინ პეტრემ უთხრა: მეფე მეომარი უნდა იყოს, ნადირობა კი უგვართა საქმეა. ომი კი ჯარისკაცების გარეშე არ იქნება. 12 წლის მეფემ იქით ჩაუტარა გაკვეთილი რუს დიდებულს.



ბორის ალექსეიჩი – თორმეტის იყო მაშინ ხელმიფე,
 თორმეტი წლისამ სხვებს ჭკვა ასწავლა
 პოლკების შექმნაც იმ წელს დაიწყო
 და მოახერხა დიდი გზის გავლა
 იმავ დროს მოხდა, ჯვრით შემოვლის¹ დროს,
 პატრიარქს მისცა ზოგ-ზოგი რჩევა
 საეკლესიო წეს-მსვლელობაში,
 რა სჯობს და როგორ გამოერჩევა
 შემდეგ, იახლა „ბოიარები“ და საზარბაზნე² სადგომს ეწვია
 თავად ისროლა, სხვებს ასროლინა,
 სურდა შეჯიბრში გამოენვია
 ყველას აჯობა ფრანც ტიმერმანმა,
 მეფე დარწმუნდა იმის ცოდნაში
 ნამოიყვანა, მასწავლებლად ჰყავს,
 დღეს ატარებენ საქმის დევნაში
 ზარბაზნის საქმეს თავად სწავლობდა
 და ალექსანდრეც³ გვერდითა ჰყავდა

1. ჯვრით შემოვლა – იყო წესი, მეფე-დიდებულები ჯვრით ქალაქის გალავანს შემოუვლიდნენ და ილოცებდნენ. 1684 წ. ჯვრით შემოვლა ორივე მეფემ, ივანემ და პეტრემ ერთად შეასრულეს. ამის შემდეგ პატრიარქ იოაკიმეს ეწვივნენ სადილობაზე. ივანე, როგორც წესი, მდუმარედ იჯდა. სანაცვლოდ პეტრემ გამოიკითხა ამ და სხვა საეკლესიო რიტუალების არსი, ისტორია და გამოთქვა აზრი მათ შესახებ.
2. გადმოცემის თანახმად, პატრიარქიდან წამოსულმა პეტრემ გაიყოლია „ბოიარები“ და საზარბაზნეს (пушечный двор) ეწვია. მოსთხოვა მეზარბაზნეებს მიზანში ესროლათ და თავადაც ისროლა. ყველას „პორუჩიკმა“ ფრანც ტიმერმანმა აჯობა. პეტრე გაესაუბრა, დარწმუნდა მის ცოდნაში და პრეობრაჟენსკოეში წაიყვანა. ტიმერმანი პეტრეს ასწავლიდა გეომეტრიასა და ფორტიფიკაციის საქმეს. პეტრემ მდ. იალუასთან ააგებინა პატარა ციხე და ტიმერმანის რჩევით განალაგა ზარბაზნები. ამის მერე თავის პოლკს რეგულარულად ავარჯიშებდა ციხის დაცვა-აღების საქმეში.
3. ალექსანდრე – რუსეთში ცნობილი იმერეთის მეფისწული, არჩილის ძე. იმერეთში 1678 წ. კიდევ ერთხელ გამეფებული არჩილ III ერთი წლის შემდეგ იძულებული გახდა ქვეყანა მიეტოვებინა და თავშესაფარი რუსეთში ეძია. ოჯახით, თანხმლები პირებით 1680 წ. იგი ასტრახანში ელოდა რუსეთის მეფის ნებართვას. გარკვეულ-გაურკვეველ მიზეზთა გამო, ლოდინში წლები გავიდა. 1684 წ. მოსკოვში წასვლის უფლება მხოლოდ მის ორ უფროს შვილს ალექსანდრეს და მამუკას (რუსეთში მატყვიად წოდებულს) მისცეს. ალექსანდრე, 1670 წ. დაბადებული, მეფე პეტრეს თავიდანვე მოეწონა, დაიახლოვა



უყვარდა, რადგან ბატონიშვილი,
 ქცევით, იერით ძმასავით ჰგავდა
ვასილ ვასილიჩი – ეგ „ალექსანდრე იმერეტინსკი“¹
 ივერთა ერთი მეფის შვილია
 კავკასიელთა ჯიშისა არის, იმათ მთებზე მხარგაშლილია
 თქვენ გაგიგიათ ან თუ არ იცით,
 მაგაზე ადრე აქ სხვა სტუმრობდა
 მიხაილოვიჩს² შვილივით ჰყავდა, თავიც მოჰქონდა,
 კი არ ხუმრობდა
 მეფეს თან ჰყავდა, ომშიც, ზეიმშიც,
 არ იშორებდა სადაც ვიდოდა
 რისი გულისთვის არავინ იცის, არც ის თუ ასე გამოვიდოდა
 მე, თავად ვიცი, სასახლის კარზე, მრავალი ღამე მითენებია
 ათასი ფიქრი შემომწოლია, ოცნების კოშკიც მიშენებია
 მუდამ მიკვირდა ალექსი მეფეს,
 დავიდოვიჩი³ რაში აწყობდა
 როგორც თანატოლს არ იშორებდა,
 ყველა დაფარულს იმას ანდობდა
 ბოლოს სოფია ალექსეევნამ, დამაფიცა და ისე გამანდო
 რატომ და რისთვის, ჩვენი მეფისთვის,
 ივერიელი რომ იყო სანდო
 ეს „ალექსანდრე იმერეტინსკი“ დავიდოვიჩის დის შვილი არი
 ეკატერინე დავიდოვნა კი იერით არი მეფის მაგვარი
 თავად მიხვდები, ასეთი რამე, სალაპარაკო არ გამიხდია

და თავის „თამაშებში“ ჩააბა. საზარბაზნე საქმესაც ერთად სწავლობდნენ. ერთნაირი ტემპერამენტის, გარეგნობის (პეტრე სიმალით აჭარბებდა), მისწრაფებების ყმაწვილები ადვილად შეეთვისნენ და როგორც ისტორია გვამცნობს, იყო შემთხვევები, როცა ერთ ოთახში ეძინათ, როგორც ძმებს.

1. ალექსანდრე იმერეტინსკი – მამა მისი არჩილი თუმცა კახეთშიც იყო მეფედ და სწორედ იქ შეირთო თეიმურაზ I ბაღდათის ქეთევანი (იმერეთის უსინათლო მეფე ბაგრატის ცოლყოფილი), მაგრამ მოსკოვში მაინც იმერეთის და არა კახეთის მეფედ ითვლებოდა, ამიტომ ალექსანდრეც იმერეთის მეფისწული იყო და არა კახეთისა.

2. მიხაილოვიჩი – ალექსი მეფის მამა.

3. დავიდოვიჩი – ერეკლე I და ქეთევანის მამა, დავითი თეიმურაზ I შვილი. დაიღუპა ბრძოლისას 1648წ.



სასახლის კარის სიტყვით მცველებთან

მრავალი ომი გადამიხდია.

ბორის ვასილიჩი – თქვენ, ბიძაშვილო, თქვენზე უმეტეს, სასახ-
ლის კარის ძველი ამბები

მეფის ოჯახის ავი და კარგი, მოსაგონები, დასაკარგები
სხვამ ვინღა იცის. ამიტომ არის რაც მომიყვები,

ყველა ვინამე

გულს შევინახე, როგორც საუნჯე

და განსჯით თავი არ გავინამე

ახლა კი მესმის, ქვეყნის მმართველი,

სოფია პეტრეს რად ემტერება

სანამლავს მისცემს.

საკუთარ ხელით ჩამოხრჩობაც არ დაეზარება
ისაც არ მიკვირს მილოსლავსკებმა,

ნარიშკინები რატომ აწამეს

შეეძლოთ, კვლავაც გააგრძელებდნენ,

არ დადგებოდნენ არც დღე, არც ღამეს

მე მხოლოდ ერთი ვერ გავარკვიე,

თუმც მოსამართლე მენოდებოდა¹

ხოვანსკი მამა თუ ღირსი იყო, შვილს რას ვერჩოდი,

მეცოდებოდა

თავის მოკვეთა მე მივუსაჯე, თუმცა ლა რატომ,

მე არ ვიცოდდი

ცოლ-შვილი მათი შველასა მთოხვდა

და პატარების ცოდვით ვინოდი

ვასილ ვასილიჩი – მსროლელთა ჯარის ამბოხის შემდეგ,

ივან ხოვანსკი² მე დავადგინე

1. 1685 წ. ხოვანსკების დასჯის დროს ბორის გოლიცინი მთავარი მოსამარ-
თლე იყო.

2. 1682 წ. მსროლელთა ამბოხის ჩახშობის შემდეგ, მსროლელთა პოლკების
ახალ მეთაურად ივან ანდრეიჩ ხოვანსკი დაინიშნა ჯარის სიყვარულმა და
ერთგულებამ მამა-შვილი ხოვანსკები გაათამაშა, დაუდგენელია, რა მოხდა
ხოვანსკებსა და მილოსლავსკებს შორის. მილოსლავსკებმა მეტოქეები სოფი-
ასთან დაასმინეს. 02.03. 1685წ. სასახლის კარზე მიკრული წერილის თანახმად,
ხოვანსკები მეფეების (ივანესი და პეტრეს) დახოცვას და ქვეყნის დაუფლებას



მივეცი ფული, ძალა-უფლება და ანდრეისაც არ ვანყენინე
მამის დამხმარედ და თანაშემწედ მე განვანესე.

მივეც უფლება.

ევალებოდა პოლკების მოვლა

და მსვლელობისას სოფიას ხლება

ივან ანდრეიჩს ის ნიჭი ჰქონდა,

მსროლელებს გულთ შეჰყვარებოდათ

მამა-შვილს თავში ეს აუვარდა

და თან ფარულად აზრი დაჰქონდათ

თუ თავის დროზე ვასილ შუისკიმ

და ცრუ დიმიტრიმ შეძლეს მეფობა

„ბოიარები“ წინ ვერ აღუდგნენ,

ვერ დაიმკვიდრეს აზრით ერთობა

ხოვანსკებს უფრო მეტი ეკუთვნით,

პოლონელ მეფის ჩამომავლები

რად უნდა იყვნენ ქვეშევრდომები,

რომანოვები ნებით სავლები

მილოსლავსკებაც პოლონელობდნენ.

არავინ იცის მათში რა მოხდა

იყო, არ იყო დავა, გაყოფა. ბოლოს ამბავი ასე გამოხდა:

მილოსლავსკებმა გაახშიანეს, ივან ხოვანსკის მეფობა უნდა

უკან არ იხევს, ორივე მეფის,

ყელის გამოჭრა დასჭირდეს თუნდა

ეკატერინა ალექსეევნას¹ ცოლად შეირთავს და გამეფდება

თუ სხვა მოცილე არავინ დარჩა, ბუნებრივია, ასე მოხდება

ჩემი ჩარევით და ჩემი რჩევით,

სოფიას მხრიდან ასე დადგინდა:

მეამბოხენი ხოვანსკებს მიჰყვნენ,

ჯარი შეივსო და გაიწმინდა

აპირებდნენ. სოფიამ ძმები სერგეი რადოჟსკის მონასტერში (ფაქტობრივად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეში) გახიზნა, ფეოდალური ჯარის შეკრება ბრძანა და ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო. იგი ივანე და ანდრეი ხოვანსკების დასჯით დამთავრდა. ამის მერე სოფია ფაქტიური მეფე გახდა.

1. ეკატერინა ალექსეევნა – სოფიასი და მეფეების და.



მსროლელთა პოლკებს ახალ უფროსად თევდორე¹ მივეც,
 ჩემი ერთგული
 ბოლოს გამოდგა ჩემი შემცველელი,
 როცა დაიპყრა სოფიას გული
 ასეა მუდამ. ის გილაღატებს, ვისაც აღზრდი და გადაეგები.
 შაკლოვიტს ახლა ერთი აქვს აზრი,
 სოფია ხელში იგდოს ეგები
 იმდენს არ ფიქრობს ეგ უბადრუკი,
 მეტოქეობა ჩემთან ძნელია
 მე თუ არ დავთმე, განზე არ გავდექ,
 სოფია როგორ მოსავლელია
 ჩემი მიზანი არი ნათელი:
 ტახტის გულისთვის დავა მწვავედება
 ან ერთი მხარე და ან მეორე,
 ტახტის მპყრობელი როცა გახდება
 ყირიმის მხრიდან ჩამოვალ მაშინ,
 გამარჯვებულის მხარეს დავდგები
 მილოსლავსკები, ნარიშკინები,
 მათ ბრძოლას რატომ გადავეგები
 ჯერ მე გიფარავ, სოფიას რისხვას,
 შემიძლია და მე აგაცილებ
 ჩემთან იქნები, ჩემ მფარველობას,
 ძმა ხარ და ძმურად გაგინანილებ
 სოფიას მარცხი თუ უწერია,
 თუ პეტრე დარჩა გამარჯვებული
 იქიდან რისხვას შენ ამაცილებ,
 არ შევიქმენები მისგან ვნებული
 და-ძმა იბრძვიან, იმათი ბრძოლა,
 ჩვენ შორის ბრძოლად არ მიმიღია
 ჩვენი მამები თუ იყვნენ ძმები,
 მე ჩვენი ძმობის გული მაქვს ღია

1. თევდორე – ფიოდორ ლეონტიევიჩ შაკლოვიტი სამეფოს მმართველის სოფიას ახალი ფავორიტი ვასილ გოლიცინის ხელქვეითი და მისგანვე შერჩეული ახალი უფროსი იყო მსროლელთა პოლკებისა.



ბორის ალექსევიჩი – ბრძნულად განსაზღვრე,
 ასეც შევეთანხმდეთ, სოფიას რისხვა მსურს ავირიდო
 გარს ახვევია ათასი ვინმე, იმათი ცოდვაც არ ავიკიდო
 თუ გაიმარჯვებ, ხომ დამიფარავ, თუმც მეექვსეა,
 რომ ასე მოხდეს
 თუ გავიმარჯვებ, გქონდეს იმედი,
 თვითონ პეტრეც რომ ცუდად გამოხდეს
 მაინც თავს დავდებ და გადაგარჩენ, ძმები ვართ,
 ძმური დაგვიდევს ფიცი
 შენი ნათქვამი არი კანონი, სიტყვის გატეხა არც მე არ ვიცი.

**/ვასილ და ბორის გოლიცინების თათბირი ასე მთავრდება/
 /კუკუი – ქალაქი¹. იოჰან მონსის ღვინის დარბაზი. მხ-
 იარულება, ცეკვები, ლოთობა/**

ფრანც ლეფორტი – ქალი ყვავილი არი ცხოვრების
 და სილამაზით უნდა გვარობდეს
 კაცს იზიდავდეს მისი სურნელი, მისით თვრებოდეს,
 მისით ხარობდეს
პეტრე – ვარდი პირველობს ყვავილთა შორის, ეკლიანია,
 მიუკარები

1. კუკუი-ქალაქი – კრემლთან ახლოს, მდ. იაუზას ნაპირას იყო ე.წ. გერმანული დასახლება. ცხოვრობდნენ შოტლანდიელები, ინგლისელები, პოლანდიელები, გერმანელები. ბევრი იყო მეფე ალექსი მიხეილის ძის მონვეული სპეციალისტები: ექიმები, ფარმაცევტები, მენარმეები, ვაჭრები, მასწავლებლები. იყვნენ ევროპაში ხელმოცარული ან გამოქცეული ავანტიურისტებიც. დასახლებაში ჰქონდათ თავი-სი კათოლიკური ეკლესია, თეატრი, სავაჭრო. შრომობდნენ, საღამოობით იმარ-თებოდა ცეკვები. რუსები ენის უცოდინარობის გამო, მათ კუკუშკებს (გუგულებს) ეძახდნენ და დასახლებასაც უწოდეს კუკუთ-ქალაქი. აქ ცხოვრობდა ჰოლანდიელი ვან კელერი. იყო მდიდარი, განათლებული, ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩახედული. აქ ცხოვრობდა პატრიკ გორდონი – უცხოელ სამხედროთა ლიდერი. იყვნენ ინგლისიდან კრომველის დროს გამოქცეული კროუფორდები, ჰამილტონე-ბი, ლესლი, გრაამი. რაც არსებითია, აქ ცხოვრობდა შვეიცარიელი ფრანგი ფრანც ლეფორტი, შეძლებული, განათლებული, მხიარული. იგი პეტრეზე 23 წლით უფროსი იყო. მაგრამ მეგობრობამ ასაკი არ იცის. პეტრესთვის იგი კარგი, ერთ-გული მრჩეველი გამოდგა. ამავე დროს მხარს უზავდა ყმანვილ პეტრეს აზარტულ საქმიანობას. თავისი ბინა დაუთმო დროსტარება-ორგვიებისათვის.



შორიდან გხობლავს, ახლოს არ გიშვებს,
დაგკოდავს თუკი მიეპარები
ფრანც ლეფორტი – მაინ ჰერც, პიტერ, რაც დაგემართა,
სასაცილოა მოსაგონებლად
ვარდის საკრეფად თუ მიდიოდი,
რატომ არ გსურდა გყოლოდი მხლებლად?
პეტრე – ვინ იფიქრებდა ეს მოხდებოდა, ვიცეკვეთ,
შემდეგ გავიპარენით
სანოლში ჩავხტით, ავავესე ლხენით,
აქეთ დამათრო ნაზი სურნელით
და როგორ მოხდა, ვერც კი გავიგე,
თავზე დაგვადგა გამხეცებული
შეეცები, რა მექნა აღარ ვიცოდი, სილა გამანა,
გამისკდა გული¹
ბოლოს თუ მიცნო, ასე მომმართა: არ იყო მეფე,
აქვე მოგკლავდი.
რა მეპასუხა, სწრაფად ჩავიცვი.
დამფრთხალი ალბად კურდღელსა ვგავდი
ფრანც ლეფორტი – კარგი ყოფილა ვხედავ მეფობა,
გადაგარჩინა, ბედი გქონია
ეგ ერთი სილა, რაც მე მინახავს,
პეტრ ალექსეიჩი, მონაგონია
შვეიცარია მაგიტომ დავთმე. დავთმე კი არა დამათმობინეს
გერმანიაში მეტი ვინვნიე, ვიდრე რუსეთში,
აქ, მაგრძობინეს
საშინლად მწყინდა სილა-გინება,
სანამ ამგვარებს მივეჩვეოდი
გარშემო მყოფნი მხიარულებდნენ,
მე დაბოლმილი ყვაავით ვწნდოდი
ჭირსაც სცოდნია თურმე მიჩვევა.
ბოლოს იქამდე მივიდა საქმე

1. პეტრეს ბიოგრაფები არ მალავენ იმ ფაქტს, რომ იყო ქალების მოყვარული და უკანონო შვილების რაოდენობით ყველას ამეტებდა. ამის გამო ეჭვიანი (რა თქმა უნდა, „უსაფუძვლოდ“) მეტოქისაგან კიდევ მოხვედრია.



ვინაც მლანძღავდა ღვინით ვლოცავდი,
ჩვენც დავილოცოთ, გთავაზობთ აქვე
პეტრე – ერთი პირობით, დარბაზში მყოფთა,
არ მინდა ვინმემ რომ ეს იცოდეს
ქმარს დასცონოდნენ, მასხარაობდნენ,
ცოლი კი ქმარის ცოდვით იწოდეს.

**/დიდ ჭიქებში (კრუშკებში) ჩამოასხამენ ღვინოს და
„რქიანი“ ქმრის სადღეგრძელოს სვამენ. მხიარულება გრძელ-
დება/**

ფრანც ლეფორტი – ალექსეევიჩი, მაქვს ერთი აზრი.
მეფეს ათასი უყურებს თვალი
ათასი უსმენს, უფრო მეტს უნდა მიყურადება,
შორით თვალთვალი
რომ მოვერიდოთ უცხოთ ინტერესს
და „მოყვარეთა“ დაგებულ მახეს
სოფიას მსტოვრებს, ჭორიკანა ხალხს, ამასთან იყავ,
იმასთან გნახეს
იცი სახლი მაქვს საკმაოდ ფართე, თუ იკადრებდით,
]თქვენთვის დავთმობდი
მე მაინც ომში მომიწევს წასვლა,
თუმც ყირიმის ხანს ჩემ მტრად არ ვცნობდი
თუ ხართ თანახმა, ერთიც დავლიოთ,
მე სხვა სიკეთეს ვერ მოვესწარი
ღვინოში თუ არ ჩავკალი ჯავრი,
მთელი ცხოვრება მექნება მწარი.

/სვამენ/

პეტრე – ფრანც მეგობარო, მე აქაც მომწონს,
ანა მონსს მაინც ვეარშიყები
მაგრამ მერე ჭირს კარის მიგნება, ჯერ რომ დავთვრები,
მერე გავტყვრები
ამიტომ შენი წინადადება, დაუკვირდები მისაღება



იქ შემეძლება გამოვიძინო, ვისთან ერთადაც, გასაგებია...
მოისევევი¹

(მეზობელ მაგიდიდან ნიკიტა ზოტოვი ანიშნებს მზადყოფნას)

დაწერ ბრძანებას: დღეიდან სახლი ჩემი მეგობრის,
ფრანც ლეფორტისა
ხდება ტაძარი აურ-ზაურის, თავაშვებულთა და ლოთებისა
იქ დიონისე-ბახუსს მივარებთ საკადრის პატივის კვირაობითა
შენ ინიშნები მთავარ ქურუმად.
კვერთხსაც მიიღებ სახელობითა
რომოდანოვსკის დაევალება,
ლეფორტის სახლი გადააკეთოს
თავად უსარდლოს ლოთთა შეკრებებს,
დავა-ჩხუბები მათში აღკვეთოს
ხო, კიდევ ერთი, ფრანცმა მაცნობა,
მომავალ ომში ყირიმის ხანთან
სურს რომ იბრძოლოს. მისი ეს ბრძოლა,
იქნება ბრძოლა საკუთარ ხანთან.
ვითვალისწინებ მის ხანს და სურვილს,
ამიტომ ვნიშნავ ჩემს მეთვალყურედ
შენც მოგიძებნი თანამდებობას,
თუკი ლოთობით დაიმსახურებ
ამასთან ერთად, ფრანცის თხოვნაა,
პოლკში ჩავრიცხო მისი მსახური.
ფრანც, რომელია, ჩვენც გაგვაცანი,
არ დარჩეს უცხო და უსახური

ფრანც ლეფორტი (უძახის) – ე... ალექსაშა ...

(შემოდის ტანმაღალი 18-20 წლის ახალგაზრდა)

1. ნიკიტა მოისევევი ზოტოვი – ადრე ხაზინის ჩინოვნიკი (გადასახადების ამკრეფი). იგი შეარჩიეს მცირეწლოვანი პეტრეს აღმზრდელად. მან პეტრეს ასწავლა წერა-კითხვა, ლოცვანი. გვაცნობებენ დილით წერა-კითხვაში ავარჯიშებდა, შუა დღის მერე რუსეთის ისტორიას უყვებოდა. აღსაზრდელს წიგნის კითხვა შეაყვარა. იყო აღსაზრდელის ერთგული და როცა პეტრე მართლა გამეფდა (1689წ.), მმართველობაში გავლენა მოიპოვა. იგი იყო პეტრეს პირადი „მდივანი“ და მისი თავგადასავლების მონაწილე.



აღექსაშა¹ – მინ ჰერც, მეძახდით?

ფრანც ლეფორტი – რალა თქმა უნდა. პეტრ აღექსევიჩი,
 შეხედე კარგა
 გაქნილი არი ყველა საქმეში. მიტომ მივიღე. კიდევ ივარგა
 ამიტომ მინდა, რომ ჩემს მაგიერ,
 როგორც მსახური ერთგული გყავდეს
 ის მოგიძებნით კარგ გამოსავალს,
 როგორაც უნდა ქმარი გაავდეს
 კუკუი-ქალაქს ზეპირად იცნობს, ვინ სადა სახლობს,
 არ გამორჩება
 თუ გაჭირდება, თქვენ თავს დააღწევთ,
 პასუხისმგებლად თავად დარჩება
 რა უნდა იყოს თქვენ დაავალოთ, შეძლებს,
 თვით ნემსის ყუნწში გაძვრება
 გაიძვერაა უდიადესი. ამიტომ რომ ვთმობ, თან მეძვირება
 პეტრე – განძი ყოფილა აუნონავი.

ხვალ დილით პოლკში ირიცხებოდეს
 ფორმა ჩააცვით, ამიერიდან
 სამხედრო წესით უნდა მხვდებოდეს

/ხმაურია. შემოდიან ლევ კირილოვიჩ ნარიშკინი, ივანე მუსინ-პუშკინი, ტიხონ ნიკიტჩი სტრეშნევი/

ო... ვისა ვხედავ, ლევ კირილოვიჩ, უფრო ძვირფასი,
 ვინ მყავს სტუმარი
 მაგრამ აქ მაინც არ მოგელოდით,
 გზა აგებნათ თუ მოგექცათ მხარი?
 სანამ რაიმეს მიპასუხებდეთ.

ჯერ ჩემს დედის ძმას მინდა გაკოცოთ

1. აღექსაშა – რუსეთის იმპერიის მომავალი გენერალსიმუხი აღექსანდრე დანილოვიჩ მენშიკოვი. იყო მეფის მეჯინიბის შვილი. დესპოტი მამის სახლიდან გაგდებულ-გაქცეული. თავს ირჩენდა ღვეზელების გაყიდვით, წვრილმანი „საქმიანობით“. ფრანც ლეფორტთან მოხვდა პირად მსახურად. ცხოვრებამ ასწავლა ავი და კარგი. ამიტომ ლეფორტისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. ისტორია გვამცნობს: როდესაც ლეფორტი პეტრემ გოლიცინის ჯარში მეთვალყურედ მიაველინა, მისი მსახური ა. მენშიკოვი პრეობრაჟენსკის პოლკში ჩარიცხა. აქედან დაიწყო მისი აღზევება.



ფრანც... ჩამოვასხათ ხელახლა ღვინო.

ჩვენი სტუმრები უნდა დავლოცოთ

/ღვინოს ასხამენ. სვამენ. პეტრეს სიმთვრალე ეტყობა/

ახლა მითხარით, ლევ კირილოვიჩ,

კუკუი-ქალაქს რამ მიგიყვანათ

კრემლს თუ ხანძარი არ გასჩენია, ვიმხიარულოთ,

მაშინ ერთ ხანად

ლევ კირილოვიჩი – პეტრ ალექსეიჩ, ჩემო ძვირფასო,

კარგია კაცი დროს რომ ატარებს

ნიშნავს საქმე არვს მოთავებული, შედეგით ხარობს,

სხვასაც ახარებს

ჩვენ კი ჯერ საქმე არც დაგვიწყია,

საშრომ-საბრძოლო კიდეც ბევრია

საკითხი, რისთვის მოვიჩქაროდი,

საერთო საქმის დანაწევრია

პეტრე – მაინც რა არის ასე საჩქარო,

რომ ქეიფსაც კი არ მანებებენ

თქვენც შეგანუხეს, მეც დროს მართმევენ,

არ დამაცლიან არ მასვენებენ.

რაც უნდა იყოს, თითოც დავლიოთ,

და მერე ისევ გავხადოთ წყვილი

თავისუფლებას არაფერი სჯობს,

თან თუ სუფრაა თვალწინ გაშლილი

/ისხამენ. სვამენ./

ლევ კირილოვიჩი – მეგობრებს შორის ქეიფს რაღა სჯობს,

როცა საქმეა მოთავებული

მაგრამ ქეიფი ნაადრევია, თუ საქმე არი მოზღვაებული

დედოფალია დაღონებული,

პატრიარქი ჰყავს და თათბირობენ

არავის ახლოს არ იკარებენ, რჩევას არ სთხოვენ,

ტოლად არ სცნობენ



უცხო ხომ არ ვარ, არ მეძახიან და ვერაფერი ვერ გამიგია
 „ბოიარები“ მეკითხებიან, მათთვის პასუხიც ვერ მიმიგია
 ბორის გოლიცინს ელოდებოდნენ
 და როგორც იქნა ისაც გამოჩნდა
 ვკითხე, რა ხდება, ცალკე გამიხმო, მცირე ყოფილა,
 რაც დიდად მოჩნდა
 თქვენს ირგვლივაა თურმე მსჯელობა,
 სურთ მეფეს ცოლი რომ მოუყვანონ
 სრულწლოვანება ამით დამტკიცდეს, აღარ გადადონ,
 არ დაახანონ
 პეტრე – სურთ ცოლი შემართონ? ხომ უნდა მკითხონ,
 მინდა, არ მინდა დაქორწინება
 თუ რამე ვიცი, ოჯახის შექმნა, მუდამ ყოფილა კაცების ნება
 ის წესიც ვიცი, მეფე არაა თავისუფალი ამ არჩევანში
 რჩევა ვის ვკითხო, ან რას მირჩევენ,
 შეთანხმდებიან რომელ მათგანში?
 თქვენ ყველამ იცით, თავად დედაჩემს,
 თვეობით ბევრი აკვირდებოდა
 ვერ განესაზღვრათ მისი ღირსება
 და არც იცოდა რა მოხდებოდა
 სამოცდა ათი ლამაზი ქალი,
 კრემლში თავის ბედს ელოდებოდა
 ყველა ფიქრობდა მას აირჩევენ
 და მისი ბედი გადანყდებოდა
 ახლა თქვენ გინდათ ამ წესებს აყვე,
 ვილაცის რჩევა გავიზიარო
 მომეწონება, ზურგი ვაქციო,
 მიმითითებენ? იმ გზით ვიარო
 პატრიარქს ვკითხო?
 ის ამიკრძალავს კათოლიკეზე ჯვარის წერასა
 ყირიმის ხანის შვილი ვითხოვო? ხომ ამიგებენ აქვე წერასა
 მე მხოლოდ ერთი ვიცი ასული,
 რომელიც მეფეს დაამშვენებდა



რამდენჯერ ვცადე დაახლოება,
 არ გამიკარა და არ დამნებდა
 თუ მას შემერთავენ, მე თანახმა ვარ,
 თუ არა ცოლი ჯერ არ მჭირდება
 ამდენ ლამაზმანს სხვაგან სად ნახავ
 და არჩევანი გამიჭირდება?
 იქით თუ ვინმე მინდა ვირჩიო, აქეთ მეტია ამის მსურველი
 გამიგონია, ყველა საქმეში, ევას¹ ხელობა ყოფილა ძველი
 ესეც უთხარი ჩემს ძვირფას დედას
 და პატრიარქმაც მომცეს თანხმობა
 მეფის ასული იმერეთისა,
 რომლის ძმასთან მაქვს ერთგული ძმობა
 თუ დაითანხმეს, მე თანახმა ვარ,
 ქრონილს გადავიხდი და დავმშვიდდები
 თუ არა, ცოლი ჯერ არ მჭირდება,
 წესების მსხვერპლი ხომ არ გავხდები.
ლევ კირილოვიჩი – ალექსევეიჩი, მე რად გასწავლოთ
 ის რაც ყველასთვის არი ცნობილი
 მეფის საცოლეს დიდხანს არჩევენ,
 წესი წესზეა გადაჭდობილი²
 კარგად ახსენეთ, თუმც დედათქვენი,
 იყო ყველასგან გამორჩეული
 მაინც თვეობით კრემლში იცდიდა.
 ყველა ლამაზი იყო ეული
 ყველას ეგონა მას აირჩევენ, ყველა მას შურობს და ემტერება

1. ევას ხელობა – ბიბლია ამბობს, რომ ევამ აცთუნა ადამი. აქედან ქალის უძველეს საქმედ კაცთან ურთიერთობა ითვლება.

2. რუს მეფისწულებს ევროპის მონარქები ქალიშვილებს არ ატანდნენ და არც თხოულობდნენ. კათოლიკეები რუს მართლმადიდებლებს ისედაც არ ეპიტნავებოდათ. შემოიღეს წესი. კრემლის ქალთა საცხოვრებელ ნაწილში თავს მოუყრიდნენ ყველა შესაძლო პრეტენდენტს დედოფლობისა. სასიძო, ექიმთან ან სანდო პირთან ერთად, თვეობით ამოწმებდა მათ გარეგნობას, ალზრდილობას, ხელმოსაქმეობას და ბოლოს არჩევანს ისე აკეთებდა. ასე შეარჩიეს პეტრეს დედა ნატალია კირილოვნა ნარიშკინა. პეტრე ასეთ წესებს არაფრად აგდებდა.



არავის სურდა სხვისი გაგება, გულის გადაშლა და მოფერება
 თქვენ ახლა გინდათ შეცვალოთ წესი?

რუსები ამას მოგიწონებენ?

ისეც ამბობენ ეშმაკის გზას სდევთ

და უარესსაც მოიგონებენ

ისე მენიშნა. მეფის ასული,

თქვენ ჭკვიანურად შეგიჩვევიათ

ლამაზი, ზრდილი,

კდემამოსილი კავკასიელებს როგორც სჩვევიათ

წინასწარ ვიცი,

რომ პატრიარქი მართლმადიდებელს არ დაიწუნებს

დედა-დედოფალს ისედაც უყვარს

და შვილს იმედებს არ გაუშეშებს

ფრანც ლეფორტი – თუ ასე არი მოდი აღვნიშნოთ

ლოთებისგან ჩამოშორება

/დალევენ/

ამიერიდან აგეკრძალებათ ერთგან ქეიფი, სხვაგან სწორება
 მალე დამთავრდა ის მოლოდინი,

დროს გატარება „ტაძრის“ აგება

ვრჩები ობოლი ამ ქვეყანაში, არავის უნდა ჩემი გაგება

პეტრე – ვაჟკაცს არ შევინის დარდის აყოლა, ხელჩამოშვება,

მოთქმა-ვაება

ეს რატომ მოხდა, ის როგორ მოკვდა,

თუ ის გამოძვრა, ის რად გაება

მე ჯერ თანხმობა არ მიმიცია

და არც პირობა ქალწულის ვიცი

ჯვარი არავის დაუნერია და ერთგულების დაუდევს ფიცი

მაგრამ ერთია, ჩვეული ვიყავი,

„იმერეთინსკი“ მუდამ თან მახლდა

კავკასიაში რას მიაღწია, მთავარია, რომ მე აქ დამაკლდა

მოისევები, **/ ნიკიტა ზოტოვი ფეხზე დგება /**

დანერ ბრძანებას, „იმერეთინსკი“ რომ დააბრუნონ

კავკასიაში უნდა მოძებნონ, თუნდაც ის მთები გადააბრუნონ



მე ის მჭირდება, ზარბაზნის საქმე,
 იმაზე კარგდ ვის გაეგება
 ცარელა ხელით იქ რას მიაღწევს, ფუჭად ინვალებს,
 გადაეგება
 და ამას გარდა ფეოდოსია¹ ლანდად ქცეულა
 ქმრის მოლოდინში
 ძნელია როცა ახალგაზრდა ქალს,
 არავინ უწევს ღამე ლოგინში
 ალექსანდრე თუ აქ მეყოლება, ვინაც უაზროდ გამომცალა
 იმედიანად ვიქნები უფრო. დიდი ყოფილა მეგობრის ძალა
 წელან თქენა თქვით, ახლა მე ვიტყვი,
 შევსვათ სურვილით მეგობრობისა
 მარტო დევგმირიც ვერას გახდება
 და არც ყოფნა ღირს იმედით სხვისა

/ასხამენ. სვამენ. თვალს მოჰკრავს ივანე მუსინ-პუშკინს/

ოჰო, ვის ვხედავ. თქვენ მეგობრებო,
 იცით ვინ არი ეს „ბოიარი“?
 ალექსი მეფის გაკეთებული. ასე გამოდის ჩემი ძმა არი.
 აბა, ძვირფასო მომიახლოვდი.
 თუ ძმაა ჩემ იარ უნდა მგავდეს?
 ვიტყვი სიმართლეს: სოფიას მიჰგავს. გინდა ეწყინოს,
 გინდა გაავდეს
 დაბალია და სახელაჟლაჟა, ბალნიანი აქვს სახე-კისერი
 მსუქანია და თვალბჭყეტელა. ერთნაირი აქვთ იერი-ფერი.
 მე მამაჩემი ბუნდოვნად მახსოვს,
 სოფია იყო ზედ გამოჭრილი
 მუსინ-პუშკინსაც, თქვენ დაუკვირდით,
 ერთნაირია მამა და შვილი

/ხმას აუნევს/

1. ფეოდოსია (თეოდორა) ივანოვნა მილოსლავსკაია (სოფიას ახლო ნათესავი) 1687 წ. ნოემბერში შერთეს ალექსანდრ არჩილის ძე ბაგრატიონს (17 წლისას). მალე ალექსანდრე მამამ იახლა კავკასიაში. მეფობის დაბრუნების უშედეგო მცდელობის შემდეგ ალექსანდრე მოსკოვს დაბრუნდა პეტრეს მოთხოვნით.



მაშ მე ვის ვგევარ? ამათი დედაც.

რად გამოვედი შავი და გრძელი?

ვინ გამაკეთა მინდა ვიცოდე.

რატომ დავრჩე ბრმა და თან სულელი

ლევ კირილოვიჩი – ძვირფასო, ასე რატომ აღელდი.

მეფეს ყვირილი არ ეკადრება

რომელმა გითხრა ხარ სხვისი შვილი,

ვინ გაგიბედა აქეთ ყვედრება?

აღექსი მეფე საიდან გახსოვს, სოფია არი ზედ გამოჭრილი
მუსინ-პუშკინიც, სოფიას მიჰგავს,

მეფეს შექმნაში უძლოდა წვლილი

თქვენ დედას ჰგავხართ,

მეფემ საცოლე მუქ ფერის გამო გამოარჩია

შვილი თუ დედას დაემსგავსება,

უნდა სტანჯავდეს ეჭვების ჭია?

პეტრე – ბიძა ხარ გისმენ, მაგრამ იცოდე,

ტყუილად ცდილობ ჩემ დაჯერებას

მინდა გავიგო ვინ გამაკეთა,

ვინ ოცნებობდა ჩემ მოფერებას.

ბევრსა ვფიქრობდი, კრემლში კაცები,

ქალებს სახეშიც ვერ შეხედავდნენ

ქალები ცალკე გამოკეტილნი,

შიგნით ჩამწყვდეულ მონაზვნებს ჰგავდნენ¹

მაშ ვის შეეძლო დედოფლის ნახვა?

ვის ჰქონდა მასთან მისვლის უფლება?

1. ისტორია გვამცნობს, რომ მოსკოვში, კრემლში ქალები ოთახებში გამოკეტილნი ცხოვრობდნენ. მათი ნახვა შეეძლო ოჯახის წევრებს ან პატრიარქს. თუ ექიმი დასჭირდებოდათ, მას ხელის დადება შეეძლო მხოლოდ ნაჭერგადაფარებულ ადგილას (მონღოლური წესით). ეკლესიაში ცალკე ფარული გზით მიდიოდნენ. 1674 წ. დედოფალ ნატალია კირილოვნას კარეტას მონასტრის გზაზე „ბოიარები“ ბუტურლინი და დაშკოვი შემთხვევით გადაეყარნენ. ამის გამო მათთვის შეიძლება თავები მოეკვეთათ. მეფის ქალიშვილები არა მეფის შვილს ვერ გაჰყვებოდნენ. სხვა, არამართლმადიდებელი ქვეყნის შვილსაც ვერ გაჰყვებოდნენ. იყვნენ განწირულები. ამიტომ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ნიკოლაი დავიდოვიჩი (ერეკლე I).



ერთი-მეორეს ყველა უცქერდა,
 გადმოქაჩული ჰქონდათ თვალები
 იქმეფის მეტი ვინ შებდავდა და ტისიაცკი¹ მეფის უფლებით
 მეტი არც ვიცი, ვერც ვერას გეტყვით,
 არც რა გამოვა ამ ხელის ხლებით

/პეტრე ტიხონ ნიკიტინ სტრეშნევის ხელს გაუშვებს /

პეტრე – ტიხონ, მჯერა რომ მითხარ სიმართლე,
 ნათქვამს სჭირდება გადამონება
 თუ მიმატყუე, ვერსად ნამიხვალ, დაგიჭერ,
 გელის ჩემგან ნამება
 ლევ კირილოვიჩი, ახლა კი დროა, სმა დავამთავოთ,
 საქმეს მივხედოთ
 თითოც დავლიოთ, დამილოცნია რაც ჩვენ გვაერთებს,
 გულში რაც გედოთ

/ღვინოს სვამენ, მიდიან/

/პრეობრაჟენსკის, სასახლე. დედოფალი ნატალია კირილოვნა ნარიშკინა,² ეთათბირება პატრიარქ³ იოაკიმეს /

ნატალია კირილოვნა – აღსარებისთვის გთხოვეთ აქ მოსვლა,
 მამაო წმინდა იოაკიმე
 დღე ვერ ვისვენებ, ღამე არ მძინავს, შობის წინა ხანს,
 გული მაქვს მძიმე
 ჩემი პეტრუშა⁴, ქვეყნის იმედი, ვბდავ,
 ხელიდან გამომეცლება

1. „ტისიაცკი“ – რუსული ტრადიციების მიხედვით იყო უმაღლესი თანამდებობა ქორწილში. იგი განაგებდა საქორწინო რიტუალს, იხდიდა ფულს, ცვლიდა ბეჭდებს, მექორწილეებს აცილებდა საძინებელში. როგორც მეფის მამას უფლება ჰქონდა დაუბრკოლებლად შესულიყო დედოფალთან. ის მეფის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი იყო. პეტრეს მშობლების ქორწილში, 1671წ. იანვარში, ტისიაცკი იყო 25 წლის ნიკოლაი დავიდოვიჩი ივერიის მეფეთა შთამომავალი (ერეკლე I).
 2. ნარიშკინები თავს ჩეხური წარმოშობისად მიიჩნევდნენ. იყო აგრეთვე ვერსია მათი თათრული წარმომავლობის შესახებ.
 3. რუსეთში პატრიარქის თანამდებობა დაწესდა 1587 წ.
 4. დედა-დედოფალი ასე ეძახდა ყმანვილობაში პეტრეს.



ქალს არ გაუშვებს, ლოთობას იწყებს, აღარ მიგონებს,
 რა მეშველება
პატრიარქი – სრულწლოვანებას მალე მიაღწევს, იერს,
 ხასიათს კვლავაც შეიცვლის
 და უარესსაც უნდა ველოდოთ

კუკუი-ქალაქს თუ ხშირად ივლის
 კათოლიკენი არას დასდევენ და არც იციან ჩვენი წესები
 იმათი წირვა-ლოცვა, ლოცვაა? ეშმაკისაა დანათესები
 ყმანვილი მეფე აიყოლიეს, ღვინოს ასმევენ,

ქალს მიუწვენენ
 გადაიყვანეს თავის მხარეზე, ერთს თუ შეეშვა,
 სხვას მიუჩენენ
 ჩვენ ჩვენი მეფე გვეიმედება, არცა გვეყოლია მაგისი მგვანი
 უნდა დავიცვათ ამ ცთუნებისგან,
 გავაძლიეროთ უნდა ლოცვანი

/პირჯვარს იწერენ, პატრიარქი ლოცავს დედოფალს /

თქვენ, შვილო ჩემო, უფალს მიენდეთ, რა დარდი განევთ,
 გული გახსენით
 ეს აღსარება ტანჯვას მოგიხსნით,

იქნება ბოლოს ისუნთქოთ ლხენით
ნატალია კირილოვნა – წმინდა მამაო, ჩემ თავს ვაბრალებ,
 თუმცა მეფეა, ჩემთვის შვილია
 ეკლესიურად ვერ გამოვზარდე, ათას ცთუნებას აყოლილია
 ბოლო ხანს მაინც ეჭვით მიყურებს,

სურს შეადაროს ჩვენი იერი
 საერთოს ეძებს, სხვაობას ხედავს,
 შემომტრიალებს მგელი მშიერი
 გამიტყდა კიდევ: რად ვარ ასეთი,

ჩემი და-ძმები სხვანაირები
 რა მეპასუხა აღარ ვიციდი,

ტყუილ-მართალის შემენყო ხმები?
 მერე ეს მკითხა: ეკატერინა დავიდოვნას¹ მე რატომ ვგვევარო.

1. ეკატერინა დავიდოვნა – ქეთევან დავითის ასული, არჩილ მეფის მეუღლე, ერეკლე I და.



როგორ გავუძლო ასეთ გამოცდას, რა ვუპასუხო,
 რა მოვაგვარო
 ბოლოს მენვია საძინებელში, იქეჟა, ნახა მისი სურათი
 ვერაფერი ვთქვი, გონი დავკარგე, ვლანძღე,
 ვუგინე კაცის ლაზათი
 მას შემდეგ ახლოს არ მეკარება,
 კუკუი-ქალაქს არის წასული
 მიშველე რამე, უფრო ორივეს,
 თავს დაგვტრიალებს რალაც ავსული
 ბევრი ვილოცე და ვერ მომეშვა,
 მამაო ეგებ გვიშველო რამე
 ღმერთო ძლიერო, ჩემი თხოვნაა,
 თან წამიყვანე, ნუ გამანამე
პატრიარქი – სუ. შვილო ჩემო. ნუ სცოდავთ უფალს,
 გცდით და ეს ტანჯვად ნუ გერჩვენებათ
 მე გაგახსენებთ წარსულის ამბებს, თუ არ გეამათ,
 ნუ გენყინებათ
 თქვენ სად იყავით, ამ ოცი წლის წინ,
 ალექსი მეფეს მოუკვდა ცოლი¹
 ვინც გაუჩინა თოთხმეტი შვილი,
 ვისაც გაუყო მეფემ საწოლი
 მეფე დაქვრივდა. ორმოცი წლის კაცს,
 მთელი ცხოვრება კიდევ წინ ჰქონდა
 ოჯახის, ქვეყნის ჭირი-ვარამი
 თავზე დაატყდა და თან დაჰქონდა
 გულგასაყოლად, როცა შეეძლო,
 მატვეევს² სახლში კიდევ სტუმრობდა

1. 1667 წ. ორმოც წელს მიღწეულ ალექსი მიხაილოვიჩს, მოუკვდა მეუღლე, რომელმაც მას 14 შვილი გაუჩინა. 6 ვაჟი და 8 გოგო. გოგონები შედარებით ჯანმრთელები იყვნენ. განსაკუთრებით უფროსი სოფია. ვაჟები თვედორე (ფიოდორი) და ივანე ავადმყოფები. მეფე, დაქვრივებული, იძულებული იყო მემკვიდრეზე ეფიქრა.

2. მატვეევი არტამონ სერგეევიჩი – მეფის ერთგული მრჩეველი. არტამონის მეუღლე იყო შოტლანდიის არისტოკრატის ჰამილტონის ასული. ოჯახი სხვებთან ერთად გაერიდა ინგლისის რევოლუციის დროს კრომველის რისხვას



უკვირდებოდა, სწავლობდა ოჯახს, ბევრსა ფიქრობდა,
 ცოტას ხუმრობდა
ნატალია კირილოვნა – ეგ კარგად მახსოვს, სწორედ იქ მნახა,
 მარტო არ იყო, ის ახლდა თანა
 მეფემ მიმიხმო, ჯერ გამომკითხა, გამიცინა და ეს დაატანა
 არტამონ, ვხედავ ეს ქალიშვილი,
 შენი მეუღლის გამოზრდილია
 რაც შევეკითხე და მიპასუხა, მომეწონა, რომ გულახდილია
 ჩემ თავზე ვიღებ მის გათხოვებას
 და სასიძოსაც მე გამოვნახავ
 ისეთს, შენს ოჯახს, რომ ეკადრება,
 ვის სახელს გულში შემოინახავ
 მე რა მეფიქრა თვრამეტი წლისას,
 თვით მეფე ჩემით დაინტერესდა
 კი გამეგონა, იყო ჭკვიანი,
 გარშემო მხოლოდ სიკეთეს თესდა
 მაგრამ თუ თავად მითხოვდა ცოლად
 და დედოფალი თუ გავხდებოდი
 თუ ბედი ისე შემეცვლებოდა, ბევრიც მეფიქრა,
 ვერ მივხვდებოდი
პატრიარქი – სამეფოს მართვა ძალზე რთულია
 და თუ მეფე ხარ უნდა იცოდე
 რა ჩაიბარე, ვით მოუარო, ვის ჩაბარებ, მისთვის ინოდე
 მეფე ალექსი იყო ჭკვიანი, საერო საქმე არ ეშლებოდა
 ბევრი შეიძლო და რაც აშენა, მისი დანგრევა ეცოდებოდა

და ბოლოს მოსკოვში დაიდო ბინა. ცოლის მეშვეობით არტამონმა მატყვევი დაენაფა ევროპულ ცივილიზაციას. მიიღო ცოდნა, შეითვისა კულტურა. სახლიც მოსკოვში ევროპულ ყაიდაზე ჰქონდა მოწყობილი: კაბინეტით, ბიბლიოთეკით. ამბობენ ქიმიის ლაბორატორიაც მოაწყო. ოჯახს მცირე თეატრი ჰქონდა, სადაც წევრები და მსახურები თამაშობდნენ. თავად არტამონი მეფის კარზე ხელმძღვანელობდა საგარეო ურთიერთობებს, ფინანსებს და მსროლელთა პოლკებს. ალექსი მეფე თავადაც განათლებული, ჭკვიანი, კეთილი, ზოგჯერ სტუმრობდა მატყვევებს. ოჯახში იზრდებოდა შორეული ნათესავი, ღარიბი „ბოიარის“ ასული ნატალია ნარიშკინა. იქ შენიშნა ალექსიმ შავგვრემანი ნატალია და „ჩაიფიქრა“.



კარგად ხედავდა, თავად ავადმყოფს,
 შვილები ყველა ჰყავდა ჭიანი
 თუ ვერ შეძლებდა ჯანმრთელის ყოლას,
 ეს იქნებოდა ერის ზიანი
 ერმა ისედაც ბევრი იწვინა უმეფობა თუ ცრუ მეფეები
 კიდევ ასეთი წელში გატეხდა,
 გამრუდდებოდა მომავლის გზები
 სასწორზე აქეთ იყო ოჯახი, იქით სამეფო, სამივ რუსეთი
 აქეთ პირადი, იქით საერთო
 ძლივს შეკრებილი წვეთი და წვეთი
 ზოგი იტყოდა, მე ხომ ვარ ქვეყნად,
 მერე ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა.
 იმან იკითხოს ვინაც მე შემცვლის,
 ინანოს ქვეყნად რომ გაჩენილა.
 ალექსი მეფემ სხვაგვარ განსაზღვრა,
 ერს ვერ მოუვლის სუსტი პატრონი
 ჯანსაღი სული, ჯანსაღ ხორცშია, არაა ჩემგან გამონაგონი
 მე თუ ვერ შევძლებ ჯანმრთელის ყოლას,
 ჩემი ქვეყანა გადაეგება
 თუმცა მძიმეა ამის შეგნება, გამოსავალი ვნახო ეგება.
 და მოიფიქრა, ცოლი, შვილები, ყველა ერთია ძაან ქერაა
 მათში რომ შავი გამოერიოს, ეს შავი გოგოს მოფერებაა.
 ამიტომ იყო, როგორც კი გნახათ, თქვენ შავგვრემანი,
 თანაც ლამაზი
 შვილივით აღზრდილს, მეგობარს უთხრა
 და მოქმედების შედგა ნახაზი.
 მე კარგად ვიცი, მეფე რამდენჯერ, თავისგან აღზრდილს,
 მოეთათბირა
 პატრიარქ ნიკონს¹ დაალოცვინა, და სამომავლოდ გადაიბირა

1. XVII ს. 50-იან წლებში რუსეთის პატრიარქი იყო ნიკონი. ალექსი მეფე პატრიარქს მძიმე საკითხებზე ეთათბირებოდა. მათ შორის – მეფის მეორე ქორწინების „ტიხისაცვის“ დაახლოებისა და გაცნობის დროს. რუსეთის ეკლესიაში XVII ს. მეორე ნახევარში რამდენიმე მიმდინარეობა გაჩნდა: სტაროვერების, მოლოკნების, დუხოზორების, ხლისტოვეშჩინა. პა-



რაც იყო, იყო, ახლა მთავარი,
 რომ სულიერი სიმშვიდე ჰპოვოთ
 რაც დაგიკარგავთ, ის დაივიწყოთ,
 შვილის დიდება რომ მოიპოვოთ
 ნატალია კირილოვნა – იტყვი, მეფობას ქვეყნად რა უნდა,
 ისურვე, ბრძანე და მოგერთმევა
 ასე რომ იყოს სინამდვილეში,
 მომინდებოდა თავ-ბედის წყევა?
 მუდამ ვიყავი გაორებული, არავინ იყო ჩემი ერთგული
 როგორც დაქვერივდი,¹ ჩემ არსებობას,
 მილოსლავსკებმა უჩინეს წყლული
 მხოლოდ ფიოდორ ალექსეიჩის
 პირადი ნება თუ მიფარავდა²
 ვერ ვნახე მშვიდი ნავთსაყუდელი,
 საბრძანებელი დაპატარავდა
 არა და მახსოვს, როგორც ზღაპარი, კრემლი, გასინჯვა,
 ბოლოს ქორწილი
 მეფემ ხელგაშლით გასცა წყალობა,
 ყველას მიუზლო კუთვნილი წილი
 ჯვარის დანერა, ბეჭდების გაცვლა
 და „ტისიაცკის“ ჩვენთან ტრიალი
 ბრწყინვალე არის მოსაგონებლად,
 ვით ცისარტყელის ცაში ციალი
 რაც მთავარია,
 ერთი წლის თავზე³ ვაჟი მეყოლა სიცოცხლით სავსე

ტრიარქი იოაკიმე სტაროვერებს იცავდა, რის გამოც გადააყენეს და იოსებ-
 ბი აირჩიეს. შემდეგი იყო იოაკიმე. გვამცნობენ, რომ პატრიარქ იოაკიმეს
 გადაწყვეტილებით მათი ლიდერები აბაკუმი და ლაზარე საჯაროდ დაწვეს.
 რუსეთს მოედო თვითდანვის პროცესი. მხოლოდ ტობოლსკის მხარეში
 ერთდროულად 1700 კაცმა დაინვა თავი. ასეთ ქვეყანაში მკრეხელობა იყო
 მეცნიერების, ხელოვნების, მუსიკის დაუფლება.

1. ალექსი მეფე 1676 წ. იანვარში მიიცვალა. მილოსლავსკებმა მაშინვე იმ-
ძლავრეს, ნატალია დედოფალი დაამცირეს, ახლობლები გადაუსახლეს.
2. თევდორე მეფე მფარველობდა ნახევარძმა პეტრეს და დედოფალ ნატალის.
3. პეტრე 1672წ. 30 მაისს დაიბადა.



და-ძმა რა არი, მამას არ ჰგავდა, ვლოცე, ვინც მსურდა,
რომ მივამსგავსე

პეტრე-პავლობას კიდევ მოვნათლეთ,¹
პეტრე უწოდეთ თოთოს სახელი

იზარდა მძლავრი, მოუსვენარი,
არავინ იყო მსგავსის მნახველი

ფერით-იერით თითქოს მე მგავდა
და არცა მგავდა იყო ნათელი

მამამ ეს ბრძანა, იშვა მეფეო
და მის სახელზე ანთო სანთელი

თავად ფიოდორ ალექსეიჩიც,
მემკვიდრედ პეტრეს მოიაზრებდა

ძმა იყო, თანაც ნათლია იყო,
მოშურნეთ ახლოს არ აკარაბდა

ახლა რაღა ვქნა, არ გვყავს მფარველი,
მმართველი შურობს და ემტერება

ლიად ვერ ებრძვის ძმაა და მეფე,
მაგრამ სიტყვითაც არ ეფერება

პატრიარქი – მეფეს სჭირდება დიდი სიფრთხილე,
მმართველ სოფიას ის ძმად არ უჩანს

სიბოროტე აქვს ჩაფიქრებული,
როცა პირს ალებს ეშვები უჩანს

შეხლა-შემოხლას მისგან მოველი,
გასაფრთხილებლად მიტომ მოველი

შაკლოვიტი ჰყავს მომარჯვებული,
მსროლელთა ჯანყის არი მქსოველი

ნატალია კირილოვნა – ნახევარ წელში ასაკი უწევს,
მერე მზუნველი არ დასჭრიდება

ამ ხანს საჭირო არი სიფრთხილე,
მერე ამ მხრივ არ გაუჭირდება

მამაო წმინდა, ჩემ თავს არ ვჩივი,
სოფიას შვილი ვით მოვარიდო

1. იმავე წლის 29 ივნისს, მონათლა უფროსმა ძმა თევდორემ (ფიოდორ ალექსეიჩმა).



შეიძლებოდეს გულში ჩავისვა, მხრებით ვატარო,
როგორც აკიდო
მაგრამ ხომ ვიცი ვერ დავაოკებ,
სამხედრო წვრთნებსაც არ შეეშვება
პატრიარქი ხართ, სულთა მპყრობელი, მირჩიეთ რამე,
მომგვარეთ შვება

**/მსახური ქალი შემოდის და მოახსენებს „ბოიარინ“ ბორის
ალექსეიჩ გოლიცინის მოსვლას. დედოფალი თანხმობის ნი-
შანს აძლევს/**

ბორის ალექსეიჩი – თქვენთან თანხმობით კრემლში ვიყავი,
ბევრი ვნახე და ბევრი გავიგე
ვასილ ვასილიჩს მოვეთათბირე, აზრები,
როგორც შარა გავიგე
კრემლში ჰქონიათ დიდი მზადება,
ხიფათი სწორედ იქიდან გველის
საპირისპიროდ თუ არ ვემზადეთ, თუ არ ვეცადეთ,
სხვა ვინ გვიშველის

ნატალია კირილოვნა – ვასილ ვასილიჩს არა მგონია
ჩემი ან მეფის ავი აწყობდეს
არასდროს ცუდად არ გვექცეოდა,
ჩვენ წინააღმდეგ გეგმებს აწყობდეს

ბორის ალექსეიჩი – უფრო პირიქით. ვასილიჩს უნდა,
პეტრეს მეფობას შეუწყოს ხელი
ამიტომ ჩუმად რჩევას იძლევა,
საკეთებელიც ხდება ნათელი
თავად განზე დგას, სოფიასაგან
ხლართების წვანაში არ ჩაერევა
უიმისოდ კი, მე ასე ვფიქრობ, სოფია მეფეს ვერ მოერევა

პატრიარქი – კრემლში სიარულს მეც მოვუხშირე,
ბევრი გავიგე და გამოვხშირე
რასა გეგმავენ, ვარ მიხვედრილი,
მაგრამ საქმისთვის ესაა მცირე
და ამას გარდა, ვართ ღვთის კრავები, მასთან ნათქვამი,
მასთანვე რჩება



აღსარებისას, ვინ რას გამანდობს, გავთქვა?
საგმობი საქმე შემრჩება?

ამიტომ შენ თქვი რას მიაღწიე,
მეფეს ხიფათი რით ავაცილოთ
როგორ მოვიქცეთ და-ძმა შერიგდნენ, მათი ფიქრები,
რომ დავანწყვილოთ

ბორის ალექსიჩი – თქვენც კარგად იცით,
სოფია მეფეს მგლის ლეკვს უწოდებს და ემუქრება
ძმად არ მიიჩნევს, თუ შეძლო მოსპობს,
ჩვენგანი არვინ არ გადარჩება
როცა ხოვანსკებს მოუღო ბოლო,

მეფეთ უფლება აიღო ხელში
გაამაყდა და ასე იფიქრა ივანთან პეტრეს მოხრიდა წელში
დაგეგმა კიდევ მისი სიკვდილი,

ხანჯლისკენ მისი ხელი განვდილი
ვასილევჩიმა არ დაანება,
სანაცვლოდ მისცა ეს რჩევა ფრთხილი
ივანი ისეც არი უფროსი. იცით,

რომ უფროს მეფედ ითვლება
თუ ცოლს მოიყვანს, ვაჟს იყოლიებს,
გაორმაგდება მისი უფლება
სოფიას რჩევა დაუჯდა ჭკვაში,

ივანეს სწრაფად ცოლი მოჰგვარეს
ხელი შეუწყეს ორსულობაში

და გაუჩინენ პეტრეს მოგვარეს
ჯერ საიდუმლო არის ამბავი, მაგრამ ბიჭი თუ დაიბადება
ალმზრდელ – მეურვედ და თან მფარველად მამიდა
მისი დაიხატება

ვასილი მიტომ რჩევას იძლევა,
პეტრეს სასწრაფოდ მოგვგაროთ ცოლი
სრულწლოვანება ამით ნათელვყოთ
და არ გავხადოთ ტახტი საბრძოლი



უნდა დავასწროთ, ვითომ არ ვიცით,
 ივანეს ცოლი ფეხმძიმე არი
 დაცოლშვილებულ პეტრეს მზრუნველი, აღარ სჭირდება,
 აი მთავარი
 სანამ ივანეს შვილს გაუჩენენ, პეტრე სოფიას ჩამოიცილებს
 ხელში აიღებს ძალაუფლებას.

სხვაგვარად ხიფათს ვერ აიცილებს
ნატალია კირილოვნა – ვასილ ვასილიჩს ვწირავ მაღლობას,
 რა ჭკვიანური ჩანაფიქრია
 დავაქორწინებ ამ ჩემ პეტრუშას ამაზე კარგი არაფერია
 ცოლის პატრონ კაცს თავზე და ედგეს
 და კარნახობდეს რაღა წესია
 კაცი კაცია, ქალი ქალია, ესაც ღვთისაგან დანათესია
 ალექსეიჩ მსურს პეტრუშა ნახოთ,
 უთხრათ რომ დედა მოელოდება
 თან პატრიარქი უხმობს თავისთან. ორივესია ეს მოწოდება
 უნდა შევიძლოთ, დავიყოლიოთ,
 თან ღირსეული საცოლვე ვნახოთ
 სოფია თუ კი მაღავს ჩანაფიქრს,
 ჩვენც საიდუმლოდ შემოვიჩინახოთ

**/ბორის ალექსიჩი წესისამებრ გამოეთხოვება და გადის.
 ცოტა ხანში გამოჩნდება პეტრე. დამხდურებს გადაკოცნის,
 შემოჰყვებიან ლევ კირილიჩი, ბორის ალექსეიჩი, ტიხონ ნი-
 კიტჩი სტრეშნევი/**

პეტრე – დღეს დღე გათენდა ნაყოფიერი, საზრუნავს მოვრჩი,
 ვარ ბედნიერი
 იმდენი რამე გადავიტანე,
 ერთი დღით გავხდი კიდეც ხნიერი
 „კუკუი ქალაქს“ ვიყავ ცოტა ხნით,
 მონსის დარბაზში ვიმხიარულე
 ლევ კირილიჩი დამადგა თავზე, ვერ მოვიცილე,
 ვერ გავიგულე



მითხრა თქვენ ორნი აქ მელოდებით,
 გაქვთ მოსაყოლი მნიშვნელოვანი
 გამეხუმრა თუ მითხრა სიმართლე,
 მის სიტყვებიდან ვერ შევიცანი
 დარბაზის კართან ალექსეიჩი, იგივე ცნობით შემომეგება
 სულ მოუთქმელად ველი რას მეტყვით,
 გამოვიტანო აზრი ეგება

პატრიარქი – თქვენ შვილო ჩემო და ჩემო მეფევე,
 დროა ცხოვრებას სხვაგვარ შეხედოთ
 გონების ძალით ამოირეცხოთ,
 გრძნობა – ვნებები, რაც გულში გედოთ
 კაცობაში გაქვთ ფეხი შედგმული,
 კაცური საქმე უნდა აკეთოთ
 ქალის ნატანჯი რუსთა სამეფო,
 მეფური სიბრძნით გამოაკეთოთ
 ჩემამდე ხმები მოდის მრავალი,
 მეფეს ათასი უყურებს თვალი
 რაც იყო, წარსულს მიენერება,
 უნდა ახალი გაავლოთ კვალი
 ღმერთის შვილია ქვეყნად ყოველი,
 მეფეა სხვათა ბედის მქსოველი
 თუ ღმერთს მიუძღვნი მაგ შემართებას,
 რუსთა დიდებას თქვენგან მოველი

ნატალია კირილოვნა – ხო, ჩემო შვილო, უკვე იზარდე,
 ბავშვური ქცევა არ გეკადრება
 სულთა მპყრობელის რჩევას მისდიე,
 მძიმე საქმეში მოგეხმარება

პეტრე – „კუკუი ქალაქს“ მინდოდა ყოფნა,
 ხომ არა ფიქრობთ იქ ვერთობოდი
 მსურდა მესწავლა იმათი ყოფა,
 მხოლოდ ღვინის სმით რად მოვცდებოდი
 მამაჩემმა იქ ვინც დაასახლა, ათასი ჯიშის ევროპელები



ათასი საქმის თანა აქვთ ცოდნა,
 გამონვდილი აქვთ ჩვენსკენ ხელები
 ჩვენ უნდა გვეყოს გონიერება,
 რაც მათ იციან, გავხადოთ ჩვენი
 ევროპის ქვეყნებს მხარი ვუსწოროთ,
 რუსეთი გახდეს გამოსაჩენი
 აქ ჩამოსულებს თუ არ შევხვდები,
 იქ თუ არ წავალ და არა ვნახავ
 ნიშნავს, დავრჩები უცოდინარი, ვერას ვისწავლი,
 შურს შევინახავ

პატრიარქი – ცოდნის შეძენის, ვაქებ, მცდელობას,
 მათში ურთულესს – მეფის ხელობას
 მის გარჯილობას სხვადასხვა სახით,
 მე ვერ მივანერ უდარდელობას
 მეფე თავსი ხალხს უნდა ხვდებოდეს,
 ვის რა ან უხებს უნდა ხვდებოდეს
 ქვეყნის სატკივარს რომ უმკურნალოს,
 შრომას არ უნდა დაზარდებოდეს
 მეფე ხალხისთვის, არა პირიქით.
 ქვეყნისთვის უნდა იყოს წამალი
 მისთვის ზრუნავდეს, მისთვის ბრუნავდეს,
 დღე-ღამე ეძიოს გზა-გასავალი
 მეფის ცხოვრება თუ არი ტკბილი,
 ხალხის ცხოვრება იქნება ძვირი
 იმდენად ხდება მეფე დიადი,
 რამდენად არი ხალხს შენაწირი
 სულაც არ ნიშნავს, რომ ამის გამო,
 პირადზე მეფემ რომ თქვას უარი
 მისი პირადიც ხალხისთვის არი წმინდა სანთელი
 და ხატზე ჯვარი
 მეფევი მიქია თქვენი სურვილი,
 საქმედ აქციო ცოდნის წყურვილი



მაგრამ არ ვარგა მცდელობისთვის გამო
 არ იყოლიოთ ცოლი და შვილი
 ვხედავ თქვენთვის დრო არი მოსული,
 გვერდს დაიყენოთ კეთილი სული
 ერი აღავსოთ ბედნიერებით, და მომავალი იყოს დაცული.
ნატალია კირილოვნა – პატრიარქი გვყავს სწორუპოვარი,
 თავის სანმყოფე გადაგებული
 ალექსი მეფის ფიქრის ზიარი,
 ვის სამეფოზე შესტკივა გული
 ჩვენი ვალია მას დავუჯეროთ,
 სიბრძნით ნათქვამი გავიზიაროთ
 ათას ცთუნებას ზურგი ვაქციოთ,
 უფლის დასახულ გზებით ვიაროთ
 ეს მეც მენიშნა, შვილო პეტრუშა,
 დროა იფიქრო ცოლსა და შვილზე
 გვითხარ თანხმობა, სარძლოს შევარჩევთ,
 უნდა იზრუნო მომავლის წვლილზე.
პეტრე – ქვეყნად თუ ვინმე მიყვარს და ვმონებ,
 რატომ დავმალო, დედაა ჩემი
 სიცოცხლე მომცა, კოცნითა მზარდა,
 არი ქალღმერთი თაყვანსაცემი
 რაც თავი მახსოვს, ჩემთვის იბრძოლა,
 ჩემთვისა კრთოდა თუ ხიფათს გრძნობდა
 მე ვიყავ მისვის ბნელში სანთელი,
 ჩემზე უმაღლეს არავის ცნობდა
 ჯერ არის ღმერთი, მერე მშობელი.
 მშობლის მშობელიც ქვეყნად ღმერთია
 მშობელის სიბრძნე და სიყვარული,
 მასში ორივე შენაერთია
 პატრიარქია ღვთის სიტყვის მთქმლი,
 ზეციურ სიბრძნის მატარებელი
 მე ვინ ვარ, მის გზას გადავუხვიო,
 გავანანყენო ორივე მშობელი



ლევ კირილიჩმა გარკვევით მითხრა,
 გდომნიათ ჩემი დაქორწინება
 მშობლებს ავუხტე, გავანანწყენო,
 არა ვარ შვილი ასე თავნება
 მხოლოდ ერთი მაქვს წინა პირობა,
 თქვენი მოთხოვნა რომ შევასრულო
 ქალი მე თავად შემარჩევინეთ, რომ არ ვიფიქრო,
 თავო ბედკრულო

პატრიარქი – თუმცა მეფე ხართ, მეფეს არ შვენის,
 საქმის მაგიერ გრძნობის აყოლა
 მაგრამ ასაკი გალაპარაკებს ასაკი ამბობს ვისი ხართ ტოლი
 მართლმადიდებლად დაბადებულხართ,
 მართლმადიდებლად ხართ მონათლული
 რუსებს სხვა რწმენა არა გვჩვევია,
 არც თქვენ იქნებით წრე გადასული
 ამიტომ მრევლის სახელით ვიტყვი,
 დედოფალი გვსურს ჩვენი რწმენისა
 სხვა დანარჩენი თქვენი საქმეა,

თქვენი უნარის და მოთმენისა
ნატალია კირილოვნა – წმინდა მამაო, გწირავთ მადლობას,
 ჩემი სათქმელიც თქვენ გაამჟღავნეთ
 სულის ძახილი ისე დახატეთ, მეფეც დაინდეთ,
 რწმენას არ ავნეთ
 მე რძლად, რუსებს კი თავის დედოფლად,
 უცხო რწმენისა გამოადგება?
 კაცი, რომელიც თავისას სწუნობს,
 სხვას სასიკეთოდ ვერ წაადგება
 ჩემი პეტრუშა არი ჭკვიანი და არ მოსვლია მიტომ ზიანი
 სარძლოსაც ისეთს შეგვარჩევინებს,

იყოს ლამაზი და გვარიანი
პეტრე – შვილი როგორიც არ უნდა იყოს,
 მშობლისთვის მაინც არი პატარა
 დრო გავა, კიდევ დაავინწყდება,
 როდის დაბადა, ხელით ატარა



ბევრჯერ შვილს თავის შვილი ეზრდება,
 ცხადია, თავი დიდი ჰგონია
 ცდება, რადგანაც მშობლისათვის, მისი სიდიდე მონაგონია
 ასე ყოფილა, ასე იქნება, თაობებს შეცვლის ასეთი ყოფა
 ერთი დარჩება მუდამ უცვლელი:
 მშობელ-შვილობა არ გაიყოფა
 ამას რად ვამბობ. თქვენი პირობა,
 ცუდ დარიგებად არ მიმიღია
 მშობლები აქ ხართ და მეგობრებიც,
 თქვენ მოსასმენად გული მაქვს ღია
 ვიცი, რატომ თქვით რწმენის შესახებ,
 თქვენ ანა მონსი¹ გეთაკილებათ
 მსურს დაგამშვიდოთ, რამდენ ქალს ვნახავ,
 ყველა როდი მსურს მეჯდეს ცოლებათ
 წინა პირობა როცა ვახსენე,
 მე მხოლოდ ერთი წარმომედგინა
 ვისაც თქვენც იცნობთ, გიყვართ, მფარველობთ
 და მე კი თავგზა დამაკარგვინა
 მე სხვას არავის არ შევიყვარებ, არც ჩემ ტოლად ვთვლი,
 გარდა ერთისა
 თუ დამთანხმდებით, მომწონს
 და მინდა მეფის ასული იმერეთისა

/შემცბარი დედოფალი მიესვენება/

პატრიარქი – ბოიარებო, რაც მოისმინეთ,
 დედა-შვილს შორის განსჯა სჭირდება
 გარეთ ნუ იტყვით, ხმა გავარდება,
 ჭორების ჩაკვლა გაგვიჭირდება

1. ანა მონსი – „კუკუი-ქალაქში“ (გერმანულ „სლობოდაში“) ჩასახლებული, ღვინით მოვაჭრე იოჰანეს (ივანე) და მათილდა მონსების ქალიშვილი ანხელი (ანა). პეტრეს ახალგაზრდული გატაცების ობიექტი. ამბობენ, რომ პეტრეს დამოკიდებულებით მთელი ოჯახი „კმაყოფილებოდა“ მორალურ – მატერიალურად. ერთი პერიოდი პეტრე ანას გადედოფლებასაც გეგმავდა. ქალის მოღალატურმა საქციელმა თვალი აუხილა და ბოლოს მოიძულა კიდეც.



ახლა დაგვტოვეთ.

მეფესთან ერთად დედოფალი და მე სათათბიროდ
ის, რაც დედა-შვილს შორის ითქმება,

რად გავაბაზროთ და გავიჭიროთ
მცირე დარბაზში ჩამოისვენეთ,

ჩვენც აქ აზრს გავცვლით თქვენ სასიკეთოთ
თუ შეგვიძლია ნალმა ტრიალი,

უკულმა საქმე რატომ ვაკეთოთ

**/ლევ ნარიშკინი, ბორის გოლიცინი, ტიხონ სტრეშნევი
ჩუმად თავს უხრიან დამრჩომებს და სხვა დარბაზში გადაინ-
აცვლებენ/**

ტიხონ ნიკიტინი – მადლობა უფალს, მგონი გადავრჩი,

დე, დედა-შვილმა თავად განსაჯონ
როდის რა იყო, ვინ და სად იყო,

ვინც დააშავა, იგი დასაჯონ
ლევ კირილოვიჩი, რა დროს მიშველეთ,

მეფე აქეთკენ წამოიყვანეთ
როგორაც მოწმე ძველი ამბების,

თან მიახელით, არ დაახანეთ
მე თუ რამ ვიცი კრემლის ამბები,

პატრიარქს მეტი მოეხსენება
თავად დედოფალს რაც შეეხება,

თავად მოყვება თუკი ენება

ლევ კირილოვიჩი – ტიხონ ნიკიტინი, „ტისიაცკობა“, ვინ არი
რუსი,

რომ არ იცოდეს

მე ვისურვებდი ამ წესის მადლი,

ყველა ოჯახზე გადმოდიოდეს.
გასაგებია, მეფე ალექსი, ამ წმინდა ადათს, რომ დაიცავდა

მაგრამ ვინ ჰყავდათ მითხარ ისეთი,

რომ ამის გამო პეტრე გაავდა?

პატარა ვიყავ, მაგრამ ხომ მახსოვს,

ჩემი და ჩვენთან არ იზრდებოდა



მატვევეების ოჯახში იყო, არტამონის ცოლს ეხმარებოდა
თავად არტამონ სერგევეიჩი, ღმერთმა აცხონოს იმისი სული
მეფის მრჩეველი დიდ საქმეებში,

მეგობრობამდე იყო ასული
როცა ჩემი და შეირთო მეფემ,

მოსკოვი მაშინ ვნახე პირველად
დისნულის შობაც გვიან ამიხსნეს,

მიტომ არ ვიცი რა იყო ძველად
ბორის ალექსეიჩი – ლევ კირილოვიჩი, ხომ ვარ უფროსი
და უფრო მეტი უნდა მახსოვდეს
ნანახ-განცდილი, სიმართლე-ჭორი,

ფანტელეზით უნდა მათოვდეს
თურმე ბევრია ქვეყნად ისეთი, ეძიებ, მაინც არ გაგიგია
ჩაეძიებო, ფიქრობ იპოვე, ვერ მიგიგნია, დრო წაგიგია
ჩვენ რომ არ ვიცით კრემლის ამბები,

არ რიშნავს სხვებმაც რომ არ იცინან
რაები მითხრა დღეს ბიძაშვილმა აღმოჩენები ამათა ჰქვიან
თქვენ თუ იცოდით როდის დამთავრდა

კალიტოვიჩთა რუსეთს მეფობა?¹
როდის მეფობდნენ რიურეიკები,

რა იყო მათში ერთობა-ძმობა?
ბორის გოდუნოვს თავს რა გადახდა, ლიტვას,

პოლონეთს აქ რა უნდოდა
ცრუ მეფე ერთი, ორი და სამი, ვის ბატონობდა,

ვის თქმაზე ხტოდა?
როგორ გამეფდნენ რომანოვები,

როგორ დამკვიდრდა ჩვენში მშვიდობა

1. დინასტიური ცვლილება ყველა სამეფოს გამოუცდია. რუსეთში, 1598 წ. თევდორე (ფიოდორ) ივანოვიჩის სიკვდილით დამთავრდა ე.წ. კალიტოვიჩების (ივანე კალიტას ჩამომავალი) მეფობა და დადგა გარეშე ინტერვენციებისა და შინაგანი არეულობების პერიოდი, რასაც წერტილი რომანოვების ხელისუფლებაში მისვლამ დაუდო. რომანოვებით, იწყება რუსეთის სამეფოს განთავისუფლება გარეშე მომხდურებისაგან. საკმარისია მიუთითოს, რომ მხოლოდ ალექსი მიხეილის ძის დროს მოხერხდა ყირიმის ხანისგან დამოკიდებულების (ე.წ. მისართმევის) მოსპობა.



როგორ შეიძლო ალექსი მეფემ
 ჩვენთვის შეექმნა ახალი წყობა?
 „ტისიაცკობის“ ამბავიც მითხრა,
 ტიხონ ნიკიტინის ემახსოვრება
 მოწმე იყო და კარისკაცობდა,
 კრემლში გალია მთელი ცხოვრება
ტიხონ ნიკიტინი – ჩვენ, რუსებს, ერთი კარგი გვაქვს ჩვევა,
 სკოლას და სწავლას არ გადავყვებით¹
 სანაცვლოდ, რასაც ერთხელ გავიგებთ,
 დავიმახსოვრებთ, ზუსტად მოვყვებით
 ალექსეიჩი რასაც ამბობდა,
 ბევრი რამ მეც ხომ ადრე ვიცოდი
 მაგრამ არასდროს არ ვამჟღავნებდი,
 მცოდნეთა შორის მე არც კი ვჩნდოდი
 ამიტომ ვიყავ დაფასებული,
 ცხოვრება მშვიდად მიტარებია
 მეფის კარს ვიყავ დედოფლის მცველად,
 ამით ოჯახი მიხარებია
 ახლაც გრძელ ამბავს მე მოკლედ მოვჭრი,
 რატომ დავინწყო გრძელი რატრატი
 თუ რომ სიმართლეს გადავუხვიო,
 დაე, გამინწყრეს ღვთისმშობლის ხატი
 ოცდა თხუთმეტი წელი გავიდა,
 მას შემდეგ რაც ის ამბავი მოხდა
 ივერთა მეფის ათი წლის ვაჟი,
 მოსკოვში მეფის კარზე ჩამოხდა
 დავიდოვიჩო, ასე მომართეს,
 ნიკოლოზ ერქვა თურმე სახელად
 მეფე ალექსის შვილად მიიღეს,
 გაშინაურდა მის კარზე ხელად

1. რუს ბოიარებს შორის განთლება, ხელოვნება, მეცნიერება არ იყო „პატი-
 ვდებული“.



ახლდა ელენე ლეონტიენა,¹ ასამდე მსახურ – ბოიარები
 დედა-შვილისთვის, როგორც მეფისთვის,
 სულ ღია იყო კრემლის კარები
 მეფე იმ ყმანვილს არ იშორებდა, სულ გვერდით ჰყავდა,
 სადაც ვიდოდა
 ზრდიდა და წვრთნიდა როგორც უფროს შვილს,
 კარგი მემკვიდრეც გამოვიდოდა
 დავიდოვიჩი ყველას უყვარდა
 და ტატიანას² გამორჩეულად
 ყმანვილი კაცი, მეფის ოჯახში,
 თავს არა გრძნობდა ტლუდ და ეულად
 მთელი მოსკოვი მას შენატროდა
 და მართლაც იყო გამორჩეული
 ტანით მაღალი კავკასიელი,
 შავი თვალ-წარბი, თმა ჩახვეული
 ივერიელთა სილამაზეზე, ევროპელებიც ლაპარაკობდნენ
 ბოიარების ქალიშვილები ენაზეობდნენ,
 ფარულად სდევდნენ.
 ოცი წლის უკან დაქვრივდა მეფე
 და ავადმყოფი დარჩა შვილები
 ზოგი თავდიდა, ზოგი ტანსქელი, მუხლმოკვეთილი,
 ჭკვავაშლილები

1. ქართლ-კახეთის მეფობიდან გაძევებული თეიმურაზ I, იმერეთში ქალიშვილი დარეჯანსა და სიძე ალექსანდრე იმერეთის მეფეს ადარებდა თავს. მას თან ახლდა დაქვრივებული რძალი ელენე ლევანის ასული შვილებით (ლუარსაბი, ერეკლე და ქეთევანი). აქვე ეახლნენ თეიმურაზს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძის ელჩები და სხვა საკითხებთან ერთად მეფისწულის წაყვანაც მოითხოვეს თეიმურაზმა მოსკოვში მიავლინა ათი წლის ერეკლე დედასთან და მხლებლებთან ერთად. მოსკოვში შეიქმნა ქართველთა დასახლება. ერეკლე იქცა ნიკოლაი დავიდოვიჩად, ელენე ლევანის ასული – ელენე ლეონტიენად.

2. არის ვერსია, რომ თეიმურაზს სურდა ერეკლეს ტატიანა მიხაილოვნაზე დაქორწინება. არსებითია, რომ ტატიანა თბილად ეპყრობოდა ერეკლეს და მისი რუსეთიდან გამოძევების შემდეგ (1674 წ. თებერვალი), მთელი სითბო პეტრეზე გადაიტანა.



ალექსი მეფე, უჭკვიანესი, არც თავად იყო ტანით მაგარი¹
 ყველა ფიქრობდა: რუსთა სამეფოს,
 მეფე სჭირდება ბევრად სხვაგვარი
 ალექსის შემდეგ, ის ავადმყოფობს, ვინ გამეფდება,
 რა გვეშველება?
 იქნებ ისიძონ დავიდოვიჩი, ავი და კარგი არ შეეშლება.
 თავად ვარ მონზე მეფე ალექსი,
 შვილობილს ბევრჯერ მოეთათბირა
 პატრიარქთანაც ბევრი იმსჯელეს, ვინ და ვინ,
 როგორ გადაიბირა
 ეს მე არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი,
 ლევ კირილოვიჩ ნუ განრისხდებით
 თქვენ დას დაადგეს აშკარად თვალი, რატომ არ ვიცი,
 თავად მიხვდებით
 შემდეგ კი თვალის მოსატყუებლად
 და წესის გამო „გასინჯვა“ მოხდა
 სამოცდა ათი ერთ-ურთზე ტურფა კრემლში ჩასახლდა,
 მყარად ჩამოხდა
 მეფე, ექიმთან ერთად სინჯავდა, მათ გარეგნობას,
 ჭკვა-გონებასა
 ვინ მიხვდებოდა მეფის ჩანაფიქრს,
 ვინ იკითხავდა რად იკვლევს, რასა
 ბოლოს თქვენი და ამოარჩიეს
 და გადიხადეს დიდი ქორწილი.²
 მეფე ლალობდა, მხიარულობდა,
 ყველას კუთვნილი მიუძღვნა წილი

1. პეტრე I პიროვნებისა და მოღვაწეობის მკვლევარები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ ალექსი მიხეილის ძე იყო ჭკვიანი, მაგრამ ფიზიკურად სუსტი. დაბალი, მსუქანი, სახე ლაჟღაჟა, იგი ძალზე ავადმყოფობდა როცა ცოლად ნატალია მოიყვანა. ამავე დროს იგი ჩქარობდა, თითქოს გრძნობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოესწრო.

2. 1667 წ. დაქვრივდა ალექსი მიხაილოვიჩი. 14 შვილის გამჩენი დედოფალი მარია მილოსლავსკაია გარდაიცვალა. 22. 01. 1671 წ. შეერთო მეორე, ნატალია კირილოვნა ნარიშკინა. ქორწილის „ტისიაცკი“ იყო ალექსის უახლოესი ნიკოლაი დავიდოვიჩი.



„ტისიაცკი“ კი ნეფე-დედოფალს, თავს ევლებოდა,
 როგორც წესია
 სანთიბიოში თავად შეუძღვა, ესაც ძველების დანათესია
 და იმის მერეც, მეფის ბრძანებით,
 მხოლოდ „ტისიაცკს“ ჰქონდა უფლება
 როცა უნდოდა, იქ შესულიყო,
 არ სჭირდებოდა თხოვნა და ხლება
 ჩვენ, ვინც ვიდექით კარისკაცებად,
 ერთ-ერთზე მსხვილი „ბოიარები“
 ვერ გავბედავდით იქით გახედვას,
 გამოხურული გვექონდა კარები
 ამიტომ, როცა მეფე მწვდა ყელში,
 დავიბენი და დავკარგე თავი
 მწიფეს ესვრიან და მკვახე სცვივა,
 ხომ გაგიგიათ თქვენც ეს ამბავი?

ბორის ალექსეიჩი – ტიხონ ნიკიტჩი,
 რასაც მოჰყევით მე ეს ამბავი სხვაგვარად ვიცი
 დღეს ვინ გამანდო, რა დაამატა,
 ვერ გავამულავნებ, მივეცი ფიცი
 თავის მხრივ იმან საიდან იცის, ეს შემიძლია,
 რომ გაგიმხილოთ
 თუ რამე დარჩა გაუგებარი, მხოლოდ განიშნოთ,
 თვალთ აგიხილოთ
 ჩემთვის მთავარი სულ სხვა რამ არი, როგორ, რა იყო,
 არ მედარდება
 შედეგი აქ გვყავს ალექსეიჩი,
 ნახავ მეფეს და შეგიყვარდება
 ტანით, გონებით ყველას აჭარბებს,
 მასში რუსული სული მალღდება
 ქვეყნის იმედად ის დაიბადა, მასთან ოცნება ჩვენი ახდება
 ჩვენ საზრუნავი სულ სხვა რამე გვაქვს
 და იქით უნდა მივაპყროთ მზერა
 რომ კიდით-კიდე რუსეთი იყოს,
 ყველგან ისმოდეს რუსთა სიმღერა



ლევ კირილოვიჩი – ალექსევიჩი, რა კარგად ამბობთ,
 რუსულ გულს როგორ ესაღბუნება
 ისე ფართეა ჩემი ფიქრები, როგორც ფართეა რუსთა ბუნება
 რაც ჩვენი არის, რომ არ დავფანტოთ, შევძლებთ?
 რომ მეტი შემოვიერთოთ
 რაც გვაქვს მიზნები – შეგვადლებინე,
 შეგვედრებით უფალო ღმერთო.
 ჩემი დის ნულიც, თავადა ხედავთ,
 რომ ღმერთს სამეფოდ გაუჩენია
 მილოსლავსკები ნაუყვანია და უძღურები დაურჩენია
 ივანე მეფე, მეფეა განა? პეტრეა მხოლოდ ქვეყნის იმედი
 ჰერაკლესავით არი ძლიერი,
 ჰეფესტოსავით რკინის გამჭედი
 ოლონდ სოფია ჩამოვაცილოთ,
 მისგან ხიფათი თავს ავიცილოთ
 სამნი ვართ, სამი ათასად ვიქცეთ
 და საზრუნავი გავინანილოთ

ბორის ალექსეიჩი – მეფემ ჯერ უნდა ცოლი ითხოვოს,
 რომ სოფიასგან განთავისუფლდეს.
 მსროლელები დღეს მის გვერდით დგანან, შეუვალები,
 მიაგავენ კლდეს
 ჩვენ ეს კლდე უნდა ჩამოვანგრიოთ, კარგად ვიაზროთ,
 როგორ, რა გზებით
 თუ ვერ შევძელით გადმობირება, სისხლიც დავღვაროთ,
 უქმად დავშვრებით
 ორ თვეში ალბად რუსეთის ჯარი ყირიმისაკენ გაემართება
 თათრებს თუ ცხვირი ამოვუმტვრიეთ,
 იმათი ვალი არ გვემართება
 თორემ როდემდე
 უნდა ვაძლიოთ ყოველ წლიურად „მოსაკითხავი“
 როდემდე უნდა რუსებსა ყიდდნენ ტყვედ წაყვანილებს,
 როცა გვაქვს ზავი¹

1. გადმოცემის მიხედვით ყირიმელი თათრები ყოველწლიურად თურქეთის მონათა ბაზარზე 20 ათასზე მეტ რუსს ყიდდნენ.



გასაგებია „რომ უნდა მორჩეს
 რუსთა მინებზე მათი თარეში
 დროა აქ ფეხი ამოვუკვეთოთ,
 ჩვენ ვინავარდოთ იმათ მხარეში
 ვასილ ვასილიჩ სამზადისშია,
 ორ თვეში და ძრავს სამხრეთით ჯარებს
 თათართ სახანოს თუ დაიპყრობენ,
 რუსული სული ხომ გაიხარებს
 ამჯერად მე არ გავყვები ომში,
 აქ სხვანაირი გვაქვს საომარი
 სანამ პოლკები იქ იქნებიან,
 პეტრეს მეფობა გავხადოთ მყარი
 ამიტომ უნდა მოვგვაროთ ცოლი, ის,
 ვინც იქნება ღირსი და ტოლი
 ვინც თავად უნდა რომ გვერდით ჰყავდეს,
 სხვას არ გაუყოს ღამე სანოლი

ლევ კირილოვიჩი – აქ სამკითხაო არაფერია,
 ვინცა სურს თქვა და ყველამ გავიგეთ
 რა არი ბევრი საფიქრებელი,
 რა გაგვიჭირდა, ვერ გავარიგეთ
 მეც მინახია, მომწონებია, მეფის ასული იმერეთისა
 პირმშვენიერი, ტანით სუროი, ნაშობი დედის,
 შექმნილი ღვთისა
 თან ჩვენნაირი ქრისტიანია, უკულმართობა არა სჩვევია
 აზრს თუ მკითხავენ, თანხმობას ვიტყვი,
 რომ სადედოფლოდ ასარჩევია

/ შემოდის პეტრე /

აგერ თავადიც. ფერზე არ მომწონს, გვეტყვის რაც იყო,
 თუ სათქმელია
 ჩემი დის გამო, დისწულის გამო,
 საფიქრებელი არ დამელია

პეტრე – დათრგუნვილი ვარ.
 რაც მოვისმინე. ბევრი მეფიქრა, სულ არ ველოდი
 მეგონა ჩემზე ყველა ვიცოდი,
 თურმე ვცდებოდი თავს ვერ ვშველოდი



ახლა სურათი გამოიკვეთა,
ვის ვძულვარ, რატომ, ისიც გავიგე
ვინც მყვარებია, თურმე ვცდებოდი,
ფუჭი ოცნების კოშკი ავიგე
ჩემი ვალია, თქვენთან თანხმობით,
კარგად დავსახო სავალი გზები
გრძნობის გულისთვის ხელს ვერ ჩავიქნევ,

ბორის ალექსეიჩი – პიოტრ ალექსეიჩი, ჩემო ძვირფასო,
გარკვევით გვითხარ რაშია საქმე
თუ ის გაიგე, რაც მეც გავიგე, რისთვის კრემლს ვიყავ,
რაც იქ ვისაქმე,
სჯობს, რომ ბოლომდე აქ გავარკვეოთ, რად დავიბოღმოთ,
დარდი რად ვიკროთ
რუსეთი თქვენგან ქმედებას ელის, რით შევეხილოთ,
ისი ვიფიქროთ.

აქ პირადული არაფერია. სამეფო არი გადასარჩენი
თქვენ თავს რაც მოხდა, იმიტომ მოხდა,
რომ იყოთ მეფე გამოსაჩენი

პეტრე – თექვსმეტი წელი ბნელში ვიარე,
თუმცა გარშემო იყო მზიანი
არც მიფიქრია ჩემთვის რად ბნელა,
არც შემხვედრია ამით ზიანი
დღეს ეს სინათლე ჩემში შეიჭრა,
დღეს უკვე ვიცი ვისთვის რად ვღირვარ
ვიცი ვინ რაა ირგვლივ მყოფელი, ისიც იმათთვის,
რა ვარ და ვინ ვარ
დღეს პატრიარქმა თვალთ ამიხილა,
როცა მიაბზო და განმიხილა
გულმა სხვაგვარად დამიწყო ფეთქვა,

თვალმა სხვაგვარი არე იხილა
ლევ კირილოვიჩი – მე ვერ გავიგე, ამავე დროს ვგრძნობ,
ამათ იციან და არ ამბობენ



თუ შეიძლება მეც გამიმხილონ,
 რას მიმაღავენ და რასა გრძნობენ
 თორემ გამოდის არ მენდობიან,
 თუმც ერთგულების დაგვიდევს ფიცი
 ორთავე აქ ხართ ბოიარები, აქა გვყავს მეფე, ჩვენი საფიცი
 მოკლედ ის მაინც გამაგებინეთ,
 ქორწილისათვის ვინყოთ მზადება?
 სხვაგვარად პაპა ხომ ვერ გავხდები,
 შვილიშვილი არ დაიბადება.

პეტრე – თქვენ, ბიძა ჩემო, რა გაქვთ სანუხი,
 თქვენთვის ამ ამბით არა იცვლება
 რაც ვიყავ თქვენთვის, იგივე ვრჩები.
 მოყვარე მტერში არ გაიცვლება
 ეს ჩემთვისაა უცნაურობა, ეს დაფარული მე არ ვიცოდი
 ფიქრით ბიძაშვილს ვეფერებოდი,
 ოცნებით მისთვის გრძნობით ვინოდი
 ახლა გავიგე, ასი წლის უკან,
 ივერთ სამეფო გამხდარა ჩვენი¹
 ფიცი დაუდევთ ერთგულებისა და მეგობრობა გამოსაჩენი
 ღვთისმშობლის ხატზე ივერიისა,²
 წმინდა ამბორით განმტკიცებული
 ორივე მხარეს შეუნახია და არც ყოფილა მათგან ვნებული
 და ამას გარდა, მათი მემკვიდრე
 ჩვენთან ყოფილა მობარებული
 მამაჩემს შვილად გამოუზრდია,
 არა ჰყოლია განსხვავებული
 დედაჩემის და მამის ქორწილშიც
 „ტისიაცკობა“ მასა რგებია
 მოსკოვში მადლი რაც მიუღია, გაჰხარებია და შერგებია

1. ლევან კახეთის მეფემ ფიცი დაღო რუსეთის ერთგულებაზე. შემდეგ იგი რამდენჯერმე განახლდა უშედეგოდ.
 2. ივერიის ღვთისმშობლის ხატი რუსეთში უპირველეს სინმინედ და სახელმწოფოს მფარველად მიიჩნეოდა.



მისი დისწული არი დარეჯან¹,
 რომელის ტრფობით კიდეც ვინოდი
 თურმე ახლობელს ვეფერებოდი
 ჩემს ოცნებებში და არ ვიცოდი
 ჩვენ, ქრისტიანებს არა გვაქვს წესი,
 ასეთ ბიძაშვილს ცოლი ვუნოდოთ
 ცოდვა დავიდვათ, სული ნავწყმიდოთ
 და ეშმას ხელი გამოვუნოდოთ
 ეკატერინა მამიდა ჩემი, ამიტომ კიდეც თვალს მარიღებდა
 ვერა ვხვდებოდი რა ვანყენინე,
 რა დავუშავე ბრალს რაში მღებდა
 ახლა ყოველი გახდა ნათელი.

ივერიელთა თუ ვარ მემკვიდრე
 უნდა ვიზრუნო ივერიისთვის ამ ქვეყანაზე ვიქნები ვიდრე
 თუ ჩემი მამა, მეფე ალექსი,
 რუსეთის საზღვრებს იქით ხედავდა
 თუ დავიდოვიჩს სამეფოდ ზრდიდა,
 ქვეყნის მართვაში წვრთნიდა, ხედნავდა
 კისერზე მანვეს იგივე ვალი, იგივე საქმეს შევეჭიდები
 მამიდან შვილს თუ მერგო მეფობა,
 მეფობის ღირსი კიდეც გავხდები
 მე უკვე ვიცი, რაც უნდა მკითხოთ,
 თუ ვარ თანახმა შევირთო ცოლი
 ვინც უნდა იყოს, თანხმობას გაძლევთ,
 თქვენ შემირჩიეთ სწორი და ტოლი

ბორის ალექსიეიჩი – პიოტრ ალექსეიჩი,

მეც დღეს გავიგე და რაც გავიგე, ვერ გაგიმხელდი
 ჯერ არ მეჯერა, რასაც მომიყვინენ, შევეპასუხე,
 კიდეც გავხელდი

მერე დავფიქრდი.

მიხაილოვიჩს ჭია რომ ღრღნიდა გამოუცნობი

1. Известно ведь, что Петр I считал себя наследником карталинских царей и неблагоприятно отнесся к желанию ... продать свой род путем брака... Дареджаны (С.А. Дианин Бородины М. 1960 с 160).



იმისგან შვილებს რაც გადაედოთ,
 იყვნენ სუსტები და ჭკვა ნალრძობი
 მათგან სხვაობით ალექსეიჩი,
 დებშიც, ძმებშიაც გამორჩეული
 ცოტა დედას ჰგავს, მაგრამ არცა ჰგავს
 და არც ქცევა აქვს მეფის ჩვეული¹
 რაკი ეს საქმე გარკვეულია,
 უნდა დასრულდეს წარსულზე დარდი
 ის ისე იყო, აქ ასე მოხდა,
 იქით რომ მძულდი, აქეთ მიყვარდი
 ჩვენ, ვინც აქა ვართ ფიცით შეკრული,
 უნდა მომავლის საქმესა ვსდიოთ
 კრემლი რას ცდილობს უნდა ვიცოდეთ, რა შეუძლია,
 ის გავარკვიოთ
 ვასილ ვასილიჩს, რომ ვეთათბირე,
 მერე აქეთკენ სწრაფად ვიარე
 დედა დედოფალს, მასთან პატრიარქს ყველა უჟამბე,
 გავუზიარე
 ახლა სასწრაფო არი ქორწილი
 და სრულწლოვანი ამითა ხდებით
 ცოლეურები და მეგობრები,
 თქვენ დასაცავად ერთად დავდგებით
 სანამ ივანეს შვილს გაუჩენენ,
 რამდენიმე თვე დრო ითმენს ვიდრე
 უნდა სოფია ჩამოვიშოროთ, ცხადი გავხადოთ,
 თქვენ ხართ მემკვიდრე
 და იმის შემდეგ აზრი არა აქვს,
 ივანეს როგორ, ვინ ეყოლებათ

1. პეტრე I ცხოვრების აღმწერელი, ყოველთვის აღნიშნავდნენ მის გამორჩეულობას. აი რას სწერდა კ. ვალიშევსკი: «Физически и духовно Петръ савсемъ не походилъ на своихъ старшихъ братьевъ и сестеръ слабыхъ и хилихъ, какъ Ивань и Федоръ каки сама царевна Софья. Да могъ ли Алексѣй, подтачиваемой смертельной болезнью передать силу богатырскій рости и железную мускулатуру?» (К. Валитевский. Петр Великий. (Воспитание Личность). М. 1990 с. 17). «Кто же тогда?» – სვამდა კითხვას ავტორი და მართლაც ვინ?



ბევრიც ეცადონ, ძალაუფლებით,

ვერაჲინ ველარ დაგეტოლებათ
ეს ჩანაფიქრი, რომ არ გამჟღავნდეს, ჩემი იქნება წინადადება
როგორც იყავით მეფევე გიჟმაჟი,

კარგია იგივე თუ გაგრძელდება
დაე იფიქრონ, კი დაცოლშვილდა

მაგრამ ჭკუა ვერ მოიქონია
თუ ასე ვიზამთ, რომ რამეს მიხვდნენ,

დარტყმა დაგვასწრონ, არა მგონია
ტიხონ ნიკიტინი – მიჩვეული ვარ, სასახლის ირგვლივ,

თუ რამე ხდება, ყველა ვიცოდე
მე დამავალეთ უსაფრთხოება,

აქვე დამსაჯეთ, თუ რამე ვცოდე
პრეობრაჟენსკში ჩიტი თუ დაფრენს,

იმასაცა აქვს ჩემგან უფლება
ახლოს ვერაჲინ გაგვეკარება, თუ არ მივეცი ამისი ნება
მე შაკლოვიტის მსტოვრებს სულ ვიცნობ,

ახლოს ვერაჲინ მოგვეპარება
არ დამჭირდება სხვისი თვალთვალი,

ყარაულობა და დახმარება.
მე ისიც ვიცი, ლევ კირილოვიჩს,

ფარულად კიდეც უთვალთვალენ
ფიქრობენ მისი სახელის შერყვნას,

სინდისს და ნამუსს არას დასევენ
თავად მეფესაც, ვითომ შემთხვევით,

გზაზე ხიფათი რომ მოუშადონ
ხომ შეიძლება ასაფეთქებლად, სადაც ის დადის,

ყუმბარა დადონ
ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს,

მე ამ საქმეში ვარ გამოცდილი
ჩემი ხალხი მყავს ჩასაფრებულნი, გზას გაყურებენ,

ვითომ მოცლილი
პეტრე – გასაგებია თქვენი მცდელობა.

წინ უფრო მეტი ხიფათი გველის



უნდა შევიძლოთ მოგერიება

გარედან ჭრელი ასპიტი გველის
თქვენ ითათბირეთ, გზები დასახეთ.

მე უნდა პოლკებს, ჩემსას, მივხედო
სიტყვაც ძალაა, მაგრამ ძალასთან, უნდა შევიძლო,

ძალით გავჭედო
პატრიარქია ჩვენი დამხმარე, პოლკების ძალა ჩვენი იმედი
ჩვენი ჭიდილიც წილნაყარია და გამოჩნდება,

ვის წყალობს ბედი

/ისტორია გვამცნობს, რომ პეტრესაგან მიღებული თანხმობის შემდეგ ნატალია დედოფალმა და მეფის კარმა, შეარჩიეს წვრილი ბოიარის, თევდორე აბრამის ძე ლოპუხინის ასული ევდოკია. დიდ ქორწილს, დაძაბული ვითარების გამო მოერიდნენ. თავად პეტრეც, არ უყვარდა რა საცოლე, წინააღმდეგი იყო დიდი ღრეობისა. 27 იანვარს 1689 წ. პატრიარქმა ჯვარი დასწერა. მეფის დაქორწინება მისი სრულწლოვანების დასტური იყო და მინიშნება სოფიას მმართველობის დასრულებისა. ამის გამო ფაქტობრივ მმართველ სოფიასა და პეტრეს შორის ურთიერთობა დაიძაბა. სალოცავად წასვლის მოტივით სოფია უმცროსი ძმის ქორწილსაც არ დასწრებია. მათ შორის აშკარად დაიწყო ფარული ბრძოლა. ავადმყოფი ივანე ამ ბრძოლაში არ ერეოდა. შორსმჭვრეტელი ცოლის პრასკოვიას რჩევით, იგი ნეიტრალიტეტს იცავდა. ასე გაგრძელდა მთელი გაზაფხული /

/კრემლი. რუსეთის მმართველი სოფია ალექსეევნა ეთათბირება მოსკოვში მსროლელთა პოლკების უფროსს ფიოდორ ლეონტიევიჩ შაკლოვიტს /

შაკლოვიტი – დღეს რუსეთს უჭირს როგორც არასდროს,

ვერგაუგია მეფის რაობა

იციან თქვენ ხართ საჭეთმპყრობელო,

სხვა დანარჩენი მასხარაობა

არადა გუნდი მგლის ნაშობის,

კბილების ღრჭენით ჩვენ გვემუქრება



ფიქრობენ ნახეს სასურველი დრო, მათ ეტკვილებათ,
ჩვენ გვემწარება
თავს გაუვიდათ, გაგვითამამდნენ,
უნდა მივიღოთ მკაცრი ზომები
თქვენი ბრძანება არი საჭირო,
რომ გავაჩეროთ ავის მდომები

სოფია ალექსეევნა – გულკეთილობას ასე სცოდნია,
სიკეთეს მტრობით გადაგიხდიან
ჩემი ბრალისა, გავათამამე,
თუ კვლავ დავუთმე, იქნება გვიან
როგორ გაბედა. ჩვენ ნუ მოგვდევო, მიბღვერდა,
კიდევ შემომიყვირა¹
თუ ვარ სოფია ალექსეევნა,
ამ თავხედობას დავუხსვამ ძვირად
შვიდი წლის წინათ უნდა მოეკლათ,
ამბოხი სანამ ჰქონდათ მსროლელებს
მცირე ომისას დიდი ნადავლი
თურმე მეომარს გაასულელებს
ან ორი წლის წინ,
როცა შემეძლო თავზე დამედგა მეფის გვირგვინი²
უკან არ უნდა წამეღო სიტყვა,
დამენტხევიანა ლეკვისთვის ტვინი

1. 1689 წ. 8 ივნისს, (ა.ს. პუშკინის მოწმობით) ტრადიციებისამებრ მოეწყო ჯვრით მსვლელობა. მლოცველები, მეფის ოჯახის წევრები ეკლესიაში საზეიმო ღოცვის შემდეგ, ჯვრით ხელში, სამღვდელოებისა და არისტოკრატების „წარჩინებულთა“ თანხლებით გარს შემოუვლიდნენ კრემლს. რუსული წესის თანახმად ქალები ცალკე ღოცულობდნენ, რაც შეეხება ჯვრით მსვლელობას, ამ პროცესიაში მხოლოდ მამაკაცებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. სოფიამ ეს წესი დაარღვია. ამიტომ პეტრემ მოსთხოვა ჩამოშორებოდა მსვლელობას. სოფიამ ეს იუკადრისა, მაშინ პეტრემ (უკვე სრულწლოვანმა მეფემ) მიატოვა პროცესია და პრეობრაჟენსკოეში დაბრუნდა. და-ძმის შესარიგებელი ხიდი ჩაიმტვრა.

2. 1687 წ. მსროლელთა უფროსმა შაკლოვიტიმ პოლკების უფროსებს დაავალა, წერილობით მიემართათ სოფიასთვის, რათა მას მეფის გვირგვინი დაედგა. პოლკოვნიკებმა იუარეს. სოფიამ უკან დაიხია.



ახლა რომ ვხედავ თავზე გავიდა,
 მმართველად არ მთვლის, არ მეპუება
 ნამდვილ მეფედ თავს გამოაცხადებს

მე თუ მივეცი ამის უფლება
 ადრეც გითხარით, ჯერ მცირეწლოვანს, ჯვარი დასწერეს,
 დააქორწინეს
 ლოპუხინები შემოიკრიბეს, დაასაჩუქრეს, არ აწყენინეს
 ბოიარები, ვინც მე შევრისხე, ყველა იმათკენ გადაიბირეს
 ზოგიერთები ჩუმად დამცილდნენ,

ორივე მხრიდან გაინაპირეს
 თქვენ მართალი ხართ ლეონტიევიჩ,

თავხედობას რომ მოეღოს ბოლო
 ნარიშკინები უნდა მოისპონ, მოღალატენი ზედ მივაყოლო

შაკლოვიტი – ალექსეევნა, ჩემო ძვირფასო,

თუ დამთმობლობას კვლავ გავაგრძელებთ
 ხის იმ ტოტს მოვჭრით რომელზეც ვზივართ,

გზას გავირთულებთ და გავაძნელებთ
 ბედმა ისედაც გვაქცია ზურგი,

ივანეს ჯერაც არ ყავს მემკვიდრე,
 პეტრეს ცოლი კი არი ფეხმძიმედ, უნდა ვიჩქაროთ,

გააჩენს ვიდრე

ხედავთ? ისედაც აიგდო თავი,

ხალხში შენიშვნას გაძლევთ მბრძანებელს
 უფროს-უმცროსი დავიწყებია, არც თქვენ გიჯერით,

არც თავის მხლებელს

რაც მთავარია, ივანეს ცოლმა,

გოგო დაბადა, ნაცვლად ბიჭისა
 ვინც მივუჩინეთ, არა ყოფილა,

მფლობელი ბიჭის შექმნის ნიჭისა
 ნათლობის დროსაც, ცუდად მენიშნა,

თქვენ ხომ ნათლობას არ დაესწარით
 ამით ივანე გაანაწყენეთ, ძმა დაამცირეთ, არ მიემხარით

ამით მგლის ლეკვმა ხომ ისარგებლა, ნათლობას იყო,

ძმისწული ლოცა



სხვა დროს არაფრად არ მიაჩნია, ძმას მოეფერა,
დასჭირდა როცა.

სოფია ალექსეევნა – თქვენ ამბობთ ძმავ, საიდან ძმავ,
დედაჩემს მასთან რა აქვს საერთო
მამა? ვინ იცის მაგისი დედა ღამ-ღამოობით ვისთან გაერთო
თავადაც იცი, მიხაილოვიჩის,
იერით, ქცევით სულ არ მიჰგავდა
გამიგონია ბავშვი იმას ჰგავს,
ქალი სანოლში ვისაც მიჰყავდა
თქვენ როგორ ფიქრობთ,
ივერთა მეფე სასწრაფოდ რატომ კრემლს მოაშორეს
ნლობით ნაფერი, ცივად გაუშვეს,
კვალი არიეს, რაღაც მოჭორეს
ორის არ იყო ეს ნაბიჭვარი, იერით იმას ემსგავსებოდა
საჭირო გახდა ნიშნების ნაშლა,
სანამ ამბავი გამოსდებოდა
მე მაშინ უკვე მოზრდილი ვიყავ, მომწონდა,
კიდევ ვებრანჭებოდი
ის მამიდასთან¹, დროს ატარებდა, ვხვდებოდი,
ექვით ვიტანჯებოდი
დედა მომიკვდა, დედის მაგიერ,
ნარიშკინების გონჯი მომგვარეს
შავი თათარი,² შეუხედავი, რით შეარჩიეს და გაიხარეს
ეს მე არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი,
რომ მამა მძიმედ ავადმყოფობდა
ახალგაზრდა ქალს რას დააკლებდა.
მასთან სანოლში რა დროს დაჰყოფდა
თავადაც ხედავთ, მე, ჩემი დები
და ჩემი ძმები, ვართ სხვანაირი

1. ერეკლე I – რუსეთში ნიკოლაი დავიდოვიჩი, თეიმურაზ I (პაპის) აზრით ალექსი მეფის დის- ტატიანას საქმრო უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ტატიანა მიხაილოვნა ძალზე ახლოს მეგობრობდა „ივერიის მეფის ნულს“, შემდეგ კი პეტრეს თავგამოდებული ქომაგი იყო.

2. არის აზრი, რომ ნარიშკინების გვარი თათრულ-მონღოლურია.



მგლის ლეკვს სხვაგვარი დააქვს იერი,
 სხვანაირი აქვს ქცევა და ნირი
 მეფე ფიოდორ ალექსეიჩი, ისე ჩავიდა, შვილი არ ჰყავდა
 ლეკვი ამიტომ ჰყავდა ნათლულად, მიტომ უყვარდა,
 მისთვის გათავდა¹

იმედი მქონდა ივანეს ცოლის,
 დამხმარეც მიტომ მე შევარჩიე
 კარისკაცობა მე მივუსაჯე, მოშურნეთ თვალი მას შევარჩიე
 რას ვიფიქრებდი ჯანმრთელი ქალი,
 ჯანმრთელ ერთ ბიჭს ვერ იყოლიებდა
 გოგო დაბადა, მიტომ გავბრაზდი,
 გულზე მომანვა ბოლმა და სევდა
 ახლა რაღა ვქნათ. კაცი შევცვალოთ?

მეორე შვილის შობა ვაცალოთ?
 როგორ მოვიქცეთ, რომ მგელს ვუყელოთ,
 შურის და მტრობის თასი დავცალოთ²

შაკლოვიტი – მოსკოვში ისეც ჭორი ტრიალებს, პეტრესთვის,
 როგორც დროშა ფრიალებს
 ჩვენ თუ კაცს შევცვლით, მტრებს გავახარებთ,
 ეს ჩვენ ჩანაფიქრს გაატიანებს
 და ამას გარდა აზრი არა აქვს,

მგელსაც მანამდე შვილს გაუჩინენ
 თუ ვაჟი იქნა, გასაგებია, ამით მომავალს გადაურჩინენ

სოფია ალექსეევნა – თქვენი ნათქვამით ისე გამოდის,
 რომ მარცხზე მარცხი დამბედებია
 ნაბიჭვარს უნდა დავუთმო ტახტი,
 რუსეთს მეფობა გულს ნადებია

1. თევდორე მეფე – ფიოდორ ალექსეიჩი იყო გონიერი, კეთილი, მაგრამ უშვილო, ამიტომ, ხედავდა რა მომდევნო ძმის (ივანეს) მდგომარეობას, მომავალ მეფედ პეტრეს მიიჩნევდა.
 2. 21.03.1689 წ. პრასკოვია დედოფალმა, ივანეს გოგო გაუჩინა. განაწყენებული სოფია ნათლობას არ დასწრებია (ბიჭის დაბადების შემთხვევაში იგი მეურვის უფლებით მმართველობას შეინარჩუნებდა). ნათლობას პეტრე და ტატიანა მიხაილოვნა (მამიდა) დაესწრენ. ამის მერე პრასკოვიამ კიდევ სამი გოგო გააჩინა. ასეა, როცა არ იცი, ვინ დაიხმარო.



ჯერ იყო ჯიბრით შეერთო ცოლი,
 არ დაჰყვა ჩემი რჩევის ნებასა
 ივანეს გოგო როცა ეყოლა, არა მალავდა გახარებასა
 როცა ვიფიქრე, მგელს მისი ცალი,
 იმერთა მეფის ძე მოვაცილე
 მილოსლავსკების სიძე გავხადე, ნათესაობა გავუნაწილე¹
 ვხედავ, რომ ცუდად შემომიბრუნდა
 და ჩანაფიქრი არ გამოვიდა
 სიძე საომრად მამამისს გაჰყვა,
 ამით პატარძლის დარდს ვინ სწონიდა
 ქალი გათავდა სევდით და დარდით,
 ველარ იხილა ქმრის დაბრუნება
 კაცის ფიქრებზე ეშმაკი ილხენს,
 ყველას უფალის განაგებს ნება
 მეორე მხირვ კი თავს მოვიწონებ,
 თუ მოვიკრიბე გონი და ღონე
 ძველი თუ დავთმე და უკუვაგდე,
 ნიშნავს ახალი გამოვიგონე
შაკლოვიტი – ვასილ ვასილიჩს არ ელაღატა
 ეშმაკურად არ მოგვშორებოდა²
 საერთო ძალით ხერხს მივმართავდით,
 მერე ენახათ რა მოხდებოდა
 ყირიმის ხანთან ზავის დადება,
 თქვენ შეუფასეთ ვით გამარჯვება
 ასეა, კაცს თუ წაახალისებ, შეიფერებს და გათამამდება
 არა და მომდის ზოგჯერ ამბები,
 ყირიმის ხანთან არც უომია

1. მოსკოვში, ალექსანდრე არჩილის ძე პეტრეს უახლესი მეგობარი იყო. მას ასევე მფარველობდა ვასილ ვასილიჩ გოლიცინი, სოფიას მითითებით. სოფიას რჩევით შერთეს 17 წ. ალექსანდრეს მილოსლავსკების ასული. 1689 წ. კავკასიიდან დაბრუნებულ ალექსანდრეს ცოლი გარდაცვლილი დახვდა.
 2. არის ცნობა, რომ 1689 წ. ყირიმის წინააღმდეგ მეორე ლაშქრობი დროს, ვ.ვ. გოლიცინმა, ხანისგან ქრთამი აიღო. უშედეგო ომიდან დაბრუნებული, იგი მალე ჩამოცილდა სოფიას და მამულში ჩაიკეტა. ოჯახი კი პოლონეთში გახიზნა.



რად ინვალებდა თუ კი წინასწარ,
 ის ჩაუთვალეს რაც მოსდომია
 ჩვენ აქ ზეიმით შევხვდით საქვეყნოდ,
 მისი ამაგი ვლოცეთ და ვაქეთ
 არ მოვიძიეთ რაზე მობრუნდა,
 არ გავარკვეით იქით და აქეთ
 მაღალ ჯილდოზე თქვენ წარადგინეთ,
 რისია ღირსი, თქვენ დაადგინეთ
 როდესაც პეტრე იყო უარზე, ძმა არ დაინდეთ,
 მწარედ აგინეთ¹
 ეს მფარველობა რით დაგიფასათ,
 არ იყო ღირსი, ვერც შეიფერა
 ადგა, მამულში გამოიკეტა,
 სულ სხვა ჰანგებზე იწყო სიმღერა
სოფია ალექსეევნა – ლეონტიევიჩი, ხომ არა სცოდავთ,
 ძველი ეჭვები გალაპარაკებს
 ხანი-სგან მართლა აიღო ოქრო?
 ეგებ ტყუით და ყვებით არაკებს?
 საქმეს სჭირდება დიდი ძიება,
 არ ღირს ჭორების გადამღერება
 სიყვარულს გარდა, ისეც ძნელია,
 გოლიცილების გადამტერება

1. ვასილი ვასილიჩ გოლიცინმა ყირიმის ალების მიზნით მეორე ლაშქრობისათვის სამზადისი 1688 წ. შემოდგომაზე დაიწყო. ლაშქრობას 1689 წ. თებერვალში შეუდგა, მაისში უკვე მოხდა პირველი შეტაკება. თათრებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს. სწრაფად ესხმოდნენ რუსის ჯარს და გარბოდნენ. ყოველ ასეთ შეტაკებას გოლიცინი დიდ გამარჯვებად თვლიდა. შედეგი კი ამ გამარჯვებებიდან არაფერი იყო. ყირიმს ვერც კი მიუახლოვდნენ. ივნისში რუსის ჯარი უკან გაბრუნდა. არჩილ იმერთა მეფე კი მოელოდა, რომ რუსები ყირიმს აირებდნენ, თურქებს გაუჭირდებოდათ და იმერეთს იოლად დაეუფლებოდა. გოლიცინის დაბრუნება სოფია ალექსეევნამ გამარჯვებად ჩათვალა. მეფეთა სახელით გამოსცა სამადლობელი სიგელი. პეტრემ სიგელს ხელი არ მოაწერა. დაიწყო ღია-გამოუცხადებელი ბრძოლა ძალაუფლები-სათვის. პეტრემ, გარემოცვის თხოვნით, სიგელს ბოლოს ხელი მაინც მოაწერა, მაგრამ მადლობის სათქმელად მისული გოლიცინი არ მიიღო, შერისხა. სოფიას კი აგრძნობინა, რომ იგი აღარ სჭირდება.



ჩემი გულისთვის, საყვარელ ცოლ-შვილს, ზურგი აქცია,
 უთხრა უარი
 მეც არ ვინდომე ქმრად მომეყვანა, მყავდა, არ მყავდა,
 ვით სატყუარი
 ახლაც ხომ ვიცი მიმელოდება,
 ცარიელი აქვს ღამით სანოლი
 დარჩა გაბზარულ გობის იმედად,
 აღარც მე ვყავარ და აღარც ცოლი.
 ასეთი კაცი საცოდავია,
 თქვენში ეჭვს როგორ უნდა ბადებდეს
 ცხოვრების ბოლოს ვინაც მოიგებს,
 იგი აქებდეს და იქაებდეს

შაკლოვიტი – ალექსეევნა, ხართ მბრძანებელი,
 ავიც და კარგიც უნდა განსაჯოთ
 ვასილ ვასილიჩს როცა ვეხები, სულაც არა გთხოვთ,
 რომ ის დასაჯოთ
 იგი ისედაც არი დასჯილი, პეტრემ შერისხა და დაამცირა
 ბიძაშვილი ჰყავს პირველ მრჩეველად, ხათრი არ დასდო,
 მაინც განირა
 ცდილობდა ბორკა ალექსეიჩი, პეტრეს უფერა, ვასილი უქო
 იმან კი მაინც არ გაიკარა, მავედრებელი დარჩა უშუქო
 მე მისი ბედი არ მეხარბება და არც შედეგით შემნანებია
 წარმატებას რომ თავისად ითვლის,

თავს დააბრალოს თუ ნავნებია
სოფია ალექსეევნა – შევეშვათ სხვათა ავ-კარგის განსჯას,
 უმჯობესია ის განვიხილოთ
 რა ვქანათ მგლის ლეკვი რომ მოვიცილოთ,
 ნარიშკინების დასჯა ვიხილოთ
 თორემ რა ხდება ველარ გავიგე, რამდენსა ვცდილობთ,
 არ ჩანს შედეგი
 მიზეზ-მიზეზი არ დაილია,
 რა მოვიგონოთ, რა ვქნათ შემდეგი?
 როგორ მეგონა, რომ მსროლელები,
 მგლის შიშით ფეხზე არ დადგებოდნენ



პრეობრაჟენსკს არ გადაბუგავდნენ,
 მტერს და მოყვარს ვერ მიხვდებოდნენ
 ყველა უგვარო, ხელმოცარული
 იმის პოლკებში შეკრებილია
 მემკვიდრეობის¹ წესს თუ აღვადგენ, იქ რა მოხდება,
 ხომ ცნობილია
 ასევე მიკვირს, შენმა მცდელობამ,
 შოშინის მიერ დარაჯთა ცემა
 შედეგი როგორ არ გამოიღო
 მოულოდნელად თავზე დაცემამ?²
 ნაცადი ხერხი თუ აღარა ჭრის, უნდა ახალი გამოვიგონოთ
 ძალაუფლება გამოგვეცლება,

შაკლოვიტი – თქვენს ხელმწიფობას, ალექსეევნა,
 მხოლოდ უგვანო დაემდურება
 მსროლელებს მუდამ ასაჩუქრებდით, ვის,
 როგორი აქვს დამსახურება
 შოშინმაც განა ცოტა იშრომა, რამდენსა სცემა და მიატოვა
 ნარიშკინებსაც ბევრი აგინებს,
 მისმა ქმედებამ შედეგი ჰპოვა
 უფრო მეტს ვიტყვი. მინდა იცოდეთ,
 უფრო მეტი მაქვს ჩაფიქრებული
 პოლკოვნიკები უნდა შევკრიბო,
 შფოთისთავების სრული კრებული

1. მხედველობაშია თევდორე ალექსის-ძის მიერ გაუქმებული წესი, რომლის ძალით კეთილშობილთა შვილებს იმაზე ნაკლები თანამდებობა არ „ეკუთვნოდათ“, ვიდრე მათ მშობლებს ეკავათ. ამ წესის აღდგენით პეტრეს მიერ დანიშნურებულ „მდაბიოებს“ თანამდებობრივი წინსვლა შეეზღუდებოდათ.
 2. იმისათვის, რათა „მსროლელებში“ უკმაყოფილება გამოეწვიათ, სოფიას მომხრეებმა მოიგონეს: მატვეი შოშინს აცმევდნენ, ლევ კირილოვიჩ ნარიშკინის მსგავსად (გარეგნობით იგი ჰგავდა პეტრეს დედის ძმას). ღამე შოშინი თავს ესხმოდა ყარაულში მყოფებს და უმოწყალოდ სცემდა. შემდეგ რომელიმე თანმხლები ხმამაღლა ეტყოდა: ლევ კირილოვიჩ, ნუ სცემ სიკვდილამდე, მაინც ქრისტიანია. ნაცემებს შაკლოვიტის ხალხი საჯაროდ დაჰკითხავდა, ვინ გცემა? ისინი ლევ კირილოვიჩს ასახელებდნენ. ამით მსროლელებში და ხალხში უკმაყოფილებას თესავდნენ. შაკლოვიტი თავის მხრივ ნატალია კირილოვნაზე (პეტრეს დედაზე) მიუთითებდა: ყველაფერში იგია დამნაშავე.



ორი წლის წინათ რაც ვერ შევძელით,
 თუ წარმატებით გავიმეორებთ
 ეგება მგელი მოხვდეს ხაფანგში,
 მის მომხრეებსაც ჩამოვიშორებთ

სოფია ალექსეენა – პოლკების ძალა ძალზე დიდია,
 მათზე მეფეთა ბედი ჰკიდია
 ამიტომ ჩემგან პოლკოვნიკები ნაფერებია და ნაყიდია
 და მაინც, მახსოვს, ორი წლის წინათ, რაც მსურდა,
 მხარი არ დამიჭირეს
 ნარიშკინების, მგლის ლეკვის ტყვევნა,
 არ მოინდომეს არ გაიჭირეს
 ახლა თუ ისევ პოლკებს მივმართავთ,
 უნდა ისეთი აზრი დავთესოთ
 აფორიაქდნენ, ველარ დამშვიდნენ,
 ნათქვამი გულზე ტყვიად დაესოთ
 ვთქვათ, ასეთი რამ, მსროლელთა პოლკებს
 ლევ ნარიშკინი დაშლას უპირებს
 ყარაულში მყოფთ ამიტომა სცემს,
 თუ დააცლიან დედას უტირებს
 პოლკებს თუ დაშლის,
 უხელფასობით რა ეშველებათ მაშინ მსროლელებს?
 პოლკოვნიკებსაც არ დაინდობენ,
 ყველას გაყრიან ახლებს თუ ძველებს
 იმათი შველა ჩვენ შეგვიძლია,
 ერთგულებას თუ დაგვანახებენ
 ვინც მოგვემხრობა,
 ამათ დავიცავთ, ნარიშკინები ხელს ვერ ახლებენ

შაკლოვიტი – მსროლელებს შევკრებ, ამ აზრს გავაცნობ,
 შევაშინებ და დავემუქრები
 დაე იცოდნენ ვინა მფარველობს,
 ვინა ლალატობს, სადაა მტერი
 მცირე ამბოხი თუ მოვახერხეთ,
 უკან დასახევ გზასაც მოვუჭრით



როცა ატყდება მინევ-მონევა დანარჩენებსაც
მივუშვებთ მიჯრით

საქმის ეს მხარე გასაგებია,
მე უფრო მეტად სხვა მეფიქრება
პატრიარქია იმის მხარეზე,

როგორ შევბედოთ მას ხელის ხლება?

სოფია ალექსეევნა – გამოშტერებულ მოხუცზე შიშობთ?

უცებ გამოვცვლი თუ დამჭირდება
ეგება სულიც გავაფრთხობინოთ,

შემცვლელის ნახვა არ გაჭირდება
მრევლს ის ახალი ისე დამოდღვრავს,

როგორც ექნება ჩვენგან პირობა
სიტყვით მიმართავს, ჯვარს გადასახავს,

მეტი რა არი მისი გმირობა?
ამიტომ ვფიქრობ, რომ პატრიარქი,

მიიღებს მას რაც მისაღებია
თუ არ მოეგო დროით ჭკუაზე,

ვერ მიხვდა სად რა მისაგებია
მოხუცს ხვალისთვის აქ დავიბარებ,

აქვე დავტოვებ როგორც მძევალსა
კარის დიაკონს ამოვუყენებ,

უკან ვადევნებ, ერთგულ მწევარსა
დაე წინასწარ იგრძნოს ეს ძალა,

რა შემიძლია დაიმახსოვროს
გაითავისოს ვის უერთგულოს,

ვის ემსახუროს როგორ და რა დროს
გამომივიდა ეგაც წმინდანი, მოციქულივით უჭირავს თავი

ხელმწიფისაა ძალა-უფლება, მისი აღვირი და მოსართავი

შაკლოვიტი – ჩემო მფარველო და მბრძანებელო,

თქვენი სურვილიც არი ბრძანება
არ შევასრულო რაც მიმითითეთ, როგორ გავბედავ,
არ ვარ თავნება



თქვენი ნებართვით დღეს კრელმს დავტოვებ
 და პოლკოვნიკებს ჩემთან შევხვდები
 უნდა შევიძლო მათი დარაზმვა,
 ვინ რითა სუნთქავს, უცებ მიხვდები
 დავაპურებ და ისე დავმოდღვრავ,
 მსტოვრებს გავგზავნი დასაზვერადა
 პრეობრაჟენსკი ალყაში მყავდეს,
 ვინ მიდი-მოდის, როდის და რადა
 თან დავამატებ, ნარიშკინების მხრიდან

თავდასხმას მოელოდებით
 კრემლის თავდაცვა მათ ევალებათ,

თქვენგან მიღებულ მაღალ წოდებით
სოფია ალექსეევნა – რაკი შევთანხმდით, დრო არ დავკარგოთ,
 იმათაცა ჰყავთ აქეთ მსტოვრები
 სანამ რალაცას მოიგონებენ,

უნდა შევიძლოთ, შევიპყროთ მტრები
 ლევ კირილოვიჩს, ბორის გოლიცინს,

მგელს და მის დედას პირადად დავსჯი
 ვიცი იმათი ჩანაფიქრები, რას მიპირებენ, ისევე განვსჯი
 მათთან ალექსანდრ იმერეტინსკი,

ჩემი სიკეთე ვერ შეიშნოვა
 კავკასიიდან დაბრუნებულმა, თავშესაფარი იმასთან ჰპოვა
 სიძედ მივიღე, ასე მეგონა, ამით გავხადე ჩემი ერთგული
 სიკეთეს მათში ასე უხდიან, შურისძიებაც არაა რთული
 მთავარი არი შევკარათ ძალები,

დრო არ დავკარგოთ, დავაგვიანოთ
 იმათი სისხლით შევსვაროთ კრემლი,

იმათი მძორით ვანაგვიანოთ

**/შაკლოვიტი ემშვიდობება. მიდის. იმავე დღეს შეკრებს მს-
 როლელთა პოლკოვნიკებს. პოლკოვნიკი ივან ციკლერი ხვდე-
 ბა მონვეულებს: ნეჩაევს, სპირიდონოვს, დუროვს, სერგეევს,
 სუხარევს, შემოსასვლელშივე უმასპინძლდება არყით. შემო-
 დის შაკლოვიტი. /**



შაკლოვიტი – გთხოვთ რომ დაბრძანდეთ. არ მოგეხათროთ,
 თუმც ხშირ შევხვედრებს არ ვართ ჩვეული
 ეს დღეც არაა სხვა დღეებისგან
 რაიმე მიზნით გამორჩეული
 შინაურულად მინდოდა თქვენთვის
 ჩემი ფიქრების გაზიარება
 თქვენიც გამეგო ჭირი, ვარამი, ვით აღსარება და ზიარება
 ყოველდღიური ჩვენი წვალება
 სამშობლოს ბედზე ზრუნვა-ფიქრია
 უფერულია ჩვენი ცხოვრება
 და უგემურად დღენი მიჰქრია
 ათასში ერთხელ რაღაც მიზეზით,
 ერთი-მეორეს სუფრასთან ვხვდებით
 ეს რომ არ იყოს რას გავიგებდით,
 ვინ როგორ ვცხოვრობთ, ვიბრძვით და ვკვდებით
 დღეს გადავწყვიტე თქვენთან შეხვედრა,
 მინდა ერთობით ვისიამოვნოთ
 სასმისს რომ დაცლით, აზრებს რომ გავცვლით,
 თანამებრძოლში სიმშვიდე ვპოვნოთ
 დიდება უფალს, მეფეს და მმართველს,
 რუსულ იარაღს მასაც დიდება
 თუ ვერ გავუგებთ ერთი-მეორეს,
 ერთობის ხიდი არ გაიდება

**/პოლკოვნიკები ცლიან სასმისებს, თრობის კვალობაზე მხ-
 იარულება მატულობს./**

სუხარევი – მონვეულები ვართ კმაყოფილნი,
 თქვენთან ქეიფებს არ ვართ ჩვეულნი
 ზოგჯერ თვეობით ხელფასს ვერც ვიღებთ,
 ვართ დაბოლმილნი, გადარეულნი
 ჩვენ სხვა ხელობა არ გაგვაჩნია,
 ვიცავთ ვისზედაც მიგვითითებენ
 კრემლის სიმდიდრეს გარშემო ვუვლით,
 მაძღრები მშივრებს ვერც გაგვიგებენ



ახლაც, მე მგონი რალაცა ხდება,
 რალაცა ტყდება, რალაცა დნება
 სხვაგვარად თავს არ გაგვიყადრებდნენ,
 ვილაცას ჩვენგან რალაც ენება
ციკლერი – ლავრენტი, ჩვენთვის სულ ერთი არი,
 მიგვითითებენ, იქით ვიაროთ
 ურჩებს დაგვსჯიან, სჯობს დავმორჩილდეთ,
 ერთ-ურთის ბედი გავიზიაროთ
 მილოსლავსკების ქალი მყავს ცოლად,
 თავად მბრძანებელს დავემოყვრები
 მაგრამ თუ რამე არ მოენონა,
 წინასწარ ვიცი, ვერ გადავრჩები
 ამიტომ მიჯობს კიდეც ვიყუჩო,
 არ გავარისხო მალლა მყოფელი
 ავზე და კარგზე რატომ ვიდარდო,
 რად გავინამო წუთისოფელი? (სვამენ)
სუხარევი – ივან, თქვენ ჩვენში ბედი გქონიათ,
 ორმხრივ მეფეთა სიძე ბრძანდებით
 მილოსლავსკები, იმერეტინსკი,
 გსურდეს ჩვენამდე არ დავარდებით¹
 მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენი სიცოცხლე, ხიფათით სავსე,
 ბენვზე ჰკიდია
 რაც უფრო დიდ კაცს მიგვატმასნიან,
 იმდენად ჩვენი ცოდვაც დიდია
 ამიტომ გვმართებს დიდი სიფრთხილე,
 არყის სმას რომ არ გადაგვაყოლონ
 რაც სიმთვრალით ვთქვით, წინ დაგვახვედრონ,
 რაც არ გვითქვია – ის მოგვაყოლონ
შაკლოვიტი – თუმცა წმინდანის სახელს ატარებთ,
 ლავრენტი დახვალთ ცოდვილიანი

1. პოლკოვნიკი ივანე ციკლერი ალექსანდრე არჩილის ძის ქვისლი იყო. ორივეს სოფიას ნათესავის ივანე მილოსლავსკის ქალიშვილები ჰყავდათ. ალექსანდრეს მეუღლე ფეოდოსია ივანოვნა კავკასიიდან მობრუნებულ ალექსანდრეს ცოცხალი არ დახვდა. ქვრივ ალექსანდრეს ივანე ციკლერთან (ქვისლთან) კავშირი არ დაუკარგავს, სანამ მან ლალატი არ ჩაიდინა.



არ გიფარავდეთ, არ გაფასებდეთ,
 დღეს იქნებოდა თქვენთვის გვიანი
 ორი წლის წინაც ატეხეთ ბუნტი,
 როცა მმართველის აზრი გაგანდეთ
 ჩვენი ხელმწიფე ალექსეევნა მოისხენიეთ ცივად და ანდეთ
 არა და მაშინ პოლკოვნიკები
 და მათთან ერთად მოსახლეობა
 მის გამეფებას მიჯრით ითხოვდნენ,
 დამყარდებოდა მშვიდობა, ძმობა
 დღეს ერთი მეფე მეორეს ერჩის,
 ორივეს ტახტზე პირი აქვს ღია
 ორივეს ერთად ჩვენი მმართველი,
 ქვეყნის გამგებლად არ მიუღია
 პრეობრაჟენსკში ჯარს აგროვებენ,
 იქნებ აქეთაც შემოგვიტევენ
 მსროლელთა პოლკებს გააუქმებენ,
 მოსკოვში ადგილს არ დაგვიტევენ
 ჩვენ, თქვენი აზრით უნდა ვითმინოთ,
 ჩვენ რას გვერჩიან არ განვიხილოთ
 მაშ ოჯახები რითი ვარჩინოთ,
 მშვიდი სიბერე რითი ვიხილოთ?
ციკლერი – ლეონტიევიჩ, სიბერეს ამბობთ,
 ნეტა იქამდე მიგვალწევინა
 არავინ იცის ვის რა მოგველის,
 რა გადაგვხდება, რა გვიდევს წინა
 რასაც თქვენ ამბობთ,
 ჩვენც გაგვიგია და უფრო ახალს მე მოგიყვებით
 ლევ ნარიშკინს და ბორის გოლიცინს,
 ვითომ უთქვიათ შეწყობილ ხმებით
 რომ ორ მეფობა უნდა დასრულდეს,
 ივანე ისეც მხოლოდ ითვლება
 ალექსეევნა სიმართლეს მისცენ,
 მისი ცოდვები არ დაითვლება



სუხარევი – პოლკოვნიკებო, ვინაც აქა ხართ,
 ჭორები ყველას გაგვიგონია
 ამდაგვარი რამ რომ დაიჯეროს,
 ასე სულელი არვინ მგონია
 მსროლელთა შორის ზოგი ფულისთვის,
 ზოგი სიმთვრალით ხმებს ავრცელებენ:
 მეფეა პეტრე. ვინც აღუდგება, იმას მოსპობენ, მოიშორებენ
 შვიდი წლის წინათ „ბოიარებმა“
 და მსროლელებმა ეს დაადგინეს
 მაგრამ სოფიამ შეაცვლევინა,
 მიტომ ქალწული ვითომ აგინეს
 და უფრო მეტი, თითქოს ახლა სურთ,
 მმართველის ძალით ჩამოშორება
 თითქოს ომია დას და ძმებს შორის,
 განა ამ ჭორებს დაეჯერება?

შაკლოვიტი – პოლკოვნიკებო, ხომ გაგიგიათ,
 უცეცხლოდ ბოლი არ ავაედება
 ყოველ ჭორს ახლავს რაღაც სიმართლე, ჭორი მართლდება,
 ასედაც ხდება
 აბა უყურეთ ლევ კირილოვიჩს,
 ხელმწიფეს როგორ გაუთამამდა
 ბორკა გოლიცინს, გამოიცვალა ახლა სხვა არი,
 ადრე სხვად მწამდა
 ეს იმას ნიშნავს რაღაცა ხდება,
 რომ მივხვდეთ ასი თვალი გვჭირდება
 თორემ თუ აქეთ შემოგვიტიეს, მოგერიება გაგვიჭირდება.
 განა არ არის სრული სიმართლე,
 სოფიას „დეეკას“¹ რომ ეძახიან
 მმართველს რომ ამდენს გაუბედავენ,
 პატივისცემა ამასა ჰქვიან?
 ივანეს მეფედ არ მიიჩნევენ,
 თუმც უფროსია, არის პირველი

1. „დეეკა“ – გაუთხოვარი, მსუბუქი ქცევის. დამამცირებელი მიმართვა.



ეს წესრიგია? ამგვარი რამის არ ვარ გამგონი,
 არცა მხილველი
ციკლერი – ლეონტიევიჩი, ჩვენ მსროლელებმა,
 რალაცა მიანც უნდა ვილონოთ
 საჭირო არის წესრიგი აღსდგეს,
 ჩვენ სხვა რა უდნა გამოვიგონოთ
 ეგებ მბრძანებელს მივართვათ თხოვნა,
 რათა დაიდგას მეფის გვირგვინი
 ჩვენ მსროლელები მხარში დავუდგეთ,
 პოლკოვნიკების ვისაც გვაქვს ჩინი
შაკლოვიტი – ივან, ჭკვიანი იყავით მუდამ,
 ახლაც ბრძნულია თქვენი ნათქვამი
 მაგრამ თქვენ ერთი საქმეს ვერ დასძრავთ,
 თუმცა არა ხართ უცხო და ხამი
 ეს უნდა ვკითხოთ სხვა პოლკოვნიკებს.
 ნეჩაევ, დუროვ, სპირიდონოვი
 მე ყველას ერთად შეგეკითხებით.
 არ ხართ უცხონი და ძუძუს მწოვი
 ცხრამეტი პოლკი მოსკოვს გარს აკრავს,
 ოცი ათასი არი მსროლელი
 დიდი ძალაა შეერთებული, თუ გამოიღეს ერთობით ხელი
 უნდა განვსაზღვროთ რა შეგვიძლია,
 რისთვის ვიბრძოლოთ, რაა მიზანი
 ალექსეევნას მეფობა გინდათ,
 თქვენს ნათქვამებში ეს აზრი ვცანი
 თქვენ კარგად იცით, მსროლელთა პოლკებს,
 მეფეთა შორის იგი იფარავს
 ხელფასს ის გვაძლევს, იმისი შიშით ვერვინ წაგვართმევს
 და მოიპარავს
 შეიძლებოდეს, გამეფებოდეს, სხვა უკეთესი რალა იქნება
 ნარიშკინები, დღეს რომ გვჩაგრავენ,
 ხვალ მათი ბედიც გარდაიქმნება
 ვინ იფიქრებდა, ივან მრისხანეს,
 სულ ერთი პოლკის შეკრება სურდა



დღეს რა ძალა ვართ, იანგარიშეთ,
 ის ჩანაფიქრი არცაა ხურდა
 პოლკები თუ კი მოინდომებენ
 წინ ვერაფერი ვერ დაუდგებათ
 ორ მეფის ნაცვლად, ალექსეევნა
 არ მივიჩნიოთ ეს ნაცვალგებათ?
 თუ კი სოფია ალექსეევნა ერთპიროვნული გახდა პატრონი
 ჩვენც მასთან ერთად გავბატონდებით,
 რატომ დავრჩებით სხვების გამგონი?
 და ამას გარდა. ვისაც დავიჭერთ,
 ან დაჭერის დროს შემოგვაკვდება
 მათი ქონება ხომ ჩვენ დაგვრჩება,
 პატივისცემაც არ დაგვაკლდება

ციკლერი – მე პოლკოვნიკთა აზრს გამოვხატავ, აქ მყოფი ყვე-
 ლა დამეთანხმება
 ვინც აქ ხოს იტყვის და გვიღალატებს,
 მისი სიცოცხლე ჩვენგან გახმება
 ვიანგარიშოთ, მსროლელთა სახით,
 ხალხის სახელით პეტრეს მივმართოთ
 უფროსი დაა მისი სოფია,
 მშვიდობის დროშა მათში აღვმართოთ
 იმ მიმართვაში ასე ჩავწეროთ: ასეთი არის ჩვენი სურვილი
 მეფეთა შორის ალექსეევნა ისე ჩანს,
 როგორ ოქრო ნურვილი
 შვიდი წელია იგი გვპატრონობს,
 მის ხელში გავხდით სვებედნიერი
 ყირიმის ხანიც მან დაამარცხა,
 გამარჯვებულის დაგვაქვს იერი
 გვინდა შემდეგშიც რუსთა სამეფოს
 ბრძენ ქალი მეფე დიდხანს მართავდეს
 არ იჯდეს კრემლის ქალთა ნაწილში, მატყლსა ჩეჩავდეს,
 ძაფებს ართავდეს
 ჩვენია თხოვნა, რომ ორთავ მეფემ
 ხალხის მოთხოვნა გაიზიაროს



აღექსევენა რასაც გადანყვეტს,
 ორივემ მხოლოდ იმ გზით იაროს
 ისინი, ვინაც ჩვენ გვანოიკებს, ნარიშკინები, ოპრაკსინები
 დასჯილნი იქნენ გასახლებულნი

სუხარევი – როცა აზრს ამბობთ ჩვენი სახელით,
 და ჩამოერთვით ყველას ჩინები,

ჯერ უნდა ჩვენი აზრი გაიგოთ
 ბავშვები არ ვართ ვერ გავერკვიოთ,
 მთვრალეებმა ქვიშის კოშკი ავიგოთ
 თუ მეფეს გინდათ მიაღრთვით არზა,

უნდა იცოდეთ შიგ რა ჩანეროთ
 მე მაგალითად ვერ გამიგია,

ყველამ ერთ ხმაზე როგორ ვიმღეროთ
 ჩვენ, ვისაც გვახსოვს ალექსი მეფე არ დაგვინყნია

მისი ანდერძი
 რატომ არა ვცე ხსოვნას პატივი

და რატომ გავხდე ეშმაკის კერძი
 თავად ფიოდორ ალექსეიჩი, მუდამ მამის აზრს იმეორებდა
 და პატრიარქიც ამას ლოცავდა

დღესასწაულზე მრევლს როცა კრებდა
 ახლა არ ვიცი რა შეიცვალა,

დღეს რად ვაგინო გუშინ ნაქები
 რად დავინუნო და დავანგრიო,

შაკლოვიტი – ლავრენტი, ცუდად ნუ აღელდებით,
 ნაოცნებარი, წლობით ნაგები?

თქვენ თუ არაყი გალაპარაკებთ
 არავინა გთხოვთ რაიმეს ნგრევას,

სხვის დანგრეულზეც პასუხს არ აგებთ
 ციკლური იცით მეფეთ სიძეა, მათთან ახლოა და მეტი იცის
 იმათი აზრი მოკლედ გაგვანდო

და ჩვენც ერთგულნი ვართ მეფეთ ფიცის
 აქ როგორც ითქვა თუ ვერ გაიგეთ,

კრემლიდან მომაქვს გამზადებული



ჩვენგან მას ხელის მოწრა უნდა,
 საქმეც იქნება დამთავრებული.
 თუ მეფეთ აწყობთ ასე მოვიქცეთ,
 რატომ გავხდებით წინააღმდეგი?
 მე მირჩევნია მოვრჩეთ ამ საქმეს
 რომ სადღეგრძელო შევსვათ შემდეგი

**/შაკლოვიტი და რამდენიმე დამსწრე ხელს აწერენ მიმართ-
 ვას. ასხამენ. სვამენ./**

ლავრენტი ხედავ? არაფერია აქ სახიფათო და სანუხარი
 ჩვენ მეფეთ ნებას მუდამ ვასრულებთ,
 არც გვიფიქრია რამე სხვაგვარი.

სუხარევი – არყით ეტყობა მალე დავთვერი, რატომ,
 რა ხდება ველარც კი ვხვდები
 მე ამ მიმართვას ხელს ხვალ მოვანერ,
 იმედი არი ხვალ არ დავთრები
 თუ მართალია და პეტრეს უნდა
 ზოგი თანხლები ჩამოიცილოს
 სრულწლოვანია, მეფობა უნდა,
 „ბოიარებს“ არ გაუნაწილოს
 ეს მესმის, მაგრამ არა მგონია,
 დღეს სიმართლეში ვერც გავერკვევი
 ხვალ კრემლში მოვალ დასაზუსტებლად,
 არ დამჭირდება იქ მოსანვევი

**/პოლკოვნიკი ლავრენტი სუხარევი გადამთვრალი იერიით
 სტოვებს თანამეინახეებს, მეგობრები აცილებენ/**

ნეჩაევი – ამ ხნის მანძილზე პოლკოვნიკები ჩუმად ვიყავით,
 ნათქვამს ვისმენდით
 გვეგონა მხოლოდ დროს ვატარებდით,
 ზოგ მწარე ნათქვამს ამიტომ ვსთმენდით
 ლავრენტის წასვლამ გამომაფხიზლა
 და მინდა ჩემი აზრი გაუწყობ



მოგეწონებათ, – გაიზიარეთ, მაგრამ ნუ ჩათვლით ფუჭად
 და უცხოთ
 ჩვენ კარგად ვიცით როცა რამ ხდება, „ბოიარები“ აირევიან
 მოგვადგებიან, დაიფიცებენ,
 ჩვენ რა გვანუხებს, არცა ხვდებიან
 არა და ბოლოს ჩვენ დავისჯებით,
 ისინი მშრალად გადარჩებიან
 ამიტომ თავში უნდა გაირკვეს,
 ბლოს არ იყოს გარკვევა გვიან
 ხომ ასე მოხდა ორი წლის წინად,
 შვიდი წლის წინათ და უფრო ადრე
 რამდენს უბარალოდ შარი მოუდეს, ასე რატომ თქვი,
 იმას რად ჰკადრე
 რამდენის თავი დავარდა მსხვერპლად,
 რამდენი იყო ალალ-მართალი
 როცა წამებით ათქმევინებენ, სადაა ფიცი და სამართალი?
 ვთქვათ და პეტრეს სურს ზოგ-ზოგის დასჯა, ვინაა,
 ჩვენ ხომ ისიც არ ვიცით
 ეგებ სხვა რამ აქვს ჩაფიქრებული,
 ვინ დამიმტკიცოს პირჯვრით და ფიცით?
 მიტომ დღეს მეც თავს შევიკავებდი,
 ხვალის ამბავი განვსაჯოთ ხვალე
 ვინც მხარს დამიჭერს, ერთად წავიდეთ,
 ვინც აქ დარჩება დამრჩომთა თვალებით.

/რამდენიმე პოლკოვნიკი სტოვებს სუფრას /

ციკლერი – ნათელი გახდა ვინ გვყავს ერთგული,
 და ვისი უნდა გვექონდეს იმედი
 აქ მყოფთა შორის ვინც გვილალატოს გაუნყრეს ზენა
 და შემოქმედი
 ცხადია გვინდა იყოს წესრიგი,
 ნარიშკინები კი ხელს გვიშლიან
 უნდა მოთხოვნა მივართვათ პეტრეს,
 სანანებელი არ გვექონდეს გვიან.



სერგეევი – თხოვნა კარგია, გასაგებია,
მაგრამ პეტრემ რომ გვითხრას უარი
არ დაიჯეროს ერთგულთა აზრი,

ეგონოს ჭორი და სატყუარი?

შაკლოვიტი – კაცები ხართ და ბავშვივით მსჯელობ.

პოლკოვნიკები არ ხართ ეგება?

სამხედროები მოვითხოვთ ჩვენსას, ვინც უარს გვეტყვის,
– გადაეგება

ჩვენ პირველ რიგში ლევ კირილოვიჩს,

ბორკა გოლიცინს უნდა ვუყელოთ

მათ თუ გავკოჭავთ, იანგარიშეთ,

პეტრე დარჩება უთავ-უხელოთ

თუ საჭიროა მგელიც, მგლის დედაც აღარ დავინდოთ,

ზედ მივაყოლოთ

ვინც წინ დაგვხვდება, მსხვერპლი გახდება,

მეფე ივანე დავინდოთ მხოლოდ

სპირიდონოვი – ვინც წინ დაგვხვდება, იოლად ამბობთ,

პატრიარქი რომ გადაგვიდგეს წინა?

ხატის წინაშე მითქვია ფიცი, ღვთის კაცს შევბედო,

მაშინ ვარ ვინა?

შაკლოვიტი – რაც წინ მოგველის, ცხოვრებას შეცვლის,

მისთვის ღვთის კაციც უნდა შევცვალოთ

შტერი მოხუცი როგორ გაშინებთ, მიზანი ითხოვს?

მას ვანაცვალოთ

/ნეჩაევი ბრუნდება/

ნეჩაევი – ლეონტიევიჩ, პოლკოვნიკებო, რაც გზაში მითხრეს,
უნდა გაუწყოთ

შემდეგ ვიმსჯელოთ, როგორ მოვიქცეთ, თავები,

მსხვერპლად მტრებს არ დავუწყოთ

პრეობრაჟენსკში არი მზადება და იარაღის ისმის ხმაური
თავდასხმისათვის ემზადებიან,

ომი მოგველის რამ უცნაური



ასე ამბობენ, პეტრეა მეფე,
 ალექსეევნა მხოლოდ მმართველი
 მეფე იზარდა, საქვეყნო საქმეს უნდა უთაოს,
 მოჰკიდოს ხელი
 ალექსეევნა მაინც ქალია, ქალის მეფობა ვის გაუგია
 ვის უნახია ქალთა ომები, დიდების ძეგლი ვის აუგია
 ინგლისელები ხომ არ გავხდებით,
 კაცი არ გვყავდეს და ქალი დავსვათ
 რუსული წალი ჩავაცვათ ფეხზე,
 ხმალი შევაბათ, არაყი ვასვათ
 ალექსი მეფემ პეტრე დატოვა, უფროსმა ძმამაც ასე ინება
 წავალთ, კრემლიდან ქალს გამოვიყვანთ,
 არ დაგჭირდება ჩხუბი-გინება
შაკლოვიტი – პოლკოვნიკები, გეუბნებოდით,
 ზოგმა უვიცმა არ დამიჯერა
 რაც აქვს, მგლის ლეკვი, არა სჯერდება
 და კრემლისაკენ მიმართა მზერა
 ჩვენი ვალია წავიდეთ კრემლში,
 ალექსეევნა დავიცვათ მკერდით
 მეფე ივანეც გამოვიყვანოთ
 და დავუყენოთ ხელმწიფეს გვერდით
 გამოვაცხადოთ უნდა განგაში,
 ჩვენი პოლკები შემოვიკრიბოთ
 მოლაღატენი თუ კი აღმოჩნდნენ,
 გამოვარჩიოთ და გამოვჩხიბოთ
 დუროვის¹ პოლკმა კრემლის კარები
 და საზარბაზნე ეზოც ჩაკეტოს
 სპირიდონოვმა, გზები დაიცვას,
 ხიდები შეკრას და შეაკეთოს.
 ივან ციკლური თავისი პოლკით,
 პრეობრაჟენსკის გზას დაადგება

1. დუროვი, სპირიდონოვი, ნორმატსკი, სერგეევი, ჩეჩაევი და ა.შ. მოსკოვის ირგვლივ განლაგებული მსროლელების პოლკოვნიკები.



ჩვენზე წამოსულთ იქვე შევხვდებით
და შევაჩეროთ მტერი ეგება
პოლკის ნაწილს მე წინ წავუძღვები,
ვითომ დარაჯთა შესამონმებლად
პრეობრაჟენსკის სასახლეს შევკრავ,
ორმოცდაათ კაცს ვიახლებ მხლებლად
სანამ სამზადისს ჩაათავებენ, მეც იქ გავჩნდები,
როგორც მზვერავი
აღექსევენა ჩვენ გვიფარავდა,
დღეს მისთვის უნდა გადავდოთ თავი

**/პოლკოვნიკები ამთავრებენ ღრეობას და მიდიან
დავალების აღსასრულებლად./**

**/ 1689 წ. 7 აგვისტოს ღამე, პრეობრაჟენსკის სასახლე. მე-
ფის საძინებელში პეტრე რომანოვი, რუსეთის უმცროსი მეფე
და ალექსანდრე ბაგრატიონი, იმერეთიდან განდევნილი მეფის
მემკვიდრე /¹**

პეტრე – ალექსანდრ, ძმაო, როცა ჩემთან ხარ,
თავს დაცუღლად ვგრძნობ, კიდევ ვმშვიდდები
შენზე ერთგული და ახლობელი
არცა მყოლია ძმები თუ დები
ამიტომ, როცა მარტონი ვრჩებით, მეფეს ნუ მეტყვი,
სიშორესა ვგრძნობ
თავს რომ ვიგიჟებ, ასე არ არი,
გარშემო მყოფებს ასე უკეთ ვცნობ
შენ კარგად იცი მხოლოდ დედაა,
ჩემი ავის და კარგის ზიარი
მიცავდა, ვიდრე ვიყავ პატარა
და არ მომსვლია მიტომ ზიანი
მამა არ მახსოვს, დედამ ეს მითხრა მივგეგვარ,
როგორც ვაშლი გაჭრილი

1. არის ცნობა, რომ პეტრე და ალექსანდრე ხშირად ერთ ოთახში იძინებდნენ



ამიტომ და-ძმებს არ ვყვარებივარ,
 დედასაც ძილი დასჩემდა ფრთხილი
 მხოლოდ ნათლია ძმებში უფროსი,
 მიფრთხილდებოდა და მიფარავდა
 დედაც მოსწონდა თავის ქალობით,
 და მზრუნველობით მამასა ჰგავდა
 მე რა ვიცოდი, ვიყავ გიჟ-მაჟი, მეფედ რომ დამსვეს,
 არც რა მესმოდა
 თვალწინ დამიკლდეს ნათესავები, ვინაც მიყვარდა,
 ახლობლად ჩნდოდა
 შემდეგ სოფია დასვეს მმართველად
 და რაც გადამხდა ითქმება ძნელად
 ერთი ეგ იყო კრემლი დავტოვე
 და დაუღლეელი გავიჭერ ველად.
 ძმობის სითბო და ტოლის ხალისი, შენ რომ ჩამოხველ,
 მაშინლა ვცანნი
 შარშან კი დედამ წვრილად ამიხსნა
 ჩემი ცხოვრების ანი და ბანი
 ამიტომ იყო, კავკასიაში ელჩი გავგზავნე, გამოგიძახე
 გული დამშვიდდა უცხო შორიდან დაბრუნებული
 როდესაც გნახე
 ფიქრობ ვერა ვგრძნობ?
 ღამე რომ ვშფოთავ შენ მყარაულობ,
 არ გეძინება
 შენა ხარ ჩემი, თანაზიარი, სანამ ვიცოცხლებ, ასე იქნება
 ახლა კი დავწვეთ და დავიძინოთ,
 ხვალ გველოდება მძიმე საქმენი
 ღმერთო მაღალო, მომნატრებია,
 შენ დამიყენე მშვიდობის დღენი

/იხდის წვება. ალექსანდრეც ემზადება. ისმის ხმაური/

ალექსანდრე – მოხარული ვარ რაც მოვისმინე,
 სხვა შენს ადგილას არას იტყოდა



სააშკარაოდ არ გაიტანდა,
 რასაც იგრძნობდა და რაც იცოდა
 ზოგიერთი რამ მეც გამიგია, თავს რად ვეცრუო,
 შენტან დავმალო
 ასე იყო თუ არ იყო ასე,
 ტვინი ვიჭყლიტო და გილთვალთვალო
 შვილო პეტრუშა გეძახის დედა
 და დედაჩემიც ასე გინოდებს
 თუ დაგჭირდება თვალებს დაინვავეს
 და გულს საშველად გამოგიწოდებს
 მეც ხომ შენი ვარ ფიქრის ზიარი,
 და მიმავალსაც ერთგვარად ვხედავთ
 რუსეთი ფეხზე წამოვაცყენოთ
 და ამის მერე თურქეთს შევბედავთ
 მე თუ მეტყვიან, „იმერეთისკის“,
 ივერიელთა შენ ხარ მემკვიდრე
 რუსეთის ძალით ორივე სამეფო მტრისგან
 დავიხსნათ ვიცოცხლებთ ვიდრე

/გარედან ხმაური ახლოვდება/

რაღაც ხდება, გავალ, გავიგებ, მისურვებია უსიზმრო ძილი
 მშვიდობიანი გქონოდეს მიწყვი
 დაღამებიდან დილის მანძილი

/ისმის პეტრეს კარისკაცის ალექსაშას (ალექსანდრე მენ- შიკოვის) ხმა/

ალექსაშა – ლევ კირილოვიჩი, ჩემო ბატონო, მეფეებს სძინავთ,
 ნუ შეანუხებთ
 დიღამდე ეგებ დავლოდებოდით, ნუ იხმაურებთ,
 კარს ნუ შეულებთ

**/იღება კარი, შედიან ლევ კირილოვიჩი ნარიშკინი, ბორის
 ალექსევიჩი გოლიცინი, მისდევენ მსროლელები იაკობ ლადიგი-
 ნი, დიმიტრი მელნოვი/**



არ სძინებიათ. მინ ჰერც, რა ვუყო,
 მე ნურაფერი ნუ დამბრლადება
 „ბოიარები“ ვერ დავაკავე,
 ეტყობა მართლა დიდი რამ ხდება.

პეტრე – ამას ვის ვხედავ. თქვენ მეგობრებო?
 მე მაპატიეთ ვარ ჩაუცმელი
 უცხო სტუმრებიც მოგიყვანიათ,
 მოგიტანიათ მასთან სასმელი?

ბორის ალექსეიჩი – მეფევ სახუმრად არა გვცალაია
 და მოსაყოლად დრო აღარც რჩება
 ვინც აჩქარდება და ტყეს მიმართავს,
 ის მტერს გაასწრებს და გადარჩება
 მისმინეთ: კრემლში არი განგაში,

ჩვენთან საომრად ემზადებიან
 უნდა გავარდეთ და თავს ვუშველოთ,
 თორემ ნუთი-ნუთს იქნება გვიან
 შაკლოვიტი და ციკლერის პოლკი,
 თქვენ შესაპყრობად მოიჩქარიან
 ამ ორმა ჩუმად გამოაღწია, თავის დადება ამასა ჰქვიან

პეტრე – მოიცათ, კარგად გამაგებინეთ, ვინ, რა მტერია,
 ვის გავვერიდო
 სასახლეს მოვწყვდე, ტყეს მივეფარო,
 ჩასაფრებულებს გადავეკიდო?

თქვენ ვისები ხართ, აბა მითხარით,
 ვინ მოგავლინათ ზედ დაამატეთ
 კრემლში რა ხდება, გზაში რა ნახეთ,
 ნუ დაიბნევით, ნათლად დახატეთ.

ლევ კირილოვიჩი – დისწულო, თხრობის დრო აღარ არის,
 ჩაცმაც არ გინდა, გაასწარ მალე
 „იმერეტინსკი“ თან წაიყვანეთ,

ტყეს შეეფარე და დაიმაღლე
 კართან ცხენები შეკაზმულები და მეჯინიბე უკვე მოგელის



უფალი იმას შეაძლებინებს,
 გამომღებია ვინც დროით ხელის,
 იქ დაგველოდე, ბრძანებებს გავცემთ, ტყეში მოგაგნებთ,
 შეგიერთდებით
 მერე განვსაზღვროთ რა გზას დავადგეთ,
 ფუჭი საუბრით ნულარ მოვცდებით

**/პეტრე საცვლების ამარა, ალექსანდრე აგროვებს პეტრეს
 ჩასაცმელს და გარბიან/**

ბორის ალექსეიჩი – დაინყო რასაც ასე ველოდი,
 ახლა ამ ამბავს რა შეაჩერებს
 უფალი გვწყალობს, ავის მოსურნეთ,
 გზა-კვალს აუბნევს და შეაჩვენებს
 კირილიჩ, თქვენ გთხოვთ,
 ქალების საქმეს თქვენზე უკეთეს ვინ მოაგვარებს
 ორივე დედოფალს უნდა აუწყოთ,
 მაგრამ ფეხმძიმეს ვინ ააჩქარებს?
 დედა-დედოფალს თუ გავარიდებთ,
 ფეხმძიმეს ყველა მოერიდება
 თუმცა მტრებია, ხომ ვართ რუსები,
 ქრისტიანულად ასე არ ხდება?
 და ამას გარდა, თუ შაკლოვიტი,
 მართლა აქეთკენ მოემართება
 მე აქ დავხვდები, თქვენ გადარჩებით,
 არ დაგჭირდებათ თავის მართლება.
 შენ ალექსაშა, დარაჯად დადექ,
 იმათი მოსვლის მომეც ნიშანი
 მე მგონი ვხვდები იმათ ჩანაფიქრს, მათი მიზანიც ამოვიცანი
 თქვენ მსროლელები, ვისი პოლკის ხართ,
 რაც იცით წვრილად გაიმეორეთ
 ნუ შეშინდებით, ხართ მეფის კარზე,
 და მოკრძალებაც ჩამოიშორეთ.



ლადიგინი – ვარ ლადიგინი, ეს კი მელნოვი,
 სუხარევი გვყავს სიკეთის მთოვი
 პოლკოვნიკი თქვენ გეცოდინებათ,
 ზოგივით სისხლის არაა მწოვი
 დღეს შაკლოვიტმა, თუ უკვე გუშინ,
 პოლკოვნიკები ერთად შეჰყარა
 არაყი ასვა, როცა დაათრო, იფიქრა საქმე რომ მოაგვარა
 მოსთხოვა ყველას, ალექსეევნა,
 ქვეყნის ერთადერთ მეფედ მიეღოთ
 ივანე, პეტრე არად ჩაეგდოთ,
 მხოლოდ ქალისთვის პატივი ეგოთ
 შემდეგ განგაში გამოაცხადა,
 მსროლელებს საქმე გაუნანილა
 ჩვენმა კი თუმცა უთხრა უარი, სამძიმო საქმე ვერ აიცილა
 ჩვენ ორს გვიბრძანა აქეთ წამოსვლა,
 რომ ყოველივე მეფისთვის გვეთქვა
 გამოვიპარეთ, მზვერავებს ავცდით,
 გადაგვხვდა შიში და გულის ხეთქვა

ბორის ალექსეიჩი – თქვენ უფროსს ვიცნობ, მეფის ერთგული,
 მამაცია და პატიოსანი
 ნეტა ვიცოდე მსროლელებს შორის,
 რამდენი არი იმისი მგვანი
 თქვენ კი მადლობას მეფის სახელით გეტყვით
 და კიდევ დაგაჯილდოვებთ
 როდესაც საქმე ჩამოთავდება,
 მაგრამ ახლა კი აქ ვერ დაგტოვებთ
 თუ შაკლოვიტი აქეთკენ მოდის, თქვენთვის არ ვარგა
 აქ რომ გიხილოს
 ვაი თუ რამე იეჭვიანოს, ისე დაგსაჯოთ, არც განიხილოს
 ამიტომ სწრაფად და შეუმჩნეველად, ჩემი რჩევაა,
 უკან დაბრუნდეთ
 არვინ გაიგოს თქვენი აქ მოსვლა.
 გზაში საუბარს კი არ მოუხდათ



ლავრენტი ნახეთ და მხოლოდ იმას,
 ასე უთხარით მეფის ბრძანება
 სამების ტაძარს¹ მოადგეს პოლკით,
 არ ღირს ზოზინი და დახანება

/მსროლელები მიდიან/

ეს ესეც ასე, უკვე დაიწყო,
 რაც მქონდა გულში ჩანაფიქრები
 ახლა მთავარი პეტრემ გასწროს,
 მეც მომლოდინე რატომ ვიქნები
 უპირველესად, ვასილ ვასილიჩს, როგორც შევპირდი,
 უნდა მივხედო
 ვურჩიო პეტრეს გამოცეხადოს თავჩაქინდრული,
 მორჩილ, უბედო
 თუ დამიჯერა, ხომ გადარჩება, თუ არა,
 ჩემზე არ ჰქონდეს წყენა
 ვარსკვლავებს წყვეტდა, ასე ეგონა, დღეს წამხდარია,
 არ მომეჩვენა.

დროა განვსაზღვრო, დღეს ვითარება,
 როგორი ხაზით განვითარდება
 ორი ბანაკი დარაზმულია, და არ იციან სხვაგან რა ხდება
 მე კი ორივეს ამბავი ვიცი და შემოძლია გზები დავსახო
 თუ შაკლოვიტი აქეთკენ მოდის,
 აქ უნდა დავხვდე და აქა ვნახო
 ვიცი რაც ვუთხრა პეტრეს შესახებ,
 რომ ავურიო ჩანაფიქრები
 რას მიპასუხებს და მოიქცევა,
 იმათ სიმტკიცეს ამით მივხვდები
 რა შეუძლია ალექსეევნას?

პოლკოვნიკები თუ მხარს უჭერენ
 თან თუ იარაღს აჟღარუნებენ, გასაგებია, რასაც ურჩევნ

1. სერგიევი – ტროიცის მონასტერი, რეალურად გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა, სადაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა უსაფრთხოდ ყოფნა... 1689 წ. მონასტრის არქიმანდრიტი იყო ვიკენტი, რომელიც აშკარად პეტრეს მხარეს იჭერდა და შეძლებისდაგვარად ეხმიანებოდა კიდევ.



სამხედრო ძალით პეტრე სუსტია,
 მაგრამ მეფობით არი ძლიერი
 იქით მმართველი და აქეთ მეფე,
 ვის როგორი აქვს ხალხში იერი?
 და ამას გარდა, მეფე არ ერჩის,
 მონასტერს გარბის და იმალება
 მმართველი მეფეს ტყვევნას უპირებს,
 რას ედავება და ემართლება?
 ცხადია, მეფე არი მართალი,
 ხალხისგან უნდა მას მხარდაჭერა
 სწორად გავთვალე, კირილოვიჩი, ჭკვიანი არი,
 რომ დამიჯერა

/ალექსაშა მენშიკოვი კარებში გამოჩნდება/

შენ, ალექსაშა, მეფის სანოლი გაასწორე
 და როცა მორჩები
 პეტრე მოძებნე, ასე უთხარი,
 მონასტრისაკენ გაკვალოს გზები
 არქიმანდრიტი მოინახულოს,
 მდაბლადა სთხოვოს თავშესაფარი
 დღეს ვითარება ამას მოითხოვს
 და მოქმედებაც მართებს სხვაგვარი
 მე აქ მივხედავ სამეფო საქმეს
 და თან შაკლოვიტს შევეგებები
 მერე მონასტერს ვენწვევი მეფეს,
 გზები დავსახოთ და შედეგები

**/ბორის გოლიცინი გადის და სასახლის კართან ხვდება შეი-
 არაღებული რაზმით მოსულ ფიოდორ ლეონტიევიჩ შაკლო-
 ვიტს/**

ბორის ალექსეიჩი – ამას ვის ვხედავ, ლეონტიევიჩ,
 ამ გამთენისას თქვენ აქ რა გინდათ?



ლამის ელფერი ჯერა არ ჩამკვდარა,
 არ მოფრენილა ეოსი წმინდა¹
 ეს იმას ნიშნავს, კრემლიდან აქეთ,
 თქვენ მგზავრობაში ბნელი დალახეთ
 რა მოხდა ნეტა ასე სასწრაფო,

შაკლოვიტი – მე დრო არა მაქვს ხუმრობისათვის,
 უნდა მოვასწრო საქმის კეთება
 ყარაულში მყოფთ ირგვლივ ვამონებ,
 რომ არ დაეცეს სულისკვეთება
 ამ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს,

როგორ სრულდება დარაჯთა წესი
 დარაჯებს შევხვდი, გავესაუბრე, მათი წუხილი გავიზიარე
 ახლა მოველი, რომ აქაც ვნახო,

როგორ სრულდება დარაჯთა წესი
 შემდეგ კი მეფეს შევატყობინო რა ზედმეტია, რა დასათესი
 იმედი არი მეფე მიმიღებს, რაკი აქა ვარ, დაველოდები
 ზოგი რამა მაქვს ცალკე სათქმელი,

ბორის ალექსეიჩი – პეტრ ალექსეიჩის ალბათ ჯერ სძინავს,
 ნავალ,

იმედი არი რომ მიმიხვდებით
 არ მოგიწიოთ დიდხანს ლოდინმა

შაკლოვიტი – ნუ შეწუხდებით, მე თავად ვნახავ, თუ გავალვი-
 ძებ,

გავიგებ, გაგაგებინებთ
 ბოდიშს მოვუხდი
 ის, რაც ხელმწიფის დავალებაა, ცალკე ავუხსნი,

ბორის ალექსეიჩი – მაშინ შევთანხმდეთ, ერთად მივიდეთ,
 მიტომ შევწუხდი
 გარეთ დავრჩები თუ მან ინება

1. ეოსი – პელაგეიურ-ბერძნული მითოლოგიით აისის ქალღმერთი. თავისი გამორჩენით, იგი ძმის, ცეცხლოვანი ეტლით მომავალი მზის ღმერთს ჰელიოსის მოახლოებას აუწყებდა სამყაროს.



მეფეთა სურვილს ვერ გადაუვალ,
 მეყოფა ძალა და მოთმინება
 თქვენი მცველები კი აქ დავტოვოთ,
 რომ არ ავტეხოთ დიდი ხმაური
 იარაღებიც აქ მოიხსენით, რომ არა ჩანდეს რამ უცნაური
/ მეფის საძინებელი /

შაკლოვიტი – საძინებელი ცარიელია. მეფე სადაა.
 სად უნდა ვნახო?

კრემლიდან აქეთ მაგისტვის მოველ
 და უფრო მეტი მზად ვარ დავლახო.
ბორის ალექსეიჩი – პეტრე არსად ჩანს. „იმერეთისკიც“
 გუშინ მთელი დღე ერთად ლალობდნენ
 „კუკუი“ ქალაქს ეპირებოდნენ,
 რომ მოხვიდოდით ალბათ ვერც გრძნობდნენ
 ახლა რაღა ვქნათ, იქ მივაკითხოთ,
 თუ დაველოდოთ დაბრუნებასა?
 ასეა მუდამ ახალგაზრდები, თუ მიუშვებენ თავის ნებასა
 ლეონტიევიჩი, ან უკეთესი, ჩემთან შევიდეთ, თითო გა-
 დავკრათ
 ტყუილად დგომას, ჯდომა სჯობია.

ასეთი დილა გავაცდინოთ რათ?
შაკლოვიტი – პეტრე არსად ჩანს. ვერც ვერვინ მეტყვის,
 საით წავიდე და სადა ვნახო
 სასახლეს მაინც კარგად შევხედავ,
 სურათი გულში შემოვიწინახო
 თქვენი ნებართვით მცველებს დავტოვებ, შემატყობინო,
 როგორც კი მოვა
 მე სწრაფად მმართველს უნდა ვაუწყო,
 დაგვიანება აღარ გამოვა

**/შაკლოვიტი ათვალეირებს სასახლეს, დარწმუნდება, რომ
 მეფე არსადაა და შეცბუნებული ბრუნდება კრემლში/**



ბორის ალექსეიჩი – ძალიან კარგი. სანამ ეს ირბენს,
 მეფის კვალსა სდევს და დაიღლება
 პეტრე სამებას შეეფასება, და ვითარებაც გამოიცვლება.
 ახლა ერთია კიდევ სასწრაფო:

მსროლელთ პოლკების მეთაურები
 ამ გაიძვერას ხელქვეითები, სამხედროების მთელი ნაკრები
 გავაფრთხილოთ და მეფის სახელით,
 მონასტრის კართან გამოვიძახოთ
 ვინ ვისკენაა, რას წარმოადგენს, რა შეუძლია,
 შევკრიბოთ, ვნახოთ
 ამავე დროს პეტრემ და-ძმას მისწროს, ახსნან,
 რა იყო იმის მიზეზი
 სამხედროები გამოიძახეს, პრეობრაჟენსკის უჩინეს გეზი
 თუ ძმები ერთად უნდა მეფობდნენ,
 ერთი-მეორის ნაბიჯსა გრძნობდნენ
 განგაში როცა გამოაცხადეს,
 რა პეტრეს მეფედ აღარა სცნობდნენ?
 და კიდევ ერთი საინტერესო,
 შაკლოვიტს სურდა მეფის შეხვედრა
 სინამდვილეში რა ედო გულში,
 რა დაავალეს, ვინ რას ევედრა
 უნდა პირადად გამოვიძიო, უნდა დავკითხო და ვათქმევინო
 ისე, სიმართლე ველარ დამალოს
 და ბიძაშვილსაც არ ვაწყენინო
 ვასილს რა ვუთხარ, ისე დაეცა,
 გვერდითა ჰყავდა ამისთანები
 ამიტომ ნახდა იმისი საქმე, ვისგან, რა კაცი, დარჩა ნავნები
 საჭირო არი გადავამოწმო,
 მერე მონასტრის გზას დავადგები
 რუსი ვარ, რუსი იმდენად ვფასობ,
 მეფეს რამდენად გამოვადგები

**/სერგიევო – ტროიცის მონასტერი. არქიმანდრიტი ვიკენტი
 ხვდება რუსეთის უმცროს მეფე პეტრეს/**



არქიმანდრიტი – ღმერთი განაგებს მოკვდავთა ყოფას,
 მეფე იმათში არი პირველი
 ამიტომაა კაცთა ცხოვრება ასე ცნობილი და საკვირველი
 თქვენ შვილო ჩემო, უთენიაზე გზააბნეული დაიარებით
 უფალმა აქეთ გაგიკვალათ გზა,
 რამ გაიძულათ თუ მოხველთ ნებით?

პეტრე – მამაო, იცით მოკლე ცხოვრება,
 სიკვდილის შიშში მიტარებია
 ერს ვაკლდებოდი, ღმერთს ვადიდებდი,
 ლოცვა არასდროს დამზარებია
 დღეს ვიქნებოდი მე ბედნიერი,
 რომ შემძლებოდა მშვიდი ცხოვრება
 წირვას არასდროს დავაკლდებოდი,
 მაგრამ სხვას ითხოვს ჩემგან დროება
 სასახლიდან ვარ გამოქცეული,
 უკან სიკვდილის ჩრდილი მომყვება
 ქვეყნის მმართველმა და უფროსმა დამ,
 არ იცის ცოდვა და მიტევება
 გულში ბოროტი განზრახვა უდევს,
 უმცროს ძმას მშურობს და მემუქრება
 მე თუ მომკლავენ ასე ჰგონია,
 დაბრკოლებები მისთვის გაქრება
 ვასილ გოლიცინს ქმარად დაისვამს,
 გვირგვინს დაისვამს და გამეფდება
 ივანე ისეც უუნაროა, ამგვარად ფიქრი მისი ახდება
 გუშინ შეკრიბეს პოლკოვნიკები,
 ჩემი სიკვდილის სთხოვეს პირობა
 ყელს გამომჭრიდნენ მძინარე მეფეს,
 ეს იქნებოდა მათი გმირობა
 მადლობა უფალს, ყველა არ იყო მომხრე, ჩამდენი,
 დიდი ცოდვისა
 გამაფრთხილეს და იმას მივადექ
 ვინც მფლობელია სიბრძნის ცოდნისა



ვის შეუძლია ღმერთის სახელით ცოდვილიან
 მრევლს გზა მიასწავლოს
 ბოროტი დაგმოს, კეთილი აქოს
 და უცოდველად ცხოვრება გავლოს

არქიმანდრიტი – ხმას ჩემამდე არ მოუღწევია,
 მაგრამ მმართველის ფიქრები ვიცი
 მხარზე ეშმაკი აზის მაცთური,
 მკერდზე ჰკიდია ჯვარი საფიცი
 კარგად გიქნიათ რომ აქ მოხველით,
 დაცული არი მყოფი ყოველი
 მაგრამ დედოფლებს თქვენთან ვერ ვხედავ,
 ხომ არ არიან სხვა გზის მზომელი?

პეტრე – მამაო ვიკენტი, უნდა მეჩქარა,
 ამიტომ ყველას გამოვასწარი
 „იმერეთისკი“ ვიახლე მხოლოდ,
 ვერ მოვიფიქრეთ ზომა სხვაგვარი
 მე რომ მიყურებთ, რაც ტანთ მაცვია,
 გზაში მანიეს შესამოსელი
 შაკლოვიტისთვის უდნა დამესწრო,
 ლალატის ბადის არის მქსოველი
 ჩემი დედის ძმა, ლევ კირილიჩი,
 ორივ დედოფალს აქ გამოჰყვება
 ადგილზე დარჩა ალექსეიჩი, გენახავს,
 რაც მოხდა ჩვენთან, მოყვება
 სანამ ჩვენ ვმსჯელობთ „იმერეთისკი“
 საყდრის გალავანს თვალს გადაავლებს
 გამოცდილია, გადაამონმებს მცველებს,
 ზარბაზნებს, ცხენებს თუ თავლებს
 არა მგონია მოხდეს თავდასხმა, სად ვიძალები არავინ იცის
 მათი მსტოვრები ყველგან არიან.
 მიტომ არ მჯერა ბევრის ნაფიცის

არქიმანდრიტი – უფლის კრავი ხართ, მაგრამ ხართ მეფე,
 ამიტომ სხვებზე უნდა იზრუნოთ



სხვებიც ასეა, სხვისი ქმედება, სანამ არ განსჯით,
 არ დაინუნოთ
 ჩემი ეს რჩევა დაიმახსოვრეთ,
 ურწმუნო კაცის ყოფა ძნელია
 მარტოკა კაცი ვერაფერს იზამს,
 ცხოვრების გზა კი გასავლელია
 ახლა დაგტოვებთ, თქვენი ნებართვით,
 რაკი დედოფლებს დღესვე მოვევლით
 და მათთან ერთად ვინაც იქნება,
 დავაბინავოთ უნდა ყოველი

**/არქიმანდრიტი გადის. პეტრე ფიქრობს. გარკვეული დრო-
 ნის შემდეგ ხმაური გამოაფხიზლებს. შემოდიან ლევ ნარიშკ-
 ინი, ბორის გოლიცინი, ტიხონ სტეშნევი, პეტრე პროზოვსკი,
 ივანე ტროუკუროვი, პეტრე შეხუმეტიევი,¹ ფრანც ლეფორტი,²
 „იმერეტინსკი“/**

ფრანც ლეფორტი – „მაინ ჰერც პიტერ“,
 ეს რა გავიგე, მეფეს სდევნიან უღმერთოები
 კარგია შესძელ თავის გამოსხნა,
 გმართებს მიიღო მკაცრი ზომები
 ამით მთავრდება ყმანვილკაცობა,
 მეფური ნება უდნა აჩვენო
 გარს ერთგულები შემოიკრიბო,
 მტრები დათრგუნო და შეაჩვენო
 კრემლში ეგონათ ყმანვილი მეფე
 „კუკუი“ ქალაქს მხოლოდ ერთობა
 ვერა ხვდებოდნენ იკრებდი ერთგულთ,
 რომ დაენახათ თქვენთან ერთობა

1. პეტრეს ერთგული ბოაირები.
 2. ფრანც ლეფორტი – 1675წ. ჩადის მოსკოვში 15 ოფიცერთან ერთად, დაე-
 სახლა ე.წ. „კუკუი“ ქალაქში, აქ დაოჯახდა. შეერთო სოლიდური მზითევისა
 და ადამიანური კავშირების მქონე ელიზავეტ სუხეი. აიშენა დიდი სახლი,
 სადაც პეტრე და მისი მეგობრები ყოველმხრივ ერთობოდნენ. მოგვიანებით
 პეტრეს ბრძანებით ლეფორტის სახლი ორგიების სასახლედ გადააკეთეს.



ახლა დადგა დრო ერთობის ძალა
და ცოდნის ძალა გამოაჩინო
რაც მიგიღია იმათგან წყენა, გადაუხადო, არ შეარჩინო
აქ ვინც მოვსულვართ და ვინაც მოვა,
მეფის ერთგული მეომარია
მე ბევრი ვიცი იარაღს ისხამს და ყველას აქეთ მოუხარია
პატრიკ გორდონი¹ უცხოელებით
და მთელი პოლკით მოემართება
ვერ გარკვეულან და და მმართველი,
ძმასა და მეფეს რას ემართლება
კაცის მეფობა, წინამძღოლობა,
ღმერთის კანონით დადგენილია
ჰერაკლესავით მძლავრი ჰყავთ რუსებს,
მათი ოცნება ახდენილია

ბორის ალექსეიჩი – უცხოელს ერთში დავეთანხმები,
უზრუნველობის დრო ჩავლილია
სულ ერთ ღამეში რუსთა სამეფო
ჯადოსნურ ძალით გამოცვლილია
ეს იმას ნიშნავს, დროება ითხოვს,
რომ თავად მეფეც გამოიცვალოს
სამეფოს ბედი და მომავალი,
უდარდელობას არ ანაცვალოს

პეტრე – „ბოიარებო“, დიდებულებო,
მზრუნველობისთვის ვარ მადლობელი
ჩემი ცხოვრება ორად გაიყო,
ორივე ნაწილს დრო ჰყავს მშობელი
წუხანდელ ღამემ ბევრი მასწავლა,
ყმანვილკაცობა არ დამაცალა
ამავსო დარდით და საზრუნავით,
ოცნებებისგან სრულად დამცალა

1. პატრიკ გორდონი – შოტლანდიელი ემიგრანტი, „კუკუი“ ქალაქიდან. მონაწილეობდა ომებში. ბოლოს პეტრეს მხარე დაიჭირა, დაუახლოვდა, მეგობარი და მრჩეველი გახდა. მანამდე, ვასილ გოლიცინის წყალობით მიიღო პოლკოვნიკობა. პეტრეს დროს კი გენერლობა.



მე კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.

ახლა ქმედებას ითხოვს დროება
ოჯახისა და სამეფოს საქმე გადაიჯაჭვა, ერთ-ერთს მოება
ლევ კირილოვიჩი, პრეობრაჟენსკი როგორ

დატოვეთ უნდა ვიცოდე
ორივ დედოფალს თქვენ ჩაიბარებთ,

იმათი ბედით უნდა იწოდეთ
მე მათზე ზრუნვის დრო არ მექნება,

თქვენ დას და თქვენ რძალს, თქვენ მოუარეთ
დააბინავეთ, უზრუნველყავით,

გაჭირვებებიც თქვენ მოაგვარეთ
ტიხონ ნიკიტინი, პრეობრაჟენსკში

უსაფრთხოების საქმე გებარათ
ახლა მონასტერს უნდა მიხდოთ

და ეს იქნება თქვენი ბეგარა
რამდენიც ვიცი პატრიკ

გორდონის პოლკი აქეთკენ მოემართება
თუ არ მივხედეთ, დავაბანაკეთ, სასიკეთო რა დამართება
სხვა დანარჩენი ალექსეიჩმა,

იცის და მინდა, რომ მოგვახსენოს
რა გვჭირს, რა გვინდა, რა ვიმოქმედოთ,

ბორის ალექსეიჩი – „პიოტრ ალექსეიჩი,“ თქვენს მეფურ ნებას,
მრჩეველის სიბრძნე უნდა გვიჩვენოს

რა უფლება მაქვს გადავუხვიო
არ მოვყვე ღამემ რაც მოიტანა, შავი,

ცისარტყლის ფერში გავხვიო
თქვენ რომ წამოხველთ,

„იმერეტინსკი“ თქვენი ჩასაცმლით გამოგეკიდათ
ლევ კირილოვიჩის უნდოდა შველა,

მისი სიცოცხლე ბენჯზე ეკიდა
ამიტომ ასე გამოვიგონე, დისა

და რძალის თანხლება ვთხოვე
თუ შაკლოვიტი გამოჩნდებოდა,

მას მოვარიდე, არ შევატოვე



თქვენც ხომ იცოდით და იყო ცხადი,
 რომ შაკლოვიტი ჩვენ ორსა გვმტრობდა
 ორივე ერთად, რომ დავეჭირეთ,
 ორივეს ცოცხლად ტყავს გაგვაძრობდა
 შემდეგ ვიფიქრე, სადა სჯობია,
 რომ თქვენ მოძებნოთ თავშესაფარი
 მხოლოდ სამება და ალექსაშა, თქვენთან ვაფრინე,
 როგორც მდევარი
 შაკლოვიტმაც არ დააგვიანა, ყველა გაჩხრიკა, არ დაახანა
 საძინებელშიც შემოყო ცხვირი, ვერ განახათ,
 გაშრა და დაინანა
 ის მსროლელები, ვინც გაგვაფრთხილეს,
 მათ პოლკოვნიკთან სიტყვით გავგზავნე
 თუ უცოდველი არი მეფესთან,
 არ აქვს წარსული ბოროტი, მავნე
 მონასტრისაკენ დაედრა პოლკი,
 და სხვებთან ერთად წამოსულიყო
 ახლა ვგებულობ, სოფიას მხარე,
 ამ მოქმედებით შუა გაიყო
 სუხარევსკი რომ დაიდრა აქეთ, ციკლერი გზაში წამოენია
 მოინანია რაც ადრე ეთქვა, ეს აპატიეს და ცას ეწია
 ასე, რომ ახლა მონასტრის ირგვლივ,
 ორი პოლკია მსროლელებისა
 მას დაუმატე გორდონის პოლკი,
 გამოცდილება ომში აქვს ვისა
 პრეობრაჟენსკის, სემიონოვსკის,
 ეს ორი პოლკი თავდადებულთა
 ხუთი პოლკი კი დიდი ძალაა,
 ხუთივე თავზე ხელ ალებულთა
 და ამას გარდა, მე გავამზადე
 მეფის ბრძანება და მოწოდება
 რომლის თანახმად პოლკოვნიკებმა,
 იმის მიხედვით, რაც ირგვლივ ხდება



უნდა პოლკები აქ მოიყვანონ,
 თან არ დაიწყონ ქცევის ძვირობა
 აქ განაახლონ ვალდებულება
 და ერთგულების დადონ პირობა
 მეფევ, თუ თქვენი ნება იქნება
 და ამ ბრძანებას დაადასტურებთ
 „კურიერები“ დღესვე გავგზავნოთ,
 ჩუმად და სწრაფად, ნუ ვიხმაურებთ
 მეორე. არა ნაკლები საქმე.

და-ძმას, რომ დღესვე მკაცრად აჰკითხოთ
 უთქვენოდ, რატომ შეჰყარეს ჯარი
 და განმარტებას ამისას ითხოვთ
 ამის მოთხოვნა უპრიანია,
 მმართველს სჭირდება მეფის თანხმობა
 თუ მეფის ნებას არად აგდებენ,
 მაშინ ნაშლილა თქვენში და-ძმობა
 და ამას გარდა, შაკლოვიტს ჰკითხეთ,
 მეფესთან რა აქვს ისეთი საქმე
 ლამე დაეძებს. დე გამიცხადდეს
 და განმარტება თქვენ მოგცეთ აქვე

პეტრე – ალექსეევიჩი, ჩემო ძვირფასო,
 რაც გიფიქრია, ყველა კარგია
 მაგრამ თქვენ ის თქვით, რაც წინ მოგველის,
 არა თქვით ის რაც დანაკარგია
 დანაკარგი კი ძალზე დიდი და თუ ვარ მეფე,
 ვით ვიყო მშვიდი
 სამეფო ორად გაყოფილია, ვფიქრობ,
 ვით გავდო მათ შორის ხიდი
 ერთი მხრივ ვხედავ სოფია სცოდავს,
 თუნდაც ჭკვიანი, მაინც ქალია
 ქალს აყოლილი თუნდა დევგმირი,
 განა კაცებში მისათვალაია?



და ამას გარდა, ის ხომ და არი,
 ვაჟკაცი არი ქალთან მეზობლი?
 ვის უნდა ჰკითხო, არ გიპასუხოს, თუ კაცი იყო ენახა ტოლი
 მეორე მხრივ კი, ქალს თუ დავუთმობ,
 კაცის სისუსტედ იქნებ ეგონოს
 გათამამდება, ისეთს მოითხოვს,
 ქვეყნად ვერავის გამოეგონოს
 ამიტომ სხვა გზა არ დამრჩენია,
 ბოლომდე უნდა საქმეს მიყვანა
 იმან შესცოდა საკუთარ თავთან, ვინაც დაიწყო და დაახანა,
 ორი საქმე გვაქვს საკეთებელი,
 ორივეს უნდა თავის მჭედელი
 უსაფრთხოებას ყველაგან მხედველი,
 მტერზე შეტევას შორს გამხედველი
 ტიხონ ნიკიტინს უსაფრთხოება
 პრეობრაჟენსკში ევალეზოდა
 სანამ ის იყო, კარგად ვიცოდი, უცნაურობა არ მოხდებოდა
 ახალი რატომ გამოვიგონოთ,
 ეს საქმე კვლავაც იმას ევალოს
 ვინ მოვა, წავა, რას გააკეთებს,
 იანგარიშოს და იქვე თვალოს
 ლევ კირილიჩი უხელმძღვანელებს
 ტაძრის დამცველთა მომარაგებას
 ძალზე რთულია ჩვენთვის ეს საქმე,
 ითხოვს სიფრთხილეს და ნაცვალგებას
 „იმერეტინსკის“ დაევალება,
 რომ ზარბაზნები იქ განალაგონ
 სად უკეთესად ჩანს მათი ძალა
 და მზად ყოფნაზე პასუხი აგონ
 ალექსეიჩმა უნდა განსაზღვროს ვის რა მივწეროთ,
 მივცეთ ბრძანება
 აქაც და იქაც უდნა გაიგონ,
 როგორ სრულდება მეფური ნება



ყველა ერთად ვართ და ერთად ვიღვნივით,
ერთი-მეორეს შევეშველებით
გამარჯვებასაც გავიანნილებთ,
როგორც ახლები, ისე ძველები

/კრემლი. 29 აგვისტო/

სოფია ალექსეევნა – ვის დავემდურო, ჩემ ბედს ვემდურო,
მიტომ არ მინდა დიდი ხმაური
დიდ ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას,
მოჰყვება მხოლოდ აურ-ზაური
ჩხუბი დავიწყეთ და ვერ გავთვალეთ,
რა ძლიერების ვიყავ პატრონი
რაც იყო, ისაც ვერ მოვიხმარეთ,
კინკლაობაში გავფლანგეთ დრონი
შვიდ აგვისტოს რომ შევკრიბეთ ჯარი,
დიდი განგაში გამოვაცხადეთ
შემართებულად ვერ ვიმოქმედეთ
და სასაცილო თავი გავხადეთ
როცა ნახველი პრეობრაჟენსკში,
ნინასნარ გზები რად არ ჩარაზე
პეტრეც გაგისხლტა და ნარიშკინიც,
გოლიცინი კი გაუშვი რაზე?
ხომ ნახე, ცხრაში შემოგვიბრუნდენ,
განგაშის გამო გვკითხეს მიზეზი
მეთქვა რომ თქვენი დაუდევრობით,
იძულებულმა შევცვალე გეზი?
არა გვექონია მეომრის ნიჭი,
არა გვექონია მებრძოლი სული
ოცნებას საქმე თუ არ დაურთე,
ოცნება რჩება ვადაგასული
არად ვაგდებდი, თუმცა ვიცოდი,
ის მეფე იყო, მე კი მმართველი
ძმა კი არ იყო, ძმად ითვლებოდა,
ასეთ მეფეზე აღვმართე ხელი



მახვილი მეპყრა, ვერ მოვიქნე,
 ძლიერი გავხდი გაუბედავი
 უნდა მცოდნოდა, ასეთ დასაწყისს,

შაკლოვიტი – თავს არ ვიმართლებ, მაგრამ რა მექნა,
 რომ თავზე ზევით არ მქონდა ღონე
 პოლკოვნიკები გადმოვიბირე,

ბევრი მოვჩმახე და მოვიგონე
 როცა განგაში გამოვაცხადე,

კრემლი შევეკარი და გავამაგრე
 მოველ გითხარით როგორ, რას ვფიქრობ,

თქვენაც მიბრძანეთ, მოიქეც მაგრე
 ერთხანს ვუცადე ჩვენზე თავდასხმას.

მათგან თავდასხმა კიდევ გვანყობდა
 ჩვენ რომ თავს ვიცავთ, დაინახავდნენ,

ასეთ მოქცევას მაშინ რა სჯობდა
 ბოლოს რომ მივხვდი ტყუილად ველი,

ეს ნარიშკინის ხერხია ძველი
 მაშინ დავგეგმე იქით შეტევა,

შურისძიების ავხსენ სარქველი
 პრეობრაჟენსკი ჩავსვი ალყაში,

კუთხე-კუნჭული გამოვიკვლიე
 მე რა ვიცოდი თუ გამასწრებდნენ,

იქით მანძილი ფუჭად გავლიე
 გითხარით კიდევ, ვილაცამ გაგვცა,

ჩვენ შორის ვილაც არ იყო სანდო
 აქ მოისმინა დანაქადები, ჩუმად გაგვისხლტა, იმათ გაანდო

კიდევაც მითხრეს, პეტრე დამფრთხალი,
 საცვლებით ხელში, ტყეში გარბოდა

„იმერეთინსკი“ უკან მისდევდა,
 ეკლებზე როგორც კალია ხტოდა

ნარიშკინი კი, რას ვიფიქრებდი,
 ფეხმძიმე რძალთან იმალებოდა



წესი არაა ქალების ჩხრეკა,
 მაგრამ მცოდნოდა ეს მოხდებოდა
 სანოლის ქვეშაც შევიხედავდი,
 რა ვქნა, რაც იყო, ასე მეწერა
 არ შემიძლია და ვერც შევძელი,
 მეფის ქალების საცვლების მზერა
 მაგრამ სანაცვლოდ ხომ მოვიფიქრეთ,
 პეტრეს პასუხიც კარგად გავეცით:
 მე ვამონმებდი დარაჯთა შრომას,
 თქვენ რა მოჭორეთ და შარებს ეცით?
 და ამას გარდა ალექსეევნა მონასტერს წასვლა ეპირებოდა
 ჩვენ რა ვიცოდით იქ რას ფიქრობდნენ,
 როგორ მოქცევა ეღირებოდა?¹
 რაზმი შევეკრიბე, რაზმის თანხლება,
 რუსეთს მეფეთგან დანანესია
 იმას მოიმკი რასაც დათესავ. შურიც იმათგან დანათესია
 ამიტომ მათი შემოდავება, სულაც არ არის სამართლიანი
 ვურჩიოთ პეტრეს, იმას მიენდოს,
 ვინც ჭკვიანია და აზრიანი
სოფია ალექსეევნა – ერთი შეხედვით თქვენ ხართ მართალი,
 მაგრამ იმ მხარეს სულ სხვა ეგონა
 იძულებული გავხდი ამიტომ, ახალი ხრიკი გამომეგონა
 ცამეტ აგვისტოს ტროუკუროვი,²
 ჩემი პასუხით იქ მივაველინე
 შესარიგებლად სიტყვა ვუბოძე,
 არც შევიმჩნიე, რომ ვაწყენინე

1. 9.08.1689 წ. პეტრემ, თანამეფე ივანეს და მმართველ სოფიას მოსთხოვა განმარტება გამოცხადებულ განგაშთან, კრემლის გამაგრებასთან, შაკლო-ვიტის მიერ დარაჯების ღამე „შემონმებასთან“ დაკავშირებით. ივანემ უპასუხა, რომ ამ საკითხებთან საერთო არაფერი აქვს. სოფიამ დონის მონასტერში სალოცავად წასვლის სამზადისი მოიმუშაა, ხოლო დარაჯების „შემონმება“ ჩვეულებრივ მოვალეობად მიიჩნია.
 2. 13.08. სოფიამ გადაწყვიტა პეტრესთან „შერიგება“ და „ბოიარი“ ივან ბორისოვიჩ ტროუკუროვი გააგზავნა შუამავლად. ცდა ჩაიშალა. პეტრემ შერიგება არ მოისურვა.



შერიგებაზე მითხრა უარი, არ გადაყლაპა ეს სატყუარი
 პროზოროვსკისაც¹ იგივე უთხრეს,
 ამის მოთმენა როგორი არი?
 ნაცვლად და-ძმური შერიგებისა,
 პეტრემ „სიგელი“ გამოაქვეყნა
 ყოველ „პოლკიდან“ ათ კაცს ითხოვდა მძევლების სახით.
 მე რალა მექნა?
 გავეც ბრძანება პეტრეს „სიგელი“ პოლკებს
 საჯაროდ გადაეხიათ
 მონასტერს წასვლის ყველა მსურველი მოეკლათ,
 უკან არ დაეხიათ²
 ბოლოს აღმოჩნდა, რომ მსროლელები გუნდი
 და გუნდი იპარებიან
 პოლკოვნიკები ხმას არა სცემენ,
 ვითომ გაქცევას ვერცა ხვდებიან
 უკვე იმ მხარეს გადასულია ნეჩაევ, დუხოვ, სპირიდონოვი
 მათთან სუხარევ და სერგეევი,
 ხაზინის ქურდნი და სისხლის მწოვი
 საქმე იქამდე მივიდა ბოლოს,
 აღსდგენ ღვთის მგმობნი, განდგომილები
 ჟივილ-ყვირილით კრემლთან მოვიდნენ,
 როგორც ძაღლები დაგეშილები
 „დროა მონასტერს მიებაროთო“,
 მე მიძახოდნენ, მომიწოდებდნენ
 კრემლის დამცველებს არად აგდებდნენ,
 ესროლათ, უკან არ დაიხევდნენ
 ამიტომ იყო, ვერ დავითმინე შეურაცხყოფა.
 პატრიარქს ვთხოვე,
 ორივე ძმასთან ეშუამდგომლა,
 მოხუცს მორჩილად გამოვეთხოვე

1. მეორედ შესარიგებლად უკვე მეფე ივანეს ბიძა პეტრე ივანოვიჩ პროზოროვსკი მიავლინეს. ეს მცდელობაც მარცხით დამთავრდა.

2. 16.08. პეტრემ გამოსცა „სიგელი“ რომლის თანახმად ყოველ პოლკს 10 წარმომადგენელი უნდა მოეკლინებინა მასთან. სოფიამ გამოსცა ბრძანება, ვინც „სიგელის“ მიხედვით მოიქცეოდა, ყველა სიკვდილით დაესაჯათ.



პატივისცემა კი შეიფერა და მილალატა, მაგისი დედაც
 მივიდა, დარჩა, მათ შეერია, მაგათი ზედაც, მაგათი ქვედაც
შაკლოვიტი – ალექსეევნა, ჩემო ძვირფასო,

ჩვენ დრო დაგვარგეთ აუნონავი
 ჯარი შევკრიბეთ მსროლელებისა უდნა დაგვერტყა,

ვირჩიეთ ზავი
 ჩვენი სიკეთით მათ ისარგებლეს, თავისი საქმე გამოაკეთეს
 მონასტრის შიგნით შეფარებულმა,

თვალთ გაახილს, ბნელი გაკვეთეს
 ახლა მზის შუქზე დანავარდობენ,

ჩვენ გაჭირვებას სულ არ დარდობენ
 პოლკოვნიკები გვილალატებდნენ,

ხომ ყველას ვიცნობთ, უნდა გვეცოდნოდა
 ჩვენ მაინც ვენდეთ და თვითეულმა

ლალატის თასი გამომიწოდა
 პატრიარქი კი გვეყავდა მძევალი.

მისი გულისთვის ბევრსაც დათმობდნენ
 მის დასახსნელად თქვენს ძმას მიმართეს,

გადაბირების გეგმებს აწყობდნენ
 ჩვენ პატრიარქი გავუშვით ნებით,

პირობაც მოგვცა ღხენით და გზნებით
 მგლის ნაშიერთან შეგვარიგებდა,

გადაგვარჩენდა სხვადასხვა გზებით
 წავიდა როგორც შუამავალი, დანაპირები დარჩა მრავალი
 შემდეგ კი იმათ მხარეზე დადგა,

ქცევა დალოცა და მომავალი
სოფია ალექსეევნა – რად გამიკვირდეს სხვათა ლალატი,

თუ ივანემაც ზურგი მაქცია
 ვისზეც ამაგი მქონდა უზომო, ფეხი დამიდო და წამაქცია
 ვუთხარი შენ ხარ უფროსი მეფე,

პირველი სიტყვა მუდამ შენია
 შენ გაარკვია ჩვენში მართალი, შენ დაადგინე განაჩენია



ამ უღლეურმა რა შემომკადრა:

პეტრე უკვეა ასაკით სრული
როგორც სჭირდება, ისე იქცევა,

შენიშვნით რატომ მოვუკლა გული?
ჩვენი ძმობაა შეურყეველი,

მცირე წყენაც კი არ მაგონდება
რა უნდა ვთხოვო, მუდამ მისრულებს,

არ დამზარდება და დაყონდება
თქვენ მუდამ ჩხუბობთ, თუმცა ძმა არი,

შენ ძმად არასდროს მიგიჩნევია
დღეს შეგარიგოთ, ხვალ გააგრძელებთ,

რადგან დათმობა არა გჩვევია
შენი გულისთვის ძმს და მოკეთეს,

ტყუილად რატომ წავეჩხუბები
როგორც არიე, ისე დააწყვე,

მე კი როგორც ვარ, დაგვტოვე ძმები¹
ივანეს სად აქვს იმდენი ჭკუა,

ბევრიც იფიქროს, ასე განსაჯოს
მეფედ ითვლება ჩემი შეწევნით,

ჩემი გულისთვის ვინმე დასაჯოს
ეტყობა ცოლმა თუ ჩააგონა,

მისი კარნახით ალაპარაკდა
ასეა. მარცხმა მარცხი დაბადა,

არაფრის გამო საქმე გატრაკდა
შაკლოვიტი – თუ ივანემაც უარი გვითხრა,

მაშინ რა გვრჩება გამოსავალი
უნდა ვიცოდეთ, გამარჯვებისკენ,

რომელი არი გზა მიმავალი
რაც მთავარია, დრო აღარ ითმენს,

დრო მიდის მგელი კი ძლიერდება

1. პეტრესთან გადამწყვეტი შეჯახების დროს სოფიამ ივანეს მომხრობა განიზრახა. ივანე უფროს მეფედ ითვლებოდა და სოფიას მისი მომხრობა გააძლიერებდა. ივანემ, გარემოცვის კარნახით უპასუხა: შენი გულისთვის ძმას არ ჩავეჩხუბებო.



ყველა იქითკენ ცდილობს გაპარვას,
ჩვენი ყოფა რად დაედარდება
სოფია ალექსეევნა – გზა ასარჩევი ჯერ კიდევ არი,
ვასილ ვასილიჩს შემოუთვლია¹
იცი, ცხოვრების ნებიერია, მთელი ევროპა შემოუვლია
და მე მთავაზობს, აქ რომ ჩხუბია,
იქ მშვიდობაა, არი სინყნარე
განსაკუთრებით პოლონეთს მიქებს,
მოსწონებია იმათი არე
მთავაზობს, დავთმო სამივ რუსეთი²
და პოლონეთში დავიდო ბინა
ეს ხომ სამშობლოს ღალატი არი,
მას მივეკედლოთ, ვინც მანყენინა?
შაკლოვიტი – მე ასე ვიცი, ვასილ ვასილიჩს
მედვედკოვო აქვს ამორჩეული
არავის იღებს, არავის სტუმრობს,
თავის მამულში ცხოვრობს ეული
ცოლ-შვილი მასაც პოლონეთში ჰყავს,
მოსკოვისაგან გარიდებული
ვინ რას გაიგებს, ვის რა ანუხებს,
შფოთავს ან არი დამშვიდებული
მხოლოდ მე ერთი, ასეთ საქმეზე არც ვფიქრობ
და არც რამე მადარდება
ჩემი ხელმწიფე თქვენა ბრძანდებით,
თქვენგან მოველი ეკლებს თუ ვარდებას
არ მავინყდება, რომ მგლის ბანაკი,
მე დამდევს, მხოლოდ მე მემტერება
სანამ თქვენ მწყალობთ არ მენაღვლება,
მაგრამ არ ნიშნავს, რომ მემღერება

1. არის ინფორმაცია, რომ სოფიას პოლონეთში გაქცევა შესთავაზეს, რაც მან უარყო.
2. სამივ რუსეთად ითვლებოდა რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია. ტერიტორიები, რომელიც 1667 წ. ენდრუსოვის ზავით წაართვეს პოლონეთს. ესაა: სმოლენსკი, ჩერნოგოვი, ნოვგოროდი, ბელორუსია, დნეპრის აღმოსავლეთი უკრაინა კიევიტურთ.



ღვთის მადლით ძალა კვლავ თქვენს ხელშია,
მე თქვენ წყალობას მუდამ მოველი
გადავრჩები თუ გავინირები,

თქვენ შეგიძლიათ მოიღოთ ხელი
სოფია ალექსეევნა – უნდა დავფიქრდე,

ორიოდ დღეში, თავად მონასტერს გავემართები
პირდაპირ მისვლა სჯობია მტერზე,

ჩაკეტილია როდესაც გზები
სხვა გამოსავალს ველარა ვხედავ,

არც დანებება არ მიფიქრია
ვიდგე, ველოდო, რაღას ველოდო,

ფუჭად ლოდინში რა ფასი ყრია
ძმამ თუ გამწირა, მხარი არ მომცა,

დებისა უნდა მქონდეს იმედი?
ყველა ხელებში შემომყურებდა,

ვზარდე, გავჭედე იმათი ბედი
მამიდები მყავს, მაგრამ იმათაც

პეტრესკენ ხელი გაუშვერიათ
მათ ვინ რას ჰკითხავს, თანაც ასაკის

სადარდებელი შემოერიათ
ამიტომ მიჯობს ჯიქურად მისვლა,

მამის შვილი ვარ, არ შევშინდები
ცოტას მოვიცდი, აზრს დავალაგებ

და მგლის ბანაკის გზას დაგადგები
თქვენ უნდა დარჩეთ აქ ჩემს მაგიერ,

გზაში მყოფს თქვენი იმედი მქონდეს
არ ვარ ჩვეული სხვის მოწყალეობას,

რომ სხვისი ვალი კისრით დამქონდეს

/29 აგვისტოს, (ასეთია ისტორიული ცნობა) რუსეთის ფაქტიურმა მმართველმა სოფია ალექსეევნამ, გაიყოლია „ბოი-არები“ იაკობ ოდიევსკი, ვლადიმერ დოლგორუკი, მიხეილ ჩერკასკი, ალექსი შეინი და სერგეი-ტროიციკის (სამების) მონასტრის გზას დაადგა. მიზანი იყო პეტრესთან შეხვედრა,



და-ძმის შერიგება. პეტრეს მომხრეები ასეთ ნაბიჯს ელოდნენ და მომზადებულები დახვდნენ. მმართველის ამ მგზავრობას სოფ. ვოზდვიჟენსკოეში დისკუსიამ დაუსვა წერტილი./

ივანე ტროეკუროვი – ალექსეევნა, ასე ყოფილა,
 ბედის ბორბალი ასე ტრიალებს
 ცხოვრების კიბის თავში რომ ახვალ,
 იქ დაგენევა, გაგატიალებს
 ძალზე ძნელია იმის განსაზღვრა,
 სად არის კაცის კიბის სათავე
 იქიდან ბევრი გადაჩეხილა, ვცადე ჩამოთვლა,
 ვერ ჩავათავე
 თქვენ რომ გიყურებთ, ნათლად ვრწმუნდები,
 თქვენ ასული ხართ ამ კიბის ბოლოს
 მხოლოდ ერთია, ჯერ კიდევ ძალგიძთ,
 სხვა არ ჩაჩეხოთ, გადაიყოლოთ

სოფია ალექსეევნა – შვიდი წელია სამივე რუსეთს,
 ერთპიროვნულად ვმართავ, განვაგებ
 ღმერთის შენევნით თუ დამცალდება,
 უფრო მეტს შევძლებ და მეტს ავაგებ
 დღეს გავინყდებათ ჩემი სიკეთე,
 უმადურების მთელი კრებული
 ცდილობთ საკუთარ თავს მიაწეროთ,
 რაც ჩემგანაა გაკეთებული
 იმას მოვესწარ, რომ ბუტურლინი¹,
 ვინაც შეხედვას ვერ მიბედავდა
 გზაში დამიხვდა და გამაჩერა,
 გადიდკაცდა და კიდევ გაავდა
 ჩემ ძმის სახელით მელაპარაკა
 და დაბრუნება მოსკოვში მთხოვა
 როგორც თანასწორს რჩევები მომცა
 და დიდკაცურად გამომეთხოვა

1. მონასტრისკენ გამგზავრებული მმართველი გზაში ივანე ბუტურლინმა შეაჩერა და უკან გაბრუნება მოსთხოვა.



როდიდან აქეთ მე მეკრძალება,
 მონასტერს წასვლა, ძმასთან შეხვედრა
 ამას მიბედავს ის „ბოიარი“,
 ვინაც წყალობას ხოხვით მევედრა
 იქნებ აღარ ვარ შვილი მამისა,
 ალექსი, მეფე არ იყო თქვენი?
 როგორ უეცრად იცვლიდნენ დრონი,
 რა მალე შემხვდა საქმე სანყენი
ივანე ტროეკუროვი – ჩემთვის ალექსი მიხაილიჩი,
 დიდი იყო და ბრძნულად მეფობდა
 რუსეთი გახდა გაბრწყინებული,
 იმ გამარჯვებებს ქვეყნად რა სჯობდა
 რომელი მხარე უნდა ვახსენო,
 სად არ ისმოდა რუსთა დიდება
 თუ პეტრეს დროსაც ასე გაგრძელდა,
 რუსეთს ევროპა მოერიდება
 აღარას ვამბობ აღმოსავლეთით,
 ჩვენმა საზღვარმა ჩინეთს უნია
 გოლიცინმა კი თათრებს კუთვნილი,
 ყირიმისაკენ გადაუნია
 დიდია, დიდი რუსეთის ძალა,
 ძალას მეტი სურს ქვეყნად მიწები
 რამდენსაც შევძლებთ,
 სხვისი მამული, გავხადოთ ჩვენი დასაფიცები
სოფია ალექსეევნა – გოლიცინი თქვით, ვასილ ვასილიჩს,
 ვინ მისცა ჯარი, ფული, უფლება?
 ასეა ხშირად, ამაგს ივიწყებს
 თუ დიდკაცობა დაეუფლება
 ქვეყანამ იცის, გოლიცინები, მე ავამალლე, მე განვადიდე
 მისთვის „სიგელი“ ძმას გამოვგლიჯე
 და გავავრცელე კიდიდან-კიდე
 დღეს მემალეა მედვედკოვოში,
 მამულში არი გამოკეტილი



იყო დრო, როცა ჩემი სახელით,
 დანავარდობდა თავანყვეტილი
 ძმა მოვიმდურე მაგის გულისთვის,
 ეს მფარველობა რით დამიფასა
 რაც არი შენი, შენთან დატოვე,

ივანე ტროეკუროვი – გოლიცინს თავად მიხედავს მეფე,
 დაგეკარგება თუ ანდობ სხვასა
 მიიღებს მას, რაც დაიმსახურა
 ზეპირად იცის მისი ამბები, სად რას შებედა და იხმაურა
 თქვენ ისა ბრძანეთ, თქვენში რა მოხდა,
 უმცროს ძმას მოკვლა რად დაუპირეთ
 კრემლს მოაშორეთ, პრეობრაჟენკში გადაასახლეთ,
 გაინაპირეთ
 ის ხომ იცოდით იგი მეფეა, თქვენ დროებითი
 მისი მმართველი
 ვინ წაგაქეზათ და ჩაგაგონათ, ძმა

და მეფეზე აგელოთ ხელი?
 კრემლში რაც ხდება, ჩვენ კარგად ვიცით,
 ვინ რითი სუნთქავს, არ შეგვეშლება
 ამიტომ ძველნი იქვე დატოვეთ,
 აქეთ ახლების მოგინდათ ხლება?
 ვინც თქვენ გახლავან, მე პატივისა ვცემ,
 მახსოვს მაგათი დამსახურება
 მაგრამ დღეს მეფეს სხვები სჭირდება,

სოფია ალექსეევნა – თქვენ ძალზე მძიმეს შეეხეთ ამბავს,
 მათი მოსმენა, მათი ყურება
 სულაც არ მსურდა მას შევხებოდი
 მაგრამ რადგანაც უკვე დაიწყეთ,
 ორიოდ სიტყვით შევჩერდებოდი
 ამბობთ ჩემი ძმის მოკვლა მინდოდა,
 მდომნოდა მითხარ ვინ დამიშლიდა
 ადვილი იყო შესასრულებლად,
 რადგან სოფლებში მარტოკა ვლიდა



ანდა კრემლში რომ გამოჩნდებოდა,
 რა, დაცვა ახლდა უშველებელი?
 „კუკუი“ ქალაქს როცა ლოთობდა,
 ვინ იყო მაშინ მისი მხლებელი?
 პოლკები შექმნა გულგასაყოლად,
 ვინ იყო მათთვის ხარჯის გამლები?
 საზარბაზნეში გამოვკეტავდი,
 არ დარჩებოდა ამბის წამლები
 ასე, რომ როცა რალაცას იტყვიტ,
 უნდა შეგეძლოთ დასაბუთება
 ბევრჯერ უკულმა გაიგებს კაცი,
 რაც ცხოვრებაში პირნალმა ხდება
ივანე ტროეკუროვი – ალექსეევნა, არ გადავებით,
 რომ პეტრე იყო დაუდებარი
 ათასჯერ ბენვის ხიდზე უვლია,
 სულ ღია ჰქონდა სიკვდილის კარი
 თქვენი იმედიც სწორედ ის იყო,
 ცხოვრების კარტებს თავად არევედა
 რადგანაც მხოლოდ წინსვლა იცოდა,
 უკან არასდროს არ დაიხევდა
 მაგრამ იმასაც ხომ ვერ უარყოფთ,
 მგლის ლეკვს არქმევდით, ძმად არ მიგაჩნდათ
 ზიზლი და შური გამოძრავებდათ,
 რადგან თქვენ შორის სხვაგვარი გაჩნდა?
სოფია ალექსეევნა – ეს ივან, ივან. „ბოიარი“ ხართ
 და „ხოლოპივით“ მესაუბებით
 გინდათ რალაცა საწყენი დამცდეს,
 ხართ მონამლული ქორის ამბებით
 არც დამიმაღავს და არ დავმაღავ,
 პეტრე და-ძმებში გამოირჩევა
 ბავშვობიდანვე ყველას გვიცნობდი,
 რომელსა გვქონდა მაგისის ჩვევა?



გინდ გარეგნობით, თმებით თუ ფერით,
 თქვენ შეგვადარეთ, როგორაც გინდათ
 მამას არა ჰგავს, არც დებსა და ძმებს,
 ხასიათითაც დედაა წმინდათ
 მერე რა არი ამაში ცუდი ან უცნაურად რად გეჩვენებათ
 დედები იცით გვყავდა სხვადასხვა.

სომ არა ვცდები და გეეჭვებათ?
ივანე ტროუკუროვი – მუდამ ვიცოდი, რომ ხართ ჭკვიანი.

კითხვა აქეთკენ შემომიბრუნეთ
 ერთი ეგაა, სიფრთხილის დაცვა,
 რომ დაგვიანდა, მაშინ იზრუნეთ
 სხვამ რომ არ მითხრას, პეტრეს შესახებ,
 პირადად თქვენგან მომისმენია
 საიდან იცის ყველა წვრილმანი, გამცინებია, არა მწყენია
 ის, რაც გითქვიათ ქალური წყენით,

დედინაცვალზე, იმის ქცევაზე
 „ტისიაცკიზე“, მამის დარღებზე, აღარას ვიტყვი,
 სხვაზე და სხვაზე

უნდა გცოდნოდეთ, გარშემო მყოფნი,
 თქვენ ყოველ სიტყვას იმახსოვრებენ
 მიუმატებენ, ასხვაფერებენ,
 როგორც თქვენს ნათქვამს იმეორებენ

სოფია ალექსეევნა – ასეც რომ იყოს, რა შეიცვლება,
 უარყოფასაც აქ არ მოვყვები

მამას ავადმყოფს, ახალი ცოლი,
 რას დამართებდა, თავად მიხვდები
 მით უფრო როცა თავად მამაჩემს,
 წინასწარ ჰქონდა ეს განზრახული
 ამიტომ კრემლში ბევრმა იცოდა,

არცა ყოფილა მისგან ფარული
 წარსულს არ ვიტყვი და გავიხსენებ,
 თქვენ და სხვებს ერთს კი გაგახსენებდით



პეტრე ორი წლის ჯერაც არ იყო,
 მასთან თუ გვერდით დააყენებდით
 გაჭრილ ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს
 როცა მსგავსება გამოიკვეთა
 მამამ აღზრდილი ჩამოიშორა,
 როგორც მახვილი უცებ მოკვეთა
 თუმცა დრო დიდი არი გასული,
 თავს არ გვანებებს ჩვენ ეს წარსული
 ერთი ჯიშისა, ერთმანეთს მიჰგავს,
 გინდა ძე იყოს, გნებავს ასული
 თქვენ დავიდოვნა ეკატერინა¹
 „იმერეთისკის“ დედა-მშობელი
 წვერით, უღვაშით წარმოიდგინეთ
 და ისე გახდით ჩემი მგმობელი
 ეს რომ ვიცოდე, იმერთა მეფე მიტომ
 არ მსურდა ჩამოსულიყო²
 ვეცადე და არ გამოვიდა, რასაც ვფიქრობდი, სიე დაიყო
 „იმერეთისკი“ პეტრესთან სახლობს,
 სულით და ხორციტ ერთნაირები
 გავიხსენებ და განმიახლდება
 ყმანვილ ქალობის ნაიარები
 ახლა ასეც ვთქვათ, კრემლის ამბები,
 არა ყოფილა ჩემთვის ფარული

1. მოსკოვში ერეკლე I, ნიკოლოზ დავიდოვიჩის ეძახდნენ, მის დას ქეთევანს ეკატერინა დავიდოვნას. რამდენადაც რუსეთში არჩილ მეფე ოჯახით, იმერეთში მეფობის დაკარგვის შემდეგ გაემგზავრა, იგი იმერეთის მეფედ ითვლებოდა, ხოლო მისი ვაჟი ალექსანდრე იმერეთის მეფისწულად.

2. არჩილ III, იმერეთში მეფობა 1679 წ. დაკარგა. 1680 წლიდან იგი ოჯახით ასტრახანში ელოდებოდა ნებართვას რათა მოსკოვში ჩასულიყო. მხოლოდ 1684 წელს მიიღეს ნებართვა ალექსანდრესა და მამუკას გამგზავრების შესახებ. მოსკოვში ალექსანდრე მაშინვე პეტრეს განუყრელი მეგობარი გახდა. ისინი გარეგნობითაც ჩამოგავდნენ. მხოლოდ პეტრე უფრო მაღალი იყო. თავად არჩილი მეუღლით მხოლოდ 1686 წ. ჩადის მოსკოვში. პეტრეს მსგავსება ქეთევანთან (ეკატერინე დავიდოვნასთან) უფრო აშკარა იყო.



კარგად ვიცოდი ყველა სიმართლე,
 თან მოჭორილი და მოპარული
 მე რომ პეტრე ძმად არ მიმეჩნია,
 შური და წყენა გულში მქონოდა
 ავი ზრახვები გამომყლოდა,
 ჩამოცილება რომ მომდომნოდა
 შვიდი წლის წინათ გავხდი მმართველი,
 მსროლელთა პოლკებს ჩემი ეჯერათ
 ჩემი ბრძანებით მოსპეს მრავალი,
 მიიღეს ის, რაც ბედით ეწერათ
 თქვენ როგორ ფიქრობთ, ხოცვა-ჟლეტისას,
 პეტრე წაეკლათ შეიძლებოდა?
 დიდი ამბავი, ორი ძმა იყო, ერთი თუ მოკლეს,
 სხვა დარჩებოდა
 თუ გნებავთ გვიან, ხოვანსკის გამო,
 როცა მონასტერს ვეფარებოდით
 ძალა-უფლებას გვედავებოდნენ,
 დაგვდევდნენ, ჩუმად ვეპარებოდით
 შეიძლებოდა მოეკლათ პეტრე?
 იცით ეს ვისაც დაბრალდებოდა
 მე რა, მრჩებოდა კიდევ ივანე
 და მმართველობაც ხომ დამრჩებოდა?
 ხო და როდესაც მაბრალეობთ რამეს,
 საშარო რა გაქვთ მოზომოთ უნდა
 თუ დარწმუნდებით, რომ ხართ მართლები,
 მაშინ მესროლეთ ჭორბის გუნდა
 თქვენ ჩემთან რა გაქვთ სასაყვედურო,
 სამეფო დღემდე მომიტანია
 მადლობის ნაცვლად ჩემთან შარს ეძებთ,
 მიხვედრილი ვარ დიდი ხანია
ივანე ტროუკუროვი – ყოველ მხარეს აქვს თავის სიმართლე,
 თქვენი, რაცა თქვით, არი ასეთი



სიმართლე ქორში არი ნაზავი,
 სიცრუის გრდემლზე არი ნაკეთი
 პეტრე მეფეა, ალექსის ძეა,
 და სხვანაირად არსად ითქმება
 ვინ ვისთან იწვა, მხოლოდ ქორია,
 ქორი სიმართლედ გარდაიქმნება?
 თქვენ ახლა გინდათ ეჭვი დათესოთ,
 პეტრეს მომხრენი აეჭვიანოთ
 იმის მაგიერ, დრო არ დაკარგოთ,
 მოსკოვშიც აღარ დააგვიანოთ
 ნაბრძანები მაქვს რომ გაგაფრთხილოთ,
 მონასტრისკენ გზა ჩახერგილია
 გირჩევთ კრემლისკენ იმ გზით იაროთ,
 რომლითაც აქეთ გამოგივლიათ

/შემობრძანდება „ბოიარი“ ივან პროსკუროვი/

არა, მოიცათ, პროსკუროვს ვკითხავ,
 ხომ არაფერი არი სიახლე
 მე რომ წამოველ, ის იქ დავტოვე,
 თუმცა კი სურდა, მე არ ვიახლე
სოფია ალექსეევნა – „ბოიარებო“, არ გეკადრებათ
 ქალსა და მმართველს როგორ მექცევით
 თუ შეიცვალა მდგომარეობა,
 დამემალებით და გამექცევით
 ახლა ნახეთ დრო და გაგულადდით,
 როგორ უეცრად გამოიცვალეთ
 რანი იაყვით, რას მიაღწიეთ
 და რაც მოიგეთ, რას ანაცვალეთ?
ივან პორსკუროვი – ალექსეევნა, თქვენ რატომ გიკვირთ,
 ბრძანება გვაქვს და იმას ვასრულებთ
 წესს გადავუხვევთ, ურჩობისათვის,
 ცხოვრებას კუნძზე ხომ დავასრულებთ?
 მე ბრძანება მაქვს მეფის ასეთი:
 უნდა გაუწყოთ მისი პირობა



პირობას უნდა დაემორჩილოთ,
 არ გაანბილოთ ჩემი გზირობა
 მეფე თქვენ გაძლევთ რამდენიმე დღეს,
 არ გაიძულვით, ნუ აჩქარდებით
 უნდა გადადგეთ, მონასტერს შედგეთ,
 მიგაცილებენ ხელში ვარდებით
 უნდა გვაცნობოთ, რა გზას აირჩევთ,
 რომელ მონასტერს დაეყუდებით
 მონაზვნად ყოფნა საპატიოა,
 მიუსაფარი ხომ არ დარჩებით
 სანამ იქ წახვალთ, თქვენ მეფის და ხართ,
 არ მოგაკლდებათ პატივისცემა
 იქაც იგივე განმეორდება, მეფის ბრძანება გადაეცემა
 პატრიარქი კი თავის მხრე გირჩევთ,
 ძველი ცოდვები მოინანიოთ
 ძმებს და მეფეებს წინ არ აღუდგეთ,
 არ გააბრაზოთ და აწყენინოთ
 პირობას გაძლევთ, როგორც მოიცლის,
 მონასტერშივე მოგინახულებთ
 ერთად ილოცებთ თქვენი ძმებისთვის,
 სანთელს აანთებთ და იმარხულებთ
 ახლა კი უნდა გაბრუნდეთ კრემლში,
 მსლებლად და მცველად მე გამოგყვებით
 სიგელი თან მაქვს ხელმოწერილი,
 ვფიქრობ არაფერს გადავეყრებით
 და ამას გარდა მეფე მოითხოვს,
 ერთხელ ნათქვამი უნდა შესრულდეს
 თქვენ შაკლოვიტი უნდა გადასცეთ,
 თუ არ გინდათ რომ, ძმა დას მოსძულდეს
 შაკლოვიტს ბევრი ცოდვა აქვს მხრებზე,
 მოუწევს ბევრის აღიარება
 არ ვარგა, როცა ცოდვილიანი, უცოდველივით დაიარება



/ისტორია გვაუწყებს: სოფია იძულებული გახდა დამორჩილებოდა... შერიგება არ შედგა. მალე 6. 09. იგი იძულებული გახდა შაკლოვიტი გადაეცა მის წასაყვანად მოსულ „ბოიარ“ ივანე პროზოროვსკისათვის. შაკლოვიტმა აღიარა პეტრეს წინააღმდეგ შეთქმულების ფაქტი. 12. 09. იგი სიკვდილით დასაჯეს. სოფიამ აირჩია ნოვოდევჩინის მონასტერი. 17. 09. პეტრე თანმხლები პირებით და პოლკებით მოსკოვს გაემართა. კრემლში მოხდა ხელისუფლების ცვლა/

პატრიარქი – უფალს ვადიდებ მონყალებისთვის,
 მან დაიფარა სამეფო ჩვენი
 რუსეთი ახლა ფეხზე დადგება,
 მეფე გვყავს მძლავრი, გამოსაჩენი
 რაც მან ამ თავში გადაიტანა, აუტანელიც კი აიტანა
 თავშეკავება, დიდსულოვნება,
 ჩვენთვის სიახლე არ იყო განა?
 მასთან მადლს ვწირავ იმ „ბოიარებს“,
 ვინც გვერდში ედგნენ, რჩევას აძლევდნენ
 კრემლიდან მოსულ ყოველ მუქარას,
 ერთობლიობით, ერთგულად ძლევდნენ
 ახლა მიზანი მიღწეულია,
 პეტრე დიდისთვის უნდა ვილოცოთ
 ღვთისმშობლის ხატსა ივერიისა,
 დავუჩოქოთ და ისე ვაკოცოთ
 დიდება უფალს, გწყალობდეთ ღმერთი,
 ჩვენი იმედი, ჩვენი მფარველი
 მას შევავედროთ ყმანვილი მეფე,
 ალექსევიჩი, პეტრე პირველი
ნატალია კირილიჩნა – წმინდა მამაო იოაკიმე,
 იცით ცხოვრება რომ მქონდა მძიმე
 ღვთისმშობლის ხატთან ბევრჯერ ვილოცე,
 ცრემლი დავლვარე და დავანვიმე
 თუ რამე მანვა გულზე სუდარად,
 აღსარებისას არ დამიმალავს



ახლა დასრულდა შავი ფიქრები,
 სევდა და დარდი ვერ გადამძალავს
 სანამ თქვენ გვეყვებართ საჭეთმპყრობელი,
 რუსეთს უფალი არ მაიტოვებს
 ჩემი პეტრუშა, შვილი და მეფე,
 მის დასაცავად მიიღებს ზომებს
 ლოცვა-კურთხევას, გთხოვთ,
 ნუ მოაკლებთ, სხვა ძალისაა თქვენი იმედი
 თქვენი ბაგებით გადმოგვცემს სურვილს,

პეტრე – სიბრძნით აღსავსე გვყავს პატრიარქი,
 ჩვენი უფალი და შემოქმედი
 სამეფოს ამ მხრივ ბედი ჭქონია
 ლოცვა-კურთხევით რაც მოვიბოვებთ,
 მისი წყალობით მონაქონია
 როცა გვენვია იქ, მონასტერში,
 ჩვენთან ყოფნა და ლოცვა ინება
 მაშინ ვინამე, რომ გავიმარჯვებთ,
 ჩვენი იქნება ის შერკინება
 მანამდე ძალა სხვა მხარეს იყო,
 რას დაგვანევდნენ, არც ის ვიცოდით
 ვიყავ და-ძმისგან მოძულებული
 და უძღურების ცეცხლით ვინოდით
 სხვა არი ძალა უფალის ნების
 და სიტყვის ძალა პატრიარქისა
 ჩვენ ხომ აგვავსო იმედით,
 რწმენით, მოგვცა სურვილი დიდი საქმისა
 დღეიდან ჩემი ყოფა იცვლება
 და პატრიარქის ლოცვა გვიფარავს
 რაც მოვიბოვებთ საერთო ძალით,
 ვერვინ წაგვართმევს და მოგივპარავს
 ახლა სხვა საქმეს უნდა მივხედოთ,
 რუსეთის ხვალე ასე გავჭედოთ



არ წავახდინოთ, რაც კარგი იყო,
 ჩვენ შევასრულოთ რაც გულში ედოთ
 მეფე ალექსი იყო ჭკვიანი,
 რუსეთის საზღვრებს შორ-შორს ხედავდა
 ვინც სანდო იყო, არ იცილებდა,
 ვინც იყო ურჩი – ომით ხედნავდა
 სამივ რუსეთი მან დამიტოვა,
 სამივეს უნდა ზრუნვა და მოვლა
 რამდენი გინდა წელი სიცოცხლე,
 რომ მოახერხო მისი შემოვლა
 მისი მცდელობით,
 ზედ ემატება ივერთ სამეფოს მემკვიდრეობა
 დღეს მტრებს უპყრიათ ჩემი კუთვნილი
 და გაუმართავთ სისხლით ღრეობა
 იმათი შველა ჩემია ვალი,
 უნდა მუდმივად მეჭიროს თვალი
 თურქეთს და სპარსეთს ჩაუკეცია
 იქითკენ მთებში გზა მისავალი
 თურქეთთან ჩვენი ომი გრძელდება,
 თუ არ ვაჯობეთ, არც გაჩერდება
 შეძლებენ? აქეთ შემოგვიტევენ,
 ივერთა შველაც გაგვიძინებდა
 ამიტომ, უნდა უპირველესად
 თურქეთთან ომი ჩამოვათავოთ
 შეგვეხვეწონ რომ დავუდოთ ზავი,
 ზავის დადება ჩვენ არ ვითაოთ
 და ამის მერე, გულგახსნით გეტყვიოთ,
 უცხოელებმა ბევრი მასწავლეს
 ჩამოსულეებმა რომ ეს იციან,
 ევროპელებმა მეტი გზა განვლეს
 ვისაც რუსეთის დიდება უნდა,
 სხვების მიღწევებს უნდა იცნობდეს



ვის რა ანუხებს, ვინ რისთვის იღწვის,
 სახლში იყვეს და იმათსა გრძნობდეს
 მაგრამ იქით გზა ჩაკეტილია,
 იმათი ცოდნა მიუწვდომელი
 ვინც იქ ყოფილა, იმათი იცის,
 ჩვენ არ გაგვცინებს, მითხარ რომელი?
 ჩვენ ფლოტიც გვინდა და ჯარიც გვინდა,
 რომ მოვუტანოთ რუსეთს დიდება
 ისეთი, სხვებს რომ შიშის ზარს დასცემს,
 მეტოქეს ყელში გაეხიდება
 ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე,
 ყველაფერს ერთად ვერ მოვერევი
 არა და ჩვენთვის დრო აღარ ითმენს
 და არც საქმე გვაქვს გამოსარჩევი
 ამიტომ ასე უდნა მოვიქცეთ, ასეთი არი მეფური ნება
 მთავრობას შევექმნი ვისაც ვენდობი
 და ქვეყნის მართვა მათი იქნება
 ჩვენ აქ, რუსეთში ვართ ორი მეფე,
 გვყავს ერთი დედა და დედოფალი
 იგი იქნება ყველას უფროსი,
 ყველაზე იმას ეჭიროს თვალი
 ლევ კირილიჩი მისი ძმა არი,
 გამოცდილია, ნდობა აქვს მყარი
 მთავრობისთავი იგი იქნება, საქმეც ექნება მას ათასგვარი
 თქვენ ყველამ იცით ალექსეიჩი,
 მიყვარს და ნდობით აღჭურვილია
 დღეს რომ ასე ვართ გალაღებულნი,
 ამაში მისი ლომის წვლილია
 ის ინიშნება დედოფლის მრჩევლად,
 ყველა საკითხი მასთან განაგოს
 უმისოდ ვერვინ გაბედოს რამე
 და ყველამ მასთან პასუხი აგოს



ყველაზე რთული, საელჩოს საქმეს
 უკრაინეცივი უხელმძღვანელებს
 იცის რა საქმე როგორ წარმართოს,
 სად დააჩქარებს, სად შეანელებს
 დანარჩენებიც ყველა აქა ხართ,
 პრიკაზებს თქვენვე გაინანილებთ
 დაიმახსოვრეთ, ვისაც ვენდობი,
 საქმეზე პასუხს ვერ აიცილებთ
 მე თავად, ჩემთან „იმერეტიისკი“,
 სამხედრო საქმეს მივუბრუნდებით
 ორნი ვაკეთებთ, ერთად ვეცდებით,
 ხელმოცარულნი არ დავბრუნდები
 ჩემი ბრძანებით ფლოტსა
 და პოლკებს უკვე პატრონობს პატრიკ გორდონი
 რომოდანოვსკი სარდლად დავნიშნე.
 ეს არჩევანი კარგია მგონი
 სამხედრო საქმეს თავად მივხედავ,
 თქვენ კი დანარჩენს აქ მოუარეთ
 თავდადებულად თუ გავირჯებით,
 საქმეს ავანყობთ შინა თუ გარეთ
 ასეთი არი განზრახულობა, ივანე ძმაა და მეთანხმება
 ვინც ხელს შეგვიშლის აღსრულებაში,
 იმისი სიყმე უმალ გახმება
 იმ „ბოიარებს“ და იმ მსროლელებს,
 რომლებიც იყვნენ სოფიას მხარეს
 ვინც ყოყმანობდა, გზა ვერ გაეგნო,
 ვისაც პატივი მიტომ აჰყარეს
 ვუცხადებ ნდობას და ვაპატიებ,
 მაგრამ იქნება ბოლო შენდობა
 თურქებთან ომში უნდა დამტკიცდეს
 თუ გულწფრელია იმათი გრძნობა
 ამით დამთავრდეს ჩვენი თათბირი,
 მოზეიმენი გარეთ გველიან



დღესასწაული ვაჩუქოთ რუსებს,
ჩვენთვის მლოცველებს თვალეცრემლიანს

/შეკრებილები გადიან. რჩება ბორის ალექსეიჩ გოლიცინი/

ბორის ალექსეიჩი – თავად იესოს, სიკეთის ნილად,
ახლობლებიდან ლალატი ერგო
მე რად მიკვირდეს, რაც გავაკეთე,
არ დამიფასდა და არ შემერგო
არ ვყოფილიყავ პრეობრაჟენსკში,
ვნახავდი ვინ რას მოიფიქრებდა
შიშინის ოინს ვინ გაიგებდა,
მსროლელთა პოლკებს შემოიკრებდა
პეტრე რომ კრემლზე თავდასხმას „გეგმავს“,
შაკლოვიტს ცნობა ვინ მიუტანა?
შეიარაღდნენ და კრემლი შეკრეს,
„რჩევის“ შედეგი არ იყო განა?
ლამით რომ პეტრე წამოვახტუნეთ,
მონასტრისაკენ გზა მივუჩინეთ
კრემლის ამბოხში რომ დავაჯერეთ,
ერი შევკრიბეთ და დავარწმუნეთ
ვინ მოიფიქრა სვლები ამგვარი, ვინ ამოაგდო ბანაკში ქარი
ორი მსროლელი ვინ შეამზადა,
ვინ გადარეკა განგაშის ზარი?
რომ არა ასე, ეს მოვლენები, ეშმაკურად არ გამომენვია
და-ძმას შორის რაც მშვიდობას იჭერს
თოკი კი არა ერთი ბენვია
რომ არ მცოდნოდა, არ გამენყვიტა,
ხომ ძველებურად გაგრძელდებოდა?
სოფია ძალას თუ მიიკრებდა,
ვინ იცის მერე რა მოხდებოდა?
დღეს რომ სოფია მონასტერშია
და პეტრე არი ქვეყნის მპყრობელი
ვისი გონების ნახელავია, მათში შეძლებდა
მითხარ რომელი?



და მხოლოდ მიტომ, რომ ბიძაშვილის
 თავის მოკვეთის არ მივეც ნება¹
 ამხელა შრომა არ დამიფასდა,
 პეტრემ შეცვალა ბოლოს ბრძანება
 და ჩემს მაგიერ, მთავრობის
 თავად ლევ კირილიჩი წამოაბრძანეს
 სიკეთის წილად სიავე მერგო,
 არც შემიბრაღეს, არც დაახანეს
 არა უშავს რა, არარაობას,
 დედოფლის მრჩეველად ყოფნაც კარგია
 ზოგი ჭირიც ხომ მარგებელია,
 მივიღებ რაც დღეს დამიკარგია
 მწყინს და არ მიკვირს, ჩემი ამაგი,
 რაც მე დავთესე, რომ არ შემერგო
 თუმცა რად მიკვირს, თავად იესოს,
 სიკეთის წილად, ღალატი ერგო.

1. არის ცნობა, რომ ბორის გოლიცინის ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილით დასჯას ვასილ ვასილიჩ გოლიცინი. იგი გადასახლებული იქნა შვილთან ერთად.